

PT/7/2003/ea

"Pax quaerenda est"


შენ ახვნი ნებისა
P E A C E T I M E S



ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა!
Change is inevitable, but Progress is not!



L'histoire d'un



SOSSO ALAVIDZE

INTERNATIONAL PEACE TIMES #7/2003

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე
Editor in Chief: Irakli Kakabadze

რედაქტორის მოადგილეები: ლაშა ბუღაძე, ლელა ცისკარიშვილი
Deputy Editors: Lasha Bughadze, Lela Tsiskarishvili

სარედაქციო კოლეგია: რატი ამაღლობელი, სალომე ასათიანი, გიგა ბოკერია, გიორგი მარგველაშვილი, რუსუდან მშვიდლობაძე, გაგა ნიჟარაძე, გიო სუმბაძე, გიორგი ხუციშვილი
Editorial Board: Rati Amaghlobeli, Salome Asatiani, Giga Bokeria, George Margvelashvili, Rusudan Mshvidobadze, Gaga Nizharadze, Gio Sumbadze, George Khutsishvili

დიზაინი / Design : ΓΟΣΛΑΒ

ყდაბე: ბაჩა მალაზონიას ფოტოები სერიიდან “ნინო”
Photos - Averde / Reverde: Bacha Malazonia from series “Nino”

განსაკუთრებული მადლობა: ნანა მელიტსკაურს (კორექტურული სამუშაოები)
Special Thanks: Nana Melitskauri (Technical Edition)

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5,1 სართული,
თბილისი 380005, საქართველო
საფოსტო მისამართი:
საფოსტო ყუთი 38,
თბილისი 380079 საქართველო
ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78
ფაქსი: 93-91-78

Address:

5 Machabeli Str., 1st Floor,
Tbilisi 380005, Georgia

Post Address:

PO Box 38,
Tbilisi 380079, Georgia

Tel: (995 32) 99-99-87, (995 32) 93-91-78

E-mail: iccn@iccn.ge

<http://www.iccn.ge>

© 2003 by ICCN

დრო მშვიდობისა

გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ

ფინანსური მხარდაჭერა „ქორდეისა“



The Peace Times

Published by the International Center on Conflict and Negotiation

Supported by Cordaid

შუნანალში გამოიქვეყნებული მისაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის ან კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას

შუნანალში გამოიქვეყნებული ტექსტების ან ფოტომასალების სხვა გამოცემებში გადამტანა შესაძლებელია მხოლოდ კონფლიქტოლოგიის ცენტრის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ცენტრისა და შუნანალის ლოგოს გამოყენების კესკლეების უფლება აქვს კონფლიქტოლოგიის ცენტრს

სარჩევი/**contents**:

შოთა ნადირაშვილი / რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?	6
ნანა ბერეკაშვილი / ქალია ადამიანი? ანუ პატრიარქატის ილუზიების ტყვეობაში	17
ბათურ ჭითავა / კონფლიქტების სათავეებთან საქართველოში	22
Irina Bagaeva / The Georgian - South Ossetian Conflict Approaches to the Solution and Measures of Prevention	34
ირინა ჯავახაძე / როგორ ავიცილოთ თავიდან ქუჩური კონფლიქტები თბილისის სინამდვილეში	44
შორენა ლორთქიფანიძე / ელიტა - ხელისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებები	54
გიორგი ლობჯანიძე / სად მდებარეობს ბოროტების სათავე	74
ასმათ სიხარულიძე / სტრუქტურული ძალადობა საქართველოში	85
ქრის კულემანსი / ბელანოვი	97
ანტონიე ჟალიცა / სარაევო	111
Jumber Khantadze / "Ridgeway"	127
ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა	145

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 1

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 1



PEACE SCIENCE

ԻՐԱԿԱՆԱԿԱՆ ԴՄՔԱԾԱՅԸ



რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

რატომ იშლება ქართველი ერის ერთიანობა? რას შეუძლია ქართველი ერის ისევ გაერთიანება?

შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი

1. ვეცდებით ვუპასუხოთ პირველ კითხვას: რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მაშინვე დაიწყო, როცა ქართველებისათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთის იმპერია ჩვენთან მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის არ მოსულა. რუსეთმა საქართველო თავის კოლონიად აქცია და მისი ასიმილაცია დაიწყო. ამ პროცესმა გარკვეული საფეხურები გაიარა. ეს საკითხი საგანგებო განხილვას მოითხოვს; აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ლიტერატურის, ხელოვნების და სხვა დარგების გამოჩენილმა მოღვაწეებმა და XX საუკუნის მეცნიერებმა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა თავისი საქმიანობის ძირითად საკითხად აქციეს. ისინი ქართველ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას უნერგავდნენ და მისთვის საბრძოლველად ამზადებდნენ. საბჭოთა პერიოდში იგივე საქმიანობას ქართული ელიტა უფრო ფარულ ფორმებში ეწეოდა და ქართველ ერს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ამზადებდა.

ქართველი ხალხი უკვე მზად იყო ებრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და, როცა შეიქმნა საამისო პირობები, მან ბრწყინვალედ შეასრულა ეს ამოცანა – მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა. ასეთი მზაობა მან გამოავლინა 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, 1921 წელს დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლის დროს, ასევე, 1979 წელს ქართული ენის დაცვის დროს. 9 აპრილის გრანდიოზული გამოსვლა დამოუკიდებლობის მოთხოვნით ამ ტენდენციის ნათელი გამოვლენა იყო. ქართველი ხალხი მზად იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში იგი

შოთა ნადირაშვილი / რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

ერთი მთლიანი სუბიექტის სახით მოქმედებდა. მან ნათლად გამოხატა თავისი ნება, თავისი „მე“ და მოიპოვა უფლება თავისუფალი ეროვნული სახელმწიფო გამხდარიყო.

ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზანმა გააერთიანა. ქართველი ერი მომზადებული იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის საბრძოლველად, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა ასეთივე მზაობა თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად. სამწუხაროდ, დღესაც ბევრისათვის ნათელი არ არის, რომ დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს თავისუფლებას; მათ შორის დიდი სხვაობაა.

ცნობილი ფსიქონალიტიკოსი და სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენელი ერის ფრომი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება ადამიანებსა და ერებს დიდი ფსიქოლოგიური სიძნელების წინაშე აყენებს. მისი მოპოვების შემდეგ მათ თითქოს „თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია“ უჩნდებათ. შემდგომში, უფრო ღრმა ანალიზის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ ერებსა და ადამიანებს გაქცევის ტენდენცია უჩნდებათ არა თავისუფლებისაგან, არამედ დამოუკიდებლობისაგან. ეს საკითხი უფრო არსებით განხილვას მოითხოვს. მას ჩვენ შემდგომში განვიხილავთ, აქ კი მოკლედ ვიტყვი, რომ ერი თავისუფალი გახდება, როცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავად შექმნის პირობებს თავისი სასიცოცხლო და სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თავად აირჩევს თავისი ცხოვრების გზას. დამოუკიდებლობა თავისუფლებისაკენ სვლის მხოლოდ ერთი, პირველი საფეხურია. ამ საფეხურზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ქართველი ერი ერთიანი და მთლიანი სულიერი ინსტანცია იყო.

ჩვენი წერილის პირველ კითხვაზე: „რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს“, შეგვიძლია ვუპასუხოთ: ქართველი ერი ამ დროს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზანმა გააერთიანა. ამ მიზანმა შეკრა ერი; იგი მთლიან, ძლიერ სუბიექტად იქცა. მან თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები თავისი მიზნის მისაღწევად წარმართა. ამიტომ მან წარმატებით მიაღწია თავის მიზანს, კარგად შეასრულა თავისი ამოცანა, მან ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

2. ამის შემდეგ ბუნებრივად დგება კითხვა – ასეთი წარმატების შემდეგ რატომ დაიშალა ქართველი ხალხის ერთიანობა?

გამორკვა, რომ ქართველ ერს არ შეუძლია თავისი ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მას ამისათვის არ გააჩნია ის მწირი საშუალებებიც კი, რაც მანამდე, სხვის მონობაში, ჰქონდა. ერი თუ მზად იყო დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა თავისი თავის მოვლისა და მართვისათვის, თავისუფალი ცხოვრებისათვის.

შოთა ნადირაშვილი / რაჭომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

ამ ვითარებაში მას ისევე სჭირდებოდა გარკვეული ახალი მიზანი, რაც მას ახალი მიმართულებით აამოძრავებდა. ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ქართველ ერს ვერ დაუსახა ახალი მიზანი. მიზნის გარეშე დარჩენილი ერი, რომელსაც დამოუკიდებლობის სიძნელეებიც აწვალებდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში ქართველმა ერმა და მისმა ხელისუფლებამ, როგორც ეგზისტენციალისტები იტყობენ, „უმწოდ, მიგდებულად, უპატრონოდ“ იგრძნო თავი და მას ამ მძიმე მდგომარეობიდან - დამოუკიდებლობისაგან - გაქცევის ტენდენცია გაუჩნდა, რაც სამი მიმართულებით გამოძვლავნდა: ერთი - უკან, ძველ პატრონთან, მის მფარველობაში დაბრუნების ტენდენციით, მეორე - ახალი პატრონის ძიებით და მესამე - „ნევროტული ფუსფუსით“, რითაც ხელისუფლებას სერიოზული საქმიანობის შთაბეჭდილების შექმნა უნდა.

I - ხელისუფლება, და ასევე მრავალი პარტია, ცდილობდა და დღესაც ცდილობს საქართველო დააბრუნოს უკან, რუსეთის წიაღში. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს რუსეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, რუსეთს საქართველოსათვის სიკეთე უნდა და სხვ. ამავე დროს ისინი საბჭოთა პერიოდის ცხოვრების იდეალიზაციას ეწევიან. მათი აზრით რუსეთი გვიხსნის დამოუკიდებლობის მიერ მოტანილი გაჭირვებისაგან.

II - დამოუკიდებლობისაგან გაქცევის მეორე ტენდენცია ახალი პატრონის ძიებით, ევროპის და ამერიკის მფარველობაში შესვლის მცდელობით გამოიხატა.

III - ტენდენცია „ნევროტული ფუსფუსით“ გამოიხატა ხელისუფლების მცდელობა, შექმნას სერიოზული საქმიანობის შთაბეჭდილება. იგი ხან ნაციონალიზმს, ხან კორუფციას, ხან კიდევ ტერორიზმს ებრძვის; ასევე, თითქოს დაძაბული მუშაობს, რომ ქვეყანა გადააქციოს „სატრანსპორტო დერეფნად“, ეწევა სამინისტროებისა და სხვა სახელისუფლებო ორგანოების ფასადურ რეორგანიზაციას. ზოგი მართლაც სასარგებლო საქმიანობა სახელმწიფო მშენებლობის ლამის უმაღლესი საქმიანობის რანგში აჰყავს, ნამდვილად კი თითქმის არაფერს აკეთებს სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის.

ამ საკითხებზე კამათმა დაქსაქსა ერი. ხელისუფლება არ მუშაობს იმისათვის, რათა ქვეყანაში შეიქმნას პირობები, რომელიც დააკმაყოფილებდა ერის სასიცოცხლო და სულიერ მოთხვნელებებს. ხელისუფლება ვერ იცავს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას. ქვეყანა გადაიქცა პოლიტიკურ უდაბნოდ, სადაც ჩამკვდარია ეროვნული ცხოვრება. ამ პოლიტიკურ უდაბნოში არ ისმის ადგილობრივი მცხოვრებლების ეროვნული პოლიტიკური ინტერესის გამოხატველი ხმა. აქ არ ჩანს ხელისუფლება, რომელიც იზრუნებდა თავის ერზე, დაუსახავდა თავის ხალხს ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებს. ასეთი მიზნებისა და ამოცანების გარეშე ერი იწყებს კვლამას. ასეთი ეროვნული ფუნდამენტური მიზნებისა და

ამოცანების შესახებ არაფერი იცის არც ხალხმა, არც უცხო ქვეყნებმა და არც თავად ხელისუფლებამ. ამის გამო უცხო ქვეყნები საქართველოს ისე ეპყრობიან, როგორც უპატრონო სივრცეს, უდაბნოს, სადაც არ ცხოვრობს თვითმყოფადი ერი, სუბიექტი, რომლის მოთხოვნებს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ უცხო სახელმწიფოები მას ეპყრობიან როგორც სივრცეს, სადაც წარმოიქმნა პოლიტიკური ვაკუუმი, სადაც ისინი მხოლოდ საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ებრძვიან ერთმანეთს. ამ უდაბნოში არ არის სუბიექტი, საკუთარი ინტერესების მქონე ინსტანცია, ერი, ვისაც ანგარიში უნდა გაუწიონ. ამის გამო ჩვენს ქვეყანასთან შეუძლებელია თანასწორობის საფუძველზე თანამშრომლობა. არ არსებობს ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტური მიზანი, მიზანთა სისტემა, რომელთანაც სხვა ქვეყნები ეცდებოდნენ თავისი მიზნების შეთანხმებას. ერთადერთი ტენდენცია, რაც უცხო სახელმწიფოებს ჩვენი ქვეყნის მიმართ უჩნდებათ, არის ამ პოლიტიკური უდაბნოს, ვაკუუმის შევსება-დაუფლება. ჩვენი ქვეყნის გამო უცხო სახელმწიფოებს შორის აღძრულ ურთიერთდაპირის-პირებაში სრულიადაც არ არის გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ინტერესები; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხელისუფლება მთლად გულგრილი არ არის უცხო ქვეყნების დაპირისპირების მიმართ. ჩვენი ხელისუფლების ურთიერთობა აღნიშნულ სახელმწიფოებთან საკუთარი, პირადული ინტერესების მიხედვით ხორციელდება. ამითაა გამოწვეული ის საოცრად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი ორიენტაციები, რაც უცხო ქვეყნების მიმართ ჩვენს ხელისუფლებას, სხვადასხვა პარტიებსა და ხალხს აქვთ.

როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის ერთიანობა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კატასტროფულად იშლება. ხელისუფლება გაურბის არსებითი ეროვნული საკითხების განხილვას, მას არ გააჩნია ფუნდამენტური ეროვნული მიზანი. სულ უფრო იზრდება ცალკეული უმნიშვნელო საკითხების რიცხვი, რომელთა განხილვის დროს საზოგადოება დაპირისპირებულ ჯგუფებად იყოფა. ამიტომ ერთმანეთთან ქიშპი და ბრძოლა ჩვენი ცხოვრების წესად იქცა. ეს აძლიერებს ერის მთლიანობის რღვევას. ერი, რომელსაც ფუნდამენტური, ეროვნული მიზანი არა აქვს, იშლება.

ხელისუფლებამ ვერ დასახა ერის ფუნდამენტური მიზანი, თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა; მეტიც, მან შექმნა პირობები, რომელშიც შეუძლებელია სახელმწიფოს აშენება.

ხელისუფლებამ მიიღო და აამოქმედა კანონები, რამაც ჩვენი მრეწველობა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო, შეუძლებელი გახდა მისი ამუშავება. დაანგრია და ჯართად გაყიდა ქარხნების მეტი ნაწილი.

ხელისუფლებამ ასევე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სოფლის მეურნეობა;

შოთა ნადირაშვილი / რატომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

ვითომ თავისუფალი ბაზრის მოთხოვნით, ნამდვილად კი პირადი ინტერესის გამო, ჩვენი ბაზარი გაავსო უცხოური ფალსიფიცირებული იაფფასიანი პროდუქციით, რითაც ქართველი გლეხის პროდუქციას ჩვენს ბაზარზე გასასვლელი გზა დაუხშო.

ასევე კატასტროფულ მდგომარეობამდე მივიდა ეროვნული ხელოვნება, განათლება და მეცნიერება. ხელისუფლებამ ისინი ყურადღების გარეშე დატოვა. შეიქმნა პირობები უცხოური კულტურის მექანიკური გადმოტანისა. ჩვენი ახალგაზრდობა მოწყდა ეროვნული კულტურის წყაროებს, რომელსაც ისტორიულად ეყრდნობოდა ჩვენი წინაპარი. ხელისუფლება არ ეხმარება ჩვენი კულტურის მოღვაწეებს, განავითარონ და დაიცვან ეროვნული კულტურა და ითანამშრომლონ დასავლეთის კულტურის წარმომადგენლებთან.

ყურადღების გარეშე დარჩა სკოლა. იქ გათბობის, ჰიგიენის და მასწავლებლის ხელფასის საკითხები მოუგვარებელია. ხელისუფლების მიერ უმაღლესი სასწავლებელიც უყურადღებოდ არის მიტოვებული. არ არის ძნელი მისახვედრი, თუ მომავალში რას უქადის ერს სასწავლო ინსტიტუტების დეგრადირება.

ასევე მძიმე მდგომარეობაშია მეცნიერებაც. უმაღლესი დონის მეცნიერთა ხელფასი საარსებო მინიმუმის ნახევარზე ბევრად ნაკლებია. სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული სამეცნიერო ინსტიტუტები.

ცუდ მდგომარეობაშია ქვეყნის თავდაცვის სისტემა. როცა ხელისუფლება არ აშენებს თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოს, მაშინ სამშობლოს დაცვა პრესტიჟულ საქმედ არ ითვლება. სამშობლოს მაგივრად ხელისუფლების დაცვისათვის ძნელია თავის გაწირვა. ამიტომ ახალგაზრდობა თავს არიდებს ჯარში წასვლას. ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა და ჯარის სამსახურად გადაქცევა კი ხელისუფლებას არ შეუძლია.

ასევე მძიმე მდგომარეობაა საგარეო საქმეთა სამსახურშიც. ჩვენი ეროვნული მიზნებისა და ამოცანების შესახებ უცხო სახელმწიფოებმა არაფერი იციან. მათთვის ნათელი არ არის, თუ რაში უნდა დაგვეხმარონ. ამიტომ ისინი თავისი მიზნების შესატყვისად გვეხმარებიან, რის საფასურადაც ჩვენ, ალბათ, მალე დამოუკიდებლობაზე გარკვეული დოზით უარის თქმა მოგვიწევს.

როგორც ვხედავთ, ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის საჭირო დარგები არ ვითარდება, უფრო მეტიც, ხელისუფლება ქმნის პირობებს, რაც კიდევ უფრო აძნელებს ამ დარგების მდგომარეობას. ყოველივე ამის გამო ხალხს უჭირს თავის გატანა, გამრავლდნენ უმუშევრები და მათხოვრები. ხალხის დიდი უმრავლესობის ხელფასი სიღარიბის საზღვრისაგან კატასტროფულად დაბლაა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ საბჭოთა სის-

ტემისაგან განსხვავებით, ისეთ სისტემაში შევდივართ, სადაც არა სახელმწიფომ, არამედ თავად ადამიანებმა უნდა იზრუნონ თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფაზე. მაგრამ მათ ავიწყდებათ საკუთარი თავის მიმართ ამავე მოთხოვნის წაყენება. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ხელფასს ხალხის მიერ შეტანილი გადასახადებიდან იღებენ და ის განუსაზღვრელად და უხერხულად უფრო დიდია, ვიდრე კვალიფიცირებული სპეციალისტის ხელფასი.

ამრიგად, კითხვას - „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რამ გამოიწვია ქართველი ერის ერთიანობის დაშლა, რაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სულ უფრო ძლიერდება?“ - შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს:

საქართველოს ხელისუფლებამ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერ შეძლო ერისათვის ახალი ეროვნული მიზნის დასახვა. ერი მიზნისა და ამოცანის გარეშე დარჩა, რის გამო დაიწყო ერის ერთიანობის დაშლა, დაქუცმაცება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად და პარტიებად. მათ ძირითად საქმიანობად პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იქცა. ამას მოჰყვა ღირებულებათა სისტემის რღვევა, რაც გარკვეული გამოკვლევების საფუძველზეც დადასტურდა.

დაახლოებით 20 წლის წინათ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართველი ხალხი 22 ძირითადი ღირებულებიდან ეროვნულ და სულიერ ფასეულობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ახლახან ჩატარებულმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ხალხი სულიერ და ეროვნულ ფასეულობებთან შედარებით მეტ მნიშვნელობას უკვე მატერიალურ და პირადულ ხასიათის მქონე ღირებულებებს ანიჭებს.

როცა საზოგადოებაში ადამიანის ღირსებასა და პრესტიჟს ძირითადად ფული და სიმდიდრე განსაზღვრავს, მაშინ ადამიანები ადვილად ერთგებიან კორუფციასა და უკანონო საქმიანობაში. სოციალურ ფსიქოლოგიაში კარგადაა ცნობილი, რომ მხოლოდ დასჯით კორუფციისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა არ იძლევა სასურველ ეფექტს.

ჩვენი ხალხის ერთიანობის დაკარგვის შედეგად, ჩვენში დაინერგა ერთი სამწუხარო ტენდენცია: ჩვენს საზოგადოებაში ანალიტიკური აზროვნების საპირისპიროდ პოზიციური აზროვნება გაბატონდა.

როგორც ცნობილია, აზროვნება, ჩვეულებრივად, პრობლემური სიტუაციების ანალიზსა და ჭეშმარიტების წვდომას ემსახურება. სოციალური ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა მიზნის მქონე ადამიანები სიძნელების აღმოცენების დროს განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ და სიტუაციის ანალიზისა და ჭეშმარიტების ძიების მაგიერ მხოლოდ თავისი პოზიციების დაცვას და მოწინააღმდეგის პოზიციის უარყოფას ცდილობენ. აზროვნება ამ დროს

შოთა ნადირაშვილი / რაჭობ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

თავის არსებით ანალიტიკურ ფუნქციას კარგავს და „პოზიციური“ ხდება. ჩვენს საზოგადოებაში, სადაც თითქმის აღარ არსებობს ზოგადი ეროვნული ამოცანა და გამრავლდა განსხვავებულ პოზიციებზე მდგარი სოციალური ჯგუფები, უკიდურესად გაძლიერდა პოზიციური აზროვნების ტენდენცია. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ჩვენ, ძირითადად, პოზიციური აზროვნების ნიმუშებს ვხვდებით. დაპირისპირებული პოზიციის მქონე ადამიანები ერთმანეთს ებრძვიან და, ჭეშმარიტების ძიების ნაცვლად, ერთმანეთის დამარცხებას ცდილობენ. ამ ტენდენციას, რატომღაც, ზოგიერთი დიქტორი და კორესპონდენტი მთელი ძალისხმევით აღვივებს. ეს მოვლენა საზოგადოების შემდგომი რღვევის ხელისშემწყობ პირობად იქცა.

3. ჩვენ ახლა უკვე პასუხი უნდა გავცეთ მესამე კითხვას: „რა უნდა გაკეთდეს ქართველი ერის გაერთიანებისათვის?“

სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც საქართველომ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა, იგი უნდა გადავიდეს თავისუფლებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპზე. ამ ვითარების შესატყვისი ამოცანა მას ხელისუფლებაში უნდა დაუსახოს. ასეთი ამოცანა თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენებაა. ასეთი სახელმწიფოს აშენების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ერმა თავისი აქტივობით შექმნას პირობები, სადაც შესაძლებელი იქნება ერის მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნის შესრულებისათვის ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად.

დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს შენებისათვის აუცილებელ დარგებად ითვლება ეროვნული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები მათი ამოქმედებისა და განვითარებისათვის. ერი დასახლებულია გარკვეულ ტერიტორიაზე და ხელისუფლებამ უნდა შექმნას სახელმწიფოს დაცვის სისტემა, რომელიც დაიცავს ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიას, მის მთლიანობას. ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა გულისხმობს ამ ერის ენის, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული კულტურის, განათლების და მეცნიერების განვითარებას, მათ ეროვნული ცხოვრების სამსახურში ჩაყენებას. ცხადია, ამ საქმიანობათა უფრო დეტალური და არსებითი განსაზღვრა არის საჭირო, რისთვისაც ხელისუფლებამ ამ პროცესების მართვაში სათანადო სპეციალისტები უნდა ჩართოს, ხოლო მათი განხორციელება მთელი ქართველი მოსახლეობის მონაწილეობით შეიძლება მოხდეს.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თავისუფლებისაკენ

სვლის მეორე საფეხური თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენებაა.

დღეისათვის ქართველი ერის ამოცანაა აირჩიოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქართველ ერს დაუსახავს ფუნდამენტურ მიზანს. ამით ქართველი ერი შექმნის თავისი ფიზიკური და სულიერი არსებობისათვის საჭირო პირობებს.

ასეთი საქმიანობა გამოაცოცხლებს საქართველოს პოლიტიკურ უდაბნოს. სახელმწიფოები, რომლებიც ჩვენთან თავისი მიზნებით მოდიან, შეეცდებიან ანგარიში გაუწიონ ჩვენს მიზნებსაც. მათთვის ჩვენი ქვეყანა აღარ იქნება პოლიტიკური უდაბნო, უსუბიექტო და უპიროვნო სივრცე, ვაკუუმი, სადაც არ არსებობს ადგილობრივი ერის მიზნები და ამოცანები.

ქართველმა ხალხმა, ხელისუფლებასთან ერთად, უნდა ჩამოაყალიბოს მოცემული ვითარების შესატყვისი თავისი მიზანი. ასეთი მიზანი დღეს თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენებაა. მხოლოდ ასეთი ამოცანის შესრულების პროცესში შეიძლება ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენა.

4. ჩვენ კიდევ ერთი საკითხი უნდა განვიხილოთ, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის მოწინააღმდეგეთათვის.

ზოგი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა ქვეყანას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მორევში ჩაითრევს. ეს შეხედულება მცდარია. იგი თავისუფლებისაკენ სვლის თავისებურებას ვერ ითვალისწინებს. ჩვენ ამ საკითხს შემდგომში საგანგებოდ განვიხილავთ, ახლა კი ვიტყვი, რომ ა) ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა შესაძლებელია ქვეყანაში ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გარეშე; ბ) ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა; გ) აღნიშნულ ვითარებაში დემოკრატიული პრინციპებით სახელმწიფოს მშენებლობის მცდელობით შეუძლებელია დაშლილი ერის გაერთიანება; დ) ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა აუცილებლად გულისხმობს მასში მთელი ხალხის ჩართვას, დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

ა) უპირველეს ყოვლისა, იმის გაცნობიერებაა საჭირო, რომ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას აუცილებლად არ მოსდევს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის განვითარება. ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელია, თუ ხელისუფლება არ იზრუნებს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და მიზნების დაკმაყოფილებაზე და ქვეყნის გარეთ, სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზით, თავისი ძალების განვითარებაზე. ამ პროცესების წარმატებით განხორციელება გამორიცხავს ქვეყნის შიგნით სხვა ერის წარმომადგენლებისა და გარეთ – სხვა ეროვნული სახელმწიფოების მი-

შოთა ნადირაშვილი / რაჭომ იყო ქართველი ერი ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს?

მართ - ნაციონალისტური და შოვინისტური პოლიტიკის გამოყენებას. ყოველი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა მისი ერის ბუნებისა და პრინციპების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. სახელმწიფოს ეროვნული ორიენტაციის საფუძველზე აგება მკვიდრი ერისაგან ყველა დანარჩენი ერის პატივისცემას გულისხმობს. ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ქართველი ერი დადებითად განეწყობა ყველა ერისადმი, რომელიც თავის ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია ეროვნული თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა.

ბ) ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საჭიროდ თვლის, რომ ერმა და მისმა ხელისუფლებამ არა ეროვნული, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. ამის მაგალითად ამერიკას ასახელებენ. ამერიკა მართლაც არ არის ეროვნული სახელმწიფო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი თავისი ქვეყნიდან გაქცეულმა, თავისი ეროვნების უარყოფელმა ხალხმა შექმნა. ზოგი მათგანი სასჯელს გაერიდა, ზოგი თავისუფლებისაკენ ილტვოდა. ისინი ინდიელების ტერიტორიაზე დასახლდნენ, უარი თქვეს საკუთარ ეროვნულ ღირებულებებზე და შექმნეს სახელმწიფო, რომელიც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ემსახურებოდა. მათ დიდი შინა და გარე ბრძოლები გადაიტანეს მონობისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლები ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვას არ ემსახურებოდა. მათ ენა, სამართალი, მუსიკა, ლიტერატურა და კულტურის სხვა დარგები სხვადასხვა ქვეყნიდან გადმოიღეს. მათ ქვეყნიდან განდევნეს და რეზერვაციაში შერეკეს ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობა, მათი ტერიტორია თავის კუთვნილებად გამოაცხადეს და დაიწყეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ეს სახელმწიფოს მშენებლობის მართლაც უნიკალური შემთხვევა იყო. აშშ არის სახელმწიფო, რომელსაც ეროვნება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ გააჩნია. ჩვენ შემდგომში ცალკე საგანგებოდ ვილაპარაკებთ იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც ამერიკა თავის ხალხში ეროვნებასთან მიახლოებულ თვისებათა შექმნას ცდილობს. ამერიკა ცდილობს, როგორმე შეიძინოს ეროვნულობა, ჩვენ კი ვცდილობთ დავკარგოთ იგი.

ჩვენი ხელისუფლების მცდელობა, ეროვნების გვერდის ავლით, ამერიკული გზით დემოკრატიული პრინციპებით სახელმწიფოს აშენებისა, მარცხისათვის არის განწირული. თუ ხელისუფლება სახელმწიფოს აშენებას ამერიკული გზით შეეცდება, მაშინ საქართველომ უარი უნდა თქვას თავის ისტორიაზე, კულტურაზე, ქართულ ენაზე და სხვა ეროვნულ ღირებულებებზე. ხელისუფლებამ მოსული, სხვა ერების დახმარებით, რომლებიც თვითონაც უარს იტყვიან

თავის ეროვნულობაზე, რეზერვაციაში უნდა გაიყვანოს ქართველი ხალხი და საქართველოში არაეროვნული დემოკრატიული სახელმწიფო ააშენოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველი ხალხი ამაზე დათანხმდეს. არც ხელისუფლებას აქვს ამისი რეალურად გაკეთების ძალა. მაგრამ ფაქტობრივად ამის გაკეთებას გულისხმობენ, როდესაც ეროვნულობის გარეშე დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას ცდილობენ.

დ) ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა ანტიდემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას არ ნიშნავს. ერის გაერთიანება მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობით შეიძლება. ამ დროს ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცემა მთელი ქართველი ხალხი ჩართოს ამ პროცესში, რაც კარგ პირობას ქმნის ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დასანერგად. ამ გზით ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლევა საქართველოში თავისუფალი, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისა.

P. S. აღნიშნული სტატია დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწერა, მაგრამ მაშინ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ეროვნულობის მიმართ მაშინ ხელისუფლება და გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფებები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში, ხელისუფლების მიმართ ხალხის უარყოფითი დამოკიდებულების ზრდის გამო, ხელისუფლებამ დაიწყო ლაპარაკი ეროვნული ინტერესების დაცვის საჭიროებაზე. ეროვნულობა აღარ ითვლება ნაციონალისტურ ჭაობად და მისი მომხრეები აღარ ცხადდებიან პროვინციულ ფაშისტებად, მაგრამ ცალკეული საკითხების განხილვის დროს ასეთი აღიარება საკმარისი არ არის ჩვენში აღძრული ერის რღვევის პროცესის შესაჩერებლად. ამ საკითხების შესახებ უკვე აშკარად ლაპარაკობენ, მაგრამ მათი პრინციპული, არსებითი გადაწყვეტის გარეშე ქვეყნის ქაოსისაკენ სვლის შეჩერება შეუძლებელია, ჩვენს ხელისუფლებას კი არა აქვს რაიმე რეალური ფუნდამენტური მიზანი, ამოცანა, გეგმა ან პროექტი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ერის გამთლიანება, მისი საქმიანობის გარკვეული, ერთი მიმართულებით წარმართვა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ წერილის დაბეჭდვა. მასში ბევრი რამე შეიძლება აღმოჩნდეს საკამათო, მაგრამ ერთი რამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუ საქართველოს არ ექნება ახალი ფუნდამენტური ეროვნული მიზანი – თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება – შეუძლებელი იქნება მისი კვლავ გაერთიანება.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 2

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 2

ქალია ადამიანი?

ანუ პატრიარქატის ილუზიების ტყვეობაში

ნანა ბერეკაშვილი

ყოველთვის მაკვირვებდა, თუ როგორ მონდომებით ცდილობდნენ თვითონ ქალები, გაემართლებინათ ან თვალი დაეხუჭათ იმ მდგომარეობაზე, რომელშიც დღეს საქართველოში იმყოფება ქალი. ამ პრობლემას განსაკუთრებით დიდი მასშტაბით გადავაწყდი ქალთა ჯგუფებში ტრენინგების ჩატარებისას და სტუდენტურ აუდიტორიაში, სადაც ლექციებს ვკითხულობ გენდერულ სწავლებაში. არგუმენტები მრავალფეროვანია, მაგრამ, საერთო ჯამში, ოთხ კატეგორიად ლაგდება. არის შემთხვევები, როცა ქალის მეორეხარისხოვანი, მამაკაცზე დამოკიდებული, პიროვნული და ადამიანური თვალსაზრისით არასრულფასოვანი მდგომარეობა, ერთგვარ პრივილეგიადაც კი ცხადდება, და ქალის მიმართ პატივისცემის მითის სახით ფორმდება („ქალის სისუსტე – მისი ძლიერებაა“, „ქალს არ აკეთებინებენ მძიმე საქმეს, იმიტომ რომ პატივს სცემენ“, „ხომ ყოველთვის სვამენ ქალის სადღეგრძელოს? ეს პატივისცემის გამოა“).

მეორე სახის არგუმენტებში ქალის მეორადობა და მისი აღქმა არასრულფასოვან სუბიექტად, ბუნებრივი და ამდენად „რეალური“ ვითარებით აიხსნება. „ქალი ხომ მართლაც ნაკლებუნარიანი, ნაკლებ ინტელექტუალური, ნაკლებ ზნეობრივი და ბოლოს და ბოლოს, ნაკლებ ძლიერი არსებაა, ამბობენ ისინი, მათი სტატუსიც აქედან მოდის“. ამ დროს დამახასიათებელია, რომ ისინი ერიდებიან ნაცვალსახელს „ჩვენ“, რადგან სულაც არ სურთ ამ ნაკლებ არსებასთან თავის გაიგივება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ქალების კატეგორია, რომლებიც უბრალოდ უარყოფენ მამაკაცებთან შედარებით თავიანთ დაბალ სტატუსს და ნაკლებ უფლებებს. „რაში გამოიხატება ჩვენი უუფლებობა? განა ჩვენ არ გვყავდა თამარ მეფე ან ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე ქალი არ არის? ვინ უშლის ქალს იმის გაკეთებას, რაც სურს? კანონითაც ხომ თანასწორნი ვართ...“ და ასე შემდეგ.

დიანს, ქალები თვითონვე აკანონებენ და იცავენ თავიანთ მდგომარეობას, ზუსტად ისევე, როგორც ამას გააკეთებდნენ მამაკაცები. კაცებისგან ხშირად მესმის, რომ „თქვენ თვითონ უშლით ხელს სხვა ქალების თავისუფლებას და წარმატებას“. გეთანხმებით, თუ არ გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც მიუთითებს ქალს თავის ადგილზე, ამას გააკეთებს ქალი, რათა მამაკაცების მოსაწონი მამაკაცური წესრიგი დაამყაროს. ეს პატრიარქალური ცნობიერების და ყოფის ერთ-ერთი

ატრიბუტია. იმის ანალოგიურად, თუ ტირანი ბატონის ერთი რომელიმე ქვე-შევრდომი მისთვის არასასურველად იქცევა, ყოველთვის გამოჩნდება მეორე (ან ბევრი „მეორეები“) „მონალისე“, ვინც დამრღვევს დატუქსავს, დააბეზლებს და მის სასტიკ დასჯას მოითხოვს, რათა ბატონის ლოიალობა დაიმსახუროს. და ასე გრძელდება „ბედნიერი და კმაყოფილი“ მონების დიქტატი საკუთარ „დისიდენტ თანატომელებზე“. კაცებს ყოველდღიურად არც სჭირდებათ პატრიარქატის ხელახლა განმტკიცება. ამას აწყობილი სისტემა აკეთებს, რომლის მნიშვნელოვან მექანიზმს თვით ქალები წარმოადგენენ.

ეჭვი გეპარებათ, რომ პატრიარქატში ვცხოვრობთ? ალბათ არა. მაგრამ თუკი ეჭვი მაინც არსებობს, რადგან ხშირად გავიგონებთ, რომ ოჯახში ქალები ფარული ლიდერები არიან, რომ ქვეყანას პრეზიდენტი კი არა, მისი ცოლი მართავს, ან, რომ ქალს ეშმაკობით შეუძლია კაცს ყველაფერი გააკეთებინოს – ე.ი. ქალი მალულად ახორციელებს თავის გავლენას და ე.ი. ბატონობს, გიპასუხებთ: სწორედ ასეა, და სწორედ ეს არის პატრიარქატის ძირითადი მახასიათებელი. ქალს პატრიარქატში ან სულ არ აქვს ძალაუფლების და მოვლენებზე კონტროლის საშუალება – ის მხოლოდ კაცის ჩრდილია, ან ამას ფარული, ირიბი გზებით - „ეშმაკობით“ ახერხებს. ამ შემთხვევაში კაციც მოტყუებულია, რადგან მისი ჩუმი მანიპულირება ხდება, რაც, დამეთანხმებით, მის ღირსებას უნდა ლახავდეს, ხოლო ქალს, თუ მას რაიმეს კეთების პრეტენზია აქვს, ისღა რჩება, რომ ინტრიგანი, ცბიერი, ეშმაკი არსების საშუალებებით ისარგებლოს. ცნობილია, რომ, თუ ადამიანს, მისი დაბალი სტატუსის გამო არ შეუძლია გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, მას არაპირდაპირი გზებით უხდება სვლა. მათ შორის ქალსაც.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ პატრიარქატი არის მამათა (მამაკაცთა) ბატონობა. ბატონობა კი გამოიხატება იმაში, რომ ძალაუფლება, კონტროლი, პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება მხოლოდ მამაკაცის პრივილეგიაა, ხელისუფლებიდან დაწყებული, დამთავრებული ოჯახით. ხელისუფლების პატრიარქალურ ბუნებაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავხედოთ მარტივ სტატისტიკას. ჩვენს პარლამენტში ქალების საერთო რაოდენობა 6%-ს შეადგენს. მთელი საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალების დაახლოებით 10%-მდეა და ნიშანდობლივია, გავლენის სფეროს ზრდასთან ერთად მცირდება ქალთა რაოდენობა. მკაცრად დიფერენცირებულია, რომ არ ვთქვათ სეგრეგირებული, მაღალი თანამდებობები სფეროს მიხედვით – ეკონომიკა, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო უშიშროება და ა.შ. ტოტალურად მამაკაცურია. ეს კი ის სფეროებია, სადაც თავმოყრილია ნამდვილი ძალაუფლება და ფული. ქალები ნაწილობრივ დაშვებულნი არიან კულტურის, განათლების, ადამიანის უფლებათა და ბუნების დაცვის სფეროებში, სადაც რეალურად, მაინც ვერ ახერხებენ ძალაუფლების გამოყენებას (გავიხსენოთ ჩვენი ატირებული კულტურის მინისტრი).

ყოფით დონეზე მამაკაცი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს გადაწყვეტილების მიღების მონოპოლიზაციით, ოჯახის უფროსის ინსტიტუტით, გადაადგილების თავისუფლებით (რაც კარგად ჩანს იმაშიც, რომ თუ ოჯახში ერთი მანქანაა, ის მამაკაცის ხელშია), ბოლოს და ბოლოს, გაიხსენეთ, ვის ხელში ექცევა ტელევიზორის დისტანციური მართვის პულტი.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც მე ნაწილობრივ ვეთანხმები, იმაში მდგომარეობს, რომ ქალებს უბრალოდ არ სურთ არც ძალაუფლება და არც კონტროლი, თორემ „თუ ქალი გაიწევს...“. დიახ, არ სურს. მაგრამ რატომაა ქართველი ქალის ნება ასე დათრგუნული? რატომ სურს ეს ევროპელ ან ამერიკელ ქალს? იმიტომ, რომ სჯერათ, რომ შეუძლიათ. და მართლაც შესძლებიათ. ქართველი ქალის თვითშეფასება კი მეტად დაბალია. ესეც პატრიარქალური აზროვნებაა. „მე არ მინდა“, „მე არ შემიძლია“, „ეს ჩემი საქმე არ არის“ – აი ფორმულა, რომელსაც თავს აფარებს ქალების უმრავლესობა. მაგრამ ეს ხომ უპასუხისმგებლო ადამიანის პოზიციაა. გვაქვს კი უფლება, ვიყოთ ასეთი უპასუხისმგებლონი და მთლიანად მამაკაცებს ვანდოთ ყველა გადაწყვეტილება – ჩვენი ქვეყნის მართვა, ომისა და მშვიდობის საკითხები, ჩვენი საცხოვრებელი გარემოს სისუფთავე, ჰუმანური ღირებულებების დანერგვა, ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ორიენტაცია, ბავშვებისთვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნა და მრავალი სხვა, რომელიც დღეს მამაკაცთა პრეროგატივაა? რა მოგვიტანა ასეთმა უპასუხისმგებლობამ და მამაკაცებზე ბრმა მინდობამ? ტოტალიტარული მსოფლმხედველობა, უზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, დანგრეული მეურნეობა, პატრიარქალური ავყია ტრადიციების ზეობა, ძალადობის კულტი, განადგურებული ბუნება, კორუფცია, ტოლერანტობის დეფიციტი და მრავალი სხვა გამონატულება მამაკაცთა უკონტროლო თარეშისა „ამა ქვეყანასა შინა“.

მაშ რა არის ის, რითაც მამაკაცის მდგომარეობა გლობალურად განსხვავდება ქალისაგან. რა არის ის, რაც საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ ქალის დისკრიმინაციაზე პატრიარქატში მაშინაც კი, თუ არ არსებობს აშკარა ჩაგვრის მაგალითები (თუმცა ასეთებიც მრავლად მოიპოვება). და ბოლოს, რა განსაზღვრავს ადამიანად, მოქალაქედ, სრულფასოვან პიროვნებად ყოფნის პირობას? ესაა დამოუკიდებლობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ინიციატივა და კონტროლი. ამ ღირებულებებისკენ სწავვის გარეშე ვერ წარმოვიდგენთ განვითარებულ და თვითრეალიზებულ პიროვნებას. და სწორედ ამის უქონლობას (ან უკიდურეს შეზღუდვას) აკანონებს ქალებისათვის პატრიარქატი. პატრიარქატში უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის სოციალური ინსტიტუტი, რომელშიც გამოყენებულია ამგვარი აზროვნება, რადგან პატრიარქატი არის პირველ რიგში აზროვნების ყაიდა, ან უფრო სწორედ იდეოლოგია, რომელსაც ახლავს თავისი პრაქტიკა. თუ ქალები ამას ვეთანხმებით, ჩვენ თავიდანვე ხელს ვაწერთ ჩვენს არასრულფასოვნებაზე და ვიმსახურებთ კიდევაც ამას. პატრიარქატის

გაგრძელება პირობაა იმისა, რომ ქალი ვერ ამაღლდება ადამიანის, და მით უმეტეს, პიროვნების მდგომარეობამდე. თუ გეჩვენებათ, რომ უტრირებას ვახდენ, შევასრულოთ ასეთი დავალება: წარმოიდგინეთ ადამიანი, დაფიქრების გარეშე. ვინ წარმოიდგინეთ, ქალი თუ მამაკაცი. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობამ მამაკაცი წარმოიდგინა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი თხრობის კონტექსტი საწინააღმდეგოსკენ გვიბიძგებდა. ამრიგად, ადამიანი ჩვენ გაიგივებული გვყავს კაცთან. ის ბუნებრივად ადამიანია. სხვათა შორის, ადამიანის ქართული ეტიმოლოგიაც (ადამიანი) კარგად მიუთითებს ამაზე. ქალის ადამიანობა კი ეჭვის ქვეშაა. შემთხვევითი არაა, რომ IV საუკუნეში ნიკეის საეკლესიო კრებაზე მთელი სერიოზულობით დადგა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ქალი ადამიანი, ხოლო მეკონის კრებაზე - აქვს თუ არა ქალს სული (ანუ ადამიანად ყოფნის ძირითადი ატრიბუტი). ალბათ, მაღლობა უნდა ვუძღვნათ ჩვენს წინაპრებს, რომ, მართალია ერთი ხმის უპირატესობით, მაგრამ მაინც, კრებამ გადაწყვიტა, რომ აქვს. საპიროსპირო განაჩენი რომ გამოეტანა, ნეტა რა მდგომარეობაში ვიქნებოდით დღეს?


საგულისხმოა რელიგიების როლი ქალის ადამიანად ცნობის საკითხში. ეკლესია, როგორც პატრიარქატის ბურჯი, სისტემატურად აკნინებდა ქალის მდგომარეობას და სხვადასხვა დროში ქალს აცხადებდა უბრალოდ მამაკაცის დამხმარედ და მორჩილად, ან ცოდვის წყაროდ, მაცდუნებლად, ეშმაკის ხმად, უწმინდურად, და ა.შ.

მაშ რაშია პრობლემა? უნდა თუ არა ქალს, იყოს ადამიანი? მაშინ მან უნდა თვალი გაუსწოროს პატრიარქალურ სინამდვილეს, აღიაროს, რომ მეორე პოზიციებზე დგომა არც საამაყოა და არც პრივილეგია და შეეცადოს, შეცვალოს თავისი მდგომარეობა – გაიზიაროს თანაბარი დოზით დამოუკიდებლობა, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ინიციატივა და კონტროლი. და გააკეთოს ეს ღიად და ამაყად და არა, ფარულად და უკანმოხედვით (ვინმეს ამით არ ვაწყენინო). როგორ შეიძლება აწყენინო ვინმეს ადამიანად ყოფნით? განა საზოგადოება მაღლობელი არ უნდა დაგვრჩეს, თუ მასში ნახევარი ადამიანების მაგივრად ყველა ადამიანი და, შესაბამისად, მოქალაქე იქნება? არ წავიდა ის დრო, როცა ქალები, ბავშვებთან, მოხუცებთან, ინვალიდებთან ერთად რაღაც დანამატის მდგომარეობაში იყვნენ?

პროგრესული სამყარო ქალების სცენაზე გამოსვლას ინტერესით, იმედით და, ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ, სამართლიანად აღიქვამს. პატრიარქალური აზროვნება და პრაქტიკა ისეთივე სირცხვილია, როგორც რასიზმის აშკარა ფორმების დემონსტრირება. არ დაგვავიწყდეს, რომ იმ სამყაროს „ძირძველი ტრადიციებიც“ ცალსახად პატრიარქალური იყო. ასე რომ, ვიფიქროთ ქალებმა, დავრჩეთ პატრიარქატის ილუზიებში და ადამიანური ღირებულებების ერზაცით დაგვიკაყოფილდეთ, თუ შევბედოთ „ადამიანობას“? იქნებ გამოგვივიდეს!

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 3

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 3

კონფლიქტების სათავეებთან საქართველოში

ბათურ ჭითავა, პოლიტოლოგი

მართლაც რომ საინტერესოა, თუ რა წარმოშობს, რა უწყობს ხელს სტრუქტურული კონფლიქტის განვითარებას, მის სიცოცხლისუნარიანობას, რატომ არ შეიძლება იარსებოს ადამიანმა თუ ერმა, დიდმა თუ პატარამ, სუსტმა თუ ძლიერმა, ღარიბმა თუ მდიდარმა, და, ბოლოს და ბოლოს, გრძნობამ თუ აზრმა, კონფლიქტის გარეშე (უკონფლიქტოდ)? - რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ცალ-ცალკე განვსაზღვროთ კონფლიქტისა და სტრუქტურულის ცნებები.

რა ფენომენია კონფლიქტი? კაცობრიობის არსებობის მთელს მანძილზე, ყოველთვის, დაწყებული პირველყოფილი თემური წყობილებიდან, იყვნენ მჩაგვრელები და ჩაგრულები, მხოლოდ და მხოლოდ იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ყველას უნდოდა იერარქიულ კიბეზე რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე მდგარიყო, ჰქონოდა ძალაუფლება, სიმდიდრე და მასებს მისი დიქტატის ქვეშ ეცხოვრათ. მაგრამ ამ ყველაფრის მიღწევა და განხორციელება, აისახებოდა დაუნდობელ, როგორც ძალისმიერ, ისე სიტყვიერ ბრძოლაში, რომელიც რაღაც გარკვეულ ეტაპზე წარმოშობს კონფლიქტს. ეს კონფლიქტი მეტად დინამიური ფენომენია და მისი დარეგულირება არ ხერხდება ჩვეულებრივი მოლაპარაკებით, განსხვავებით უთანხმოებისაგან, რაშიც სრულებით ვიზიარებ ჯონ ბარტონის აზრს. უფრო მეტიც, არა მარტო ვიზიარებ, არამედ შევეცდები განვაგრძო ბარტონის შეხედულება კონფლიქტის რაობაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე, რაც მისი თვალსაზრისით, მდგომარეობს ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობაში. რა არის ეს ონტოლოგიური მოთხოვნილებები, რაც ხდება მიზეზი ასეთი არასასურველი და, უფრო მეტიც, კატასტროფის ტოლფასი უბედურების - კონფლიქტის - წარმოქმნისა? ბარტონის მიხედვით, ძირითადი ონტოლოგიური მოთხოვნილებები არის: უსაფრთხოება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური), იდენტურობა (თვითგამორკვევა), პატივისცემა, ჯგუფთან კუთვნილება და, თუკი „ძირეული ადამიანური მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ საზოგადოება ყოველთვის დგას ძალადობრივი კონფლიქტის საშიშროების წინაშე“. მაგრამ საინტერესოა, რომელი საზოგადოება არის კონფლიქტის წარმომქმნელი, რომელი საზოგადოება დგას კონფლიქტის წინაშე, რომელიც მართავს, თუ რომელიც მართულია? ყველა საზოგადოება ყალიბდება რაღაც პრინციპებისა და ჩვეულებების საფუძველზე. არსებობს

გაბატონებული აზრი და ამ აზრის გამტარებელია გაბატონებული კლასი, ანუ ის უმცირესობა, რომელიც არის მმართველი. მაგრამ, ნუთუ ყველგან, დედამიწის ზურგზე, ეს გაბატონებული საზოგადოება (მმართველები) უმცირესობაა?! სავალალოდ, კი. ყველგან დომინანტი უმცირესობას წარმოადგენს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალაუფლების განხორციელებას სჭირდება გარკვეული რაოდენობის ხალხი, რომელიც ყოველთვის უმცირესობაშია. ამდენად, კონფლიქტის მიზეზი დევს ძალაუფლების განხორციელების არათანაბარი განაწილების თეორიაში და, მამასადამე, ეს უკმაყოფილება ყოველთვის იქნება საზოგადოების მართული ნაწილისაგან, რომელიც მუდმივად უმრავლესობაშია. მაგრამ, მთავარია, ის არ გადაიზარდოს კონფლიქტში. ამისათვის საჭიროა არსებობდეს მისი შემაჩერებელი მექანიზმები. ეს შესაძლებელია, თუ მოხდება კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზების ძირეულად შესწავლა. ამაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ავსტრალიელ ჯონ ბარტონს.

ახლა განვსაზღვროთ ტერმინი სტრუქტურული. ეს არის იერარქიული კიბე, რომელიც სხვადასხვა ფორმით არის გამოხატული სხვადასხვა ფორმაციაში, სხვადასხვა დარგში. სტრუქტურული შეიძლება იყოს არა მარტო კონფლიქტი, არამედ ძირეული მოთხოვნილებებიც კი, რადგანაც მოთხოვნილებები არის, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური. იოჰან გალტუნგის აზრით, თუ მატერიალური მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, ადამიანს არ უჩნდება სურვილი და ფიქრი არამატერიალური მოთხოვნილებებისა, მამასადამე სტრუქტურა გააჩნია მოთხოვნილებებსაც, ე.ი. თუ გავაანალიზებთ, სტრუქტურული არის ის იერარქიული კიბე, რომელიც ახდენს, გარკვეულწილად, კლასიფიცირებას რაღაც ნიშნის მიხედვით. მაგალითად: გალტუნგის აზრით, არსებობს სტრუქტურაზე დამოკიდებული ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების ტიპოლოგია, რომელიც არის მატერიალური (კეთილდღეობა/სიღუბნობა) და არამატერიალური (იდენტურობა/გაუცხოება). სტრუქტურული აგრეთვე შეიძლება იყოს უსაფრთხოებაც, რადგანაც იგი თავის თავში მოიაზრებს დაცვის მექანიზმებს, თუმცა საფრთხეც შეიძლება მივაწეროთ სტრუქტურულს, რაც გამოიხატება ზოგადად რაღაც ჯგუფის ექსპლოატატორული დამოკიდებულებით გარკვეული საზოგადოების მიმართ.

მამასადამე, სტრუქტურული ძალადობა არის ის ფენომენი, რომელიც სოციალურად განვითარებული საზოგადოების თანმხლები პროცესია და რომელიც სტრუქტურული კონფლიქტის წინაპირობაა.

რა არის მთავარი სტრუქტურული კონფლიქტი საქართველოში? – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჩვენ, პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ, თუ რა არის საქართველო, დიახ, – რა ფენომენია საქართველო? – ეს მეტად საინტერესოა. საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა, თავისი ბუნებით, ისტორიით,

თავისი სხვადასხვა ეროვნული უმცირესობებით, რომლებიც ასე მრავლად არიან წარმოდგენილი დედამიწის ამ ერთ პატარა ნაგლეჯზე. მე ზუსტად აქ მინდა გავჩერდე და ამ მრავალეროვნულობით მინდა დავიწყო ჩემი აზრის გამოხატვა.

ჯერ კიდევ წითელი დიქტატურის დაწყებისთანავე, როდესაც ამ ბოროტების იმპერიის სათავეში მოვიდა გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტარვალი, თუმცა მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა, ის "ჩვენი გორისა" იყო, მან საშინელი ცოდვა ჩაიდინა საქართველოს წინაშე. არა, რასაკვირველია, მას მთელი კაცობრიობის წინაშე მიუძღვის ბრალი, მაგრამ მე ახლა საუბარი მაქვს ჩვენს სამშობლოზე. სტალინის ხელშეწყობით შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიური რესპუბლიკები. ამან საფუძველი მისცა შემდგომში ხანგრძლივ და დესტრუქციულ კონფლიქტს, რომელმაც დღემდე უარყოფითი შედეგების გარდა არაფერი მოუტანა საქართველოს, რაც გამოიხატა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტში. ეს გახდა მიზეზი ათი ათასობით უსახლკაროსა და დევნილი მოსახლეობის თავისივე სამშობლოში ლტოლვილად გახდომისა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია სტრუქტურული კონფლიქტისა საქართველოში, რაც გამოვლინდა მოქალაქეების უკმაყოფილებასა და საზოგადოების დაპირისპირებაში, როგორც ერთმანეთისადმი, ისე მთავრობისადმი. ეს არის აგრეთვე ჩვენი ხელისუფლების უუნარობისა და არასწორი მართვის შედეგი. გარდა ამისა, საზოგადოების უკმაყოფილების დიდ ფაქტორს წარმოადგენს, მისი სოციალურად, ეკონომიკურად და, რაც მთავარია, პოლიტიკურად დაუცველობა. საზოგადოებაში სუფევს შიშის სინდრომი, რომ ისინი დგანან გარდაუვალი კატასტროფის წინაშე, რაც გამოიხატება იმ სახელმწიფო სისტემისგან დაუცველობაში, რომელიც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ემსახურება თავის ხალხს, არის მისი ინტერესების გამტარებელი და დამცველი, ჩვენთან კი წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს, რადგანაც დღესაც მმართველ ფენას ისევ პოსტ-კომუნისტურ-სოციალისტური იდეოლოგიის მქონე ჩინოვნიკები შეადგენენ. მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს ჩინოვნიკები არიან სტრუქტურული კონფლიქტის მიზეზი საქართველოში? რასაკვირველია, არა. ამ უსამართლობისა და სტრუქტურული ძალადობის მიზეზი არის იმ პოსტ-საბჭოთა სივრცეში შექმნილი, თავიდანვე ძალადობისა და უსამართობაზე დაფუძნებული, ძალით შეკონფიწებული იმპერიის წიაღში არსებული იდეოლოგია, რომლის შინაარსიც თითქოს სოციალისტურ სინამდვილეში ხალხთა თანასწორობასა და ინდივიდებს შორის იერარქიულობის არარსებობას ემყარებოდა. სინამდვილეში კი სოციალისტური წყობა სასტიკ და უსამართლო იერარქიაზე იყო დამყარებული. ელემენტარულად აღებული კულტურა, რომელიც არის საზოგადოების სულიერების განმსაზღვრელი, ისე იყო აგებული, რომ არარსებულიყო არანაირი ინდივიდუალიზმი და ყველაფერი განხორციელებულიყო ერთ ბრტყელ სივრცეში, რაც ადამიანს აკარგვინებდა

პიროვნულობას. თუმცა ეს გასაგებიცაა, რადგანაც მეოცე საუკუნის განმსაზღვრელი იყო და დღესაც არის რეალპოლიტიკა, რისი თვალსაჩინო აღწერაც მოგვცა დენის სანდოლემ, რომელმაც პოლიტიკური აზროვნების ოთხი პარადიგმა წარმოგვიჩინა: 1) რეალპოლიტიკა, რომელიც არის ძალაზე დამყარებული პოლიტიკური აზროვნება და ამართლებს ძლიერის დომინაციას თავისზე სუსტზე; 2) იდეალპოლიტიკა, რომელიც უფრო თანასწორუფლებიანი და არა დომინანტურია; 3) მარქსიზმი და 4) არამარქსის-ტული რადიკალური აზროვნება, რომელიც არის რეალპოლიტიკის და იდეალპოლიტიკის კომბინაცია. საბჭოურმა სივრცემ, რომელშიც საქართველოს მოუწია ყოფნა 70-წლის განმავლობაში, დიდი დადი დაასვა ჩვენს განვითარებას, თუ საერთოდ ხდებოდა რამენაირი წინსვლა. დღემდე ვაწყდებით მის გადმონაშთებს სხვადასხვა სახით. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია - ჩვენი ხელისუფლება, რომელიც არის დაკომპლექტებული იმ სოციალისტური აზროვნებისა და იდეოლოგიის თავის დროზე ერთგული მსახურებით. დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზეა და რომლის მონაწილენი ჩვენც უნდა ვიყოთ, სავალალოდ, ჩვენ ისევ იმ ილუზიაში ვცხოვრობთ, რასაც ჰქვია სოციალიზმი, მხოლოდ სახეშეცვლილი სოციალიზმი. ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ ამ ერთი სისტემიდან - სოციალიზმიდან, მეორეზე - კაპიტალიზმზე - გადასვლისას ჩვენ აღმოვჩნდით შუაში, ძირგამოცლილ სიცარიელეში, რომელმაც გამოიწვია თაობების არათუ უკმაყოფილება, არამედ საერთოდ უფუნქციოდ დატოვება. აი, მაგალითად ავიღოთ სოციალიზმი - იმ სისტემაში ადამიანმა ის მაინც იცოდა, რომ თუ ის პარტიის ერთგული იქნებოდა, დაემორჩილებოდა იმ უაზრო და არაადამიანურ დებულებებს, რომელსაც ქადაგებდა კომუნისმი, იგი მიაღწევდა იმ რაღაც მიზანს, რასაც ერქვა - ცეკას მდივნობა, პოლიტბიუროს წევრობა, მოკლედ, რაღაც მმართველ თანამდებობას იმ არსებულ სივრცეში, რასაც ერქვა საბჭოთა კავშირი. მე, რასაკვირველია, არ ვაიდეალებ იმ წყობას, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ რაღაც თვითმიზანი მაინც არსებობდა. იმ სისტემამ მოჭამა თავისი დრო, დადგა სხვა სისტემის, უფრო გამოსადეგი და უფრო რეალურის არჩევის დრო - კაპიტალიზმის, იმ სისტემის დრო, რომელიც მთელი დასავლური და არა მარტო დასავლურის, არამედ კაცობრიობის დაახლოებით ნახევარზე მეტის ცხოვრების განმსაზღვრელი გახდა, ე.ი. ის მართლაც ამართლებს, თავისი საბაზრო ეკონომიკითა, ინდუსტრიალიზაციით, საერთო კეთილდღეობის სისტემის შექმნითა და სხვა. მაგრამ არც ეს სისტემაა უნაკლო და იდეალური, რადგანაც ისიც ერთი ფენის უპირატესობით ვითარდება: თუ სოციალიზმში ეს ფენა გამოიხატებოდა - სახელმწიფო ნომენკლატურაში, კაპიტალიზმში იგი გამოიხატება - მსხვილი კორპორაციების უსაზღვრო ბატონობაში. მაგრამ ახლა საუბარი არა მაქვს იმაზე, თუ რა სისტემაა კარგი და ცუდი, არამედ მე მინდა ეს სისტემები წარმოვაჩინო

საქართველოს გადმოსახედიდან. ხანგრძლივი დროის მაგალითზე დავრწმუნდით, რომ სოციალიზმმა არა თუ გაამართლა, არამედ თითქმის კატასტროფამდე მიგვიყვანა. მან მოსპო ეროვნული ეკონომიკა, სოციალური დიფერენციაცია საზოგადოებაში, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა, ნაციონალიზმი და ყველა ის ასპექტი, რაც არის დამახასიათებელი ნებისმიერი დამოუკიდებელი და განვითარებული ქვეყნისათვის. საჭირო გახდა ახალი იდეოლოგიის, ახალი პოლიტიკური აზროვნების, ახალი ეკონომიკური, სოციალური განვითარების დანერგვა. ასეც მოხდა, დაიწყო პროცესი გადასვლისა სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე, საბაზრო ეკონომიკის დანერგვით, იმ იდეოლოგიის დანერგვით, რომ ყველა ადამიანმა უნდა იზრუნოს თავის თავზე, შექმნას საკუთარი კეთილდღეობა და მხოლოდ ასეთი საშუალებით გახდება შესაძლებელი, რომ საქართველომ დაიკავოს თავისი ადგილი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გვერდით. მაგრამ, სავალალოდ, ჯერჯერობით ასე არ გამოდის, რადგან ამის განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო სურვილი და ენთუზიაზმი, არამედ მთლიანი მოსახლეობის ერთსულოვანი ლტოლვა, კომუნისტური იდეოლოგიიდან სრული განთავისუფლება, არა წარსულზე, არამედ მომავალზე ორიენტირება, წარმოების კომპეტენტური და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და მრავალი სხვა, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც არის იმ სოციალისტური წარსულის მქონე ნომენკლატურის ხელისუფლებისგან ჩამოშორება, რომელიც მმართველ ფენას წარმოადგენს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მიუხედავად სოციალიზმის თეორიისა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედი იყო „თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა“, საბჭოთა კავშირის „სოციალისტურმა“ სიმანინჯემ, სოციალიზმის ძირითადი პრინციპების ნაცვლად - უთანასწორობა და მმართველი კომუნისტური ნომენკლატურის გაბატონებული „კასტა“ - კლასი წარმოშვა.

ის სოციალისტური კასტა, რომელიც შვიდი ათწლეულის განმავლობაში სარგებლობდა განუსაზღვრელი ძალაუფლებით და კრიმინალური გზით მოპოვებული სიმდიდრით, ფიქრობდა, რომ „გონიერებითა და წარმოშობით“ ბევრად მაღლა იდგა მასზე, რომელთაც მართავდა, რაც მას „უფლებას“ აძლევდა, შეექმნა თავისთვის სასარგებლო დაუწერელი თუ დაწერილი კანონები, რომლითაც აცხოვრეს 70-წლის განმავლობაში 250 მილიონიანი, დედამიწის ზურგზე ყველაზე ძლიერი იმპერია. გარდა ამისა, მაშინდელი პრესა, რადიო და ტელევიზია დღე და ღამე იმის აფიშირებაში იყვნენ, რომ ყოფილ საბჭოეთში, მათ შორის “საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში”, აღნობდნენ მსოფლიოში ყველაზე მეტ ფოლადს, თუჯს... მოიპოვებდნენ ყველაზე დიდი რაოდენობით ნავთობს, გაზს, ქვანახშირს... და, რაც მთავარია, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი რაოდენობით მოდიოდა - ექიმები, ინჟინრები, იურისტები, მეცნიერები სხვადასხვა

დარგში . . . და აი, ამ ყველაფრის ფონზე მთავრობაში წარმოდგენილი იყვნენ, ძირითადად არასრული საშუალო განათლების მქონე, იშვიათად გამონაკლისის სახით, უმაღლეს დამთავრებულები, და ზოგჯერ, სრულიად გაუნათლებლებიც. მაგალითად, თერთმეტი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირში პირველი პირი იყო „მემახტე“ ნიკიტა ხრუშჩოვი, შემდგომ ბრეჟნევის ყოფილი „მძღოლი“ - ჩერნენკო და მრავალი სხვა.

ნებისმიერ ფორმაციაში არსებობს - მმართველი კლასი, ინტელიგენცია, საშუალო ფენა (რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სიძლიერის სახეს) და მუშა-მოსამსახურეთა კლასი. სოციალისტურ სინამდვილეში კი არსებობდა მხოლოდ ორი ფენა - მმართველი და მუშა-მოსამსახურეთა. სოციალიზმის დროს შემორჩენილი ნამდვილი ინტელიგენცია (ყოფილი თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და მეცნიერები), გამონაკლისის სახით, სხვადასხვა რეპრესიების დროს მთლიანად იქნა განადგურებული, ეს ვაკუუმი შეივსო იმ ფსევდო-სოციალისტურ-ბოლშევიკურ-კომუნისტური ინტელიგენციით და მეცნიერებით, რომლებიც წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასის არა მხოლოდ მსახურებს, არამედ ყურ-მოჭრილ მონებს: მათ მიერ შექმნილ ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში, მეცნიერულ ნაშრომში, მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმში, ასახული უნდა ყოფილიყო სოციალიზმის და მისი მმართველი „კასტის“ - „სიდიადე, გონიერება, ჰუმანურობა, თავმდაბლობა“ და ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებები.

აი, დღესაც ეს მმართველები და „ინტელიგენცია“ „მოღვაწეობენ“ საქართველოში და, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისინი „ზრუნავენ“, რათა საქართველო გახდეს ნამდვილად დემოკრატიული, სუვერენული, თავისუფალი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანა. აი, რა არის მთავარი სტრუქტურული კონფლიქტი საქართველოში. მათ მიერ შექმნილი დღევანდელი მმართველობის სისტემა, რომელიც არის პოსტ-კომუნისტური, სოციალისტური სახელმწიფოს გათანამედროვეებული ასლი, ძალაუბრებად იქნება საზოგადოებისა და მთლიანად მოსახლეობის, არათუ უკმაყოფილების, არამედ აგრესიის მიზეზი. დავიწყეთ ელემენტარული სამუშაო ადგილებით, რომლებიც ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან რაღაც მიზეზი და სასაცილო საწარმოების გარდა, არ ხდება ეროვნული და ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საამქროების, საბადოების და ქარხნების ამუშავება, რაც გააძლიერებდა ქვეყნის ეკონომიკას. განათლების სისტემა, მით უფრო, სავალალო მდგომარეობაშია, რადგანაც, ალბათ ახლაც საქართველო შეფარდებით „პირველ“ ადგილზეა ექიმების, იურისტების და ეკონომისტების რაოდენობით, რომელთა კვალიფიკაცია საკმაო ეჭვს იწვევს. ესეც ეკონომიკური სიდუხჭირისა და იმ კომუნისტური მენტალიტეტის შედეგია.

კულტურა სულს დაფავს, რადგანაც უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ შექმნილა, არანაირი მაღალმხატვრული ნაწარმოები, კინოფილმი, თეატრალური პიესა და სხვა.

საქართველოში სტრუქტურული კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის აგრეთვე, ის მოვლენები, რომლებიც დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობა საშინლად ფრუსტრირებული იყო, რაც აგრესიის დასაბამს იძლეოდა. სანდოლეს თვალთახედვით, „აგრესიული ქცევის გამოვლენას ყოველთვის წინ უძღვის ფრუსტრაცია“. საქართველოში ეს ფრუსტრაცია გამოწვეული იყო კომუნისტური მმართველობისადმი უკმაყოფილებით. აქვე მოვიშველიებ გალტუნგის მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ თუ „მატერიალური მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ადამიანს არ უჩნდება ფიქრი არამატერიალური მოთხოვნებისადმი“. რასაკვირველია, ეს მოსაზრება თითქმის ყოველთვის ამართლებს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, კერძოდ კი 1989-91 წლების პერიოდში, მე არ დავეთანხმები გალტუნგს, რადგანაც ეროვნული სულისკვეთება, რაც გამოიხატა დამოუკიდებლობისაკენ, სუვერენიტეტის და თავისუფლები-საკენ ლტოლვაში, ჩვენს ხალხში პირველ პლანზე იყო წამოწეული და ამის დასტურია ის მოვლენები, რომელიც ასე თვალნათლივ გამოჩნდა იმ მასობრივი დემონსტრაციებისა და მსვლელობების სახით და, ბოლოსდაბოლოს, მიღწეულ დამოუკიდებლობაში, თუმცა რის ხარჯზე, ყველამ კარგად ვიცით. ამ თვითგამორკვევისა და საერთაშორისო ასპარეზზე სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი სუბიექტის სახით გამოსვლის სურვილმა, რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო, გამოიწვია აგრესია (ამ ტერმინის ხმარებას, მე არ ვთვლი მიზანშეწონილად და გამართლებულად, ამ ფენომენს ვუწოდებდი უფრო - ლტოლვას, ეროვნული სულისკვეთების აღზევებას, მაგრამ საერთაშორისო ტერმინოლოგიაში იგი მოხსენებულია, როგორც აგრესია და მხოლოდ ამ მიზეზით, მეც ასე გამოვთქვამ), რომელმაც მიაღწია პიკს და თუ ის გადაიზარდა სისხლისღვრაში, ისიც ხელოვნური ხელშეწყობით მოხდა. იგულისხმება რუსეთის მიერ სამხედროების გამოგზავნა და შეუიარაღებელი და მშვიდობიანი ხალხის ზოცვა. მაგრამ მიზანი მაინც იქნა მიღწეული და საქართველო მოგვევლინა დამოუკიდებელ, სუვერენულ და თავისუფალ სახელმწიფოდ, სადაც ძირითადი პოსტულატები იყო, ჩვენი დიდი წინაპრის, საქართველოს ეროვნული შვილის, წმინდანის, ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება“ ე.ი. აქედან ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ იმ „აგრესიას“, რომელიც გადაიზარდა ესკალირებულ კონფლიქტში, საფუძვლად ედო არა უარყოფითი შედეგების, არამედ, პირიქით, დადებითის დასაწყისის პროცესი. აქ მე სრულებით დავეთანხმები ჯონ ბარტონს იმ მოსაზრებაში, რომ „კონფლიქტი არის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია

ბათურ ქოთავა / კონფლიქტების სათავეებთან საქართველოში

მატერიალური კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სამართლიანობის და პიროვნული განვითარების მიღწევა... კონფლიქტის არსებობა არის გარანტია იმისა, რომ საზოგადოების მოთხოვნები დაკმაყოფილებდა”. თუმცა მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას, ის მაინც რეალპოლიტიკის გადმოსახედიდანაა გამართლებული, რომელიც ძალიან არ მომწონს; მე ამით გაუცნობიერებლად ვემხრობი ამ პარადიგმას, მაგრამ თუ ეს ერთადერთი გზა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისა, მაშინ სავსებით გაცნობიერებულად შემიძლია ჩავთვალო თავი რეალპოლიტიკის მიმდევრად. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ვიცი, იყო სხვა საშუალებები ამ ესკალაციის მოგვარებისა, როგორცაა, მაგალითად მედიაცია, ფასილიტაცია და სხვა. მაგრამ აქ ისევ კომუნისტურმა მანქანამ იმუშავა და არ მოგვცა მათი გამოყენების საშუალება.

ამ დამოუკიდებლობას, ასე რომ ვთქვათ, დიდხანს არ უარსებია და არა მარტო დამოუკიდებლობას, არამედ იმ სუვერენიტეტს, იმ მიღწეობით ხალხის სურვილებსა და მიზნებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს მმართველობის სულ სხვა ასპექტებთან. თავიდან მოშორებული, ყველასათვის ასეთი საძულველი სოციალისტური წყობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, თუ გინდა უმნიშვნელო ელემენტიც კი, სავალალოდ შემოგვიტრიალდა ბუმერანგივით, მხოლოდ სახემეცვლილი ფორმით, რადგანაც საქართველოში მოხდა ისევ იმ „პოსტ-კომუნისტური“ ძალების მიერ ხელოვნურად ესკალირებული სამხედრო დიქტატის დამყარება, რომელმაც გზა გაუხსნა ისევ იმ ნომენკლატურისა და იმ კომუნისტი ჩინოვნიკების მმართველობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ - ბატონობას, რომლებიც დღეს „გადემოკრატიზდნენ“ და განაციონალდნენ და „იღვწიან“ საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ზემოთ ნახსენებმა მოვლენებმა დასაბამი მისცა სტრუქტურულ კონფლიქტს საქართველოში იმ თვალთახედვით, რომ იმ აგრესიას, რომელიც მოხდა 1991-92 წლებში და იდეოლოგიურმა ბრძოლამ, რომელმაც თავისი სავალალო, მაგრამ მათთვის, ვინც ეს იდეოლოგიური ბრძოლა წამოიწყო - დადებითი შედეგები გამოიღო, მოახდინა საზოგადოების ორ ნაწილად გახლეჩა, რამაც დღემდე, არათუ უარყოფითი, არამედ კატასტროფული შედეგები მოგვცა. მოხდა მოსახლეობის დიფერენციაცია, არა კლასობრივად, არამედ ქვეყნის მოყვარეებად და მტრებად, მაგრამ ეს რომ არასწორია და რომ იგი კიდევ უფრო დესტრუქციული შედეგების მომტანია, ამის მტკიცება არაა საჭირო. უბრალოდ საქართველოში მოხდა ის ხელოვნური დაშლა-დაქუცმაცება მოსახლეობისა, რომლის საშუალებითაც უფრო მარტივი გახდებოდა მათი მართვა. საზოგადოება კვლავ ჩავარდა ფრუსტრაციაში, ოღონდ აქ აგრესიის გამოვლინება მოხდა ერთმანეთის მიმართ, რაც გამოიხატა იმ ათასობით ახალგაზრდის მიერ რაღაც დაჯგუფებების შექმნაში და დაუცველი მოსახლეობის ძარცვაში, ქურდობაში,

ადამიანთა მოტაცებაში და ბოლოს და ბოლოს მკვლელობებში. აქედან გამომდინარე, მე სრულებით ვეთანხმები დენის სანდოლეს იმ მოსაზრებაში, რომ „ფრუსტრირებულმა ინდივიდმა შეიძლება შეიცვალოს მიზანი ან საშუალებები, რათა შეამციროს აგრესიის გამომწვევი მიზეზების მოცულობა და გამოიწვიოს კათარზისი“. ოღონდ ეს პროცესი იყო წინასწარ გამიზნული და იმ ხალხის მიერ მართული, რომელთაც იმ პერიოდში აწყოდათ ეს არეულობა, რათა მომხდარიყო მათი გავლენის სფეროების არა მარტო დანერგვა - განმტკიცება, არამედ გაფართოება და ლეგიტიმაცია.

საქართველოს სტრუქტურული კონფლიქტის კიდევ ერთი ნათელი და თვალსაჩინო მაგალითია - რელიგიური ძალადობა. ჩვენი ქვეყანა, რომელიც მუდამ იბრძოდა სხვადასხვა რჯულისა თუ ეროვნების დამპყრობლების წინააღმდეგ, რაოდენ დაქსაქსული და დასუსტებული არ უნდა ყოფილიყო, მაინც ერთიანდებოდა ერთი მრწამსის - მართლმადიდებლობის ქვეშ. მაგალითად რომ ავიღოთ უკანასკნელი ორი საუკუნე, საქართველო სულ იბრძოდა თავისი ერთმორწმუნე რუსეთის წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინა ავტოკეფალია, და რა ხდება დღეს, თუ ეს ცინიზმი არაა, სხვა რა შეიძლება ამას ვუწოდოთ. ის ხელისუფლება, რომელიც დღეს აცხადებს, რომ მისი მიზანია საქართველოს ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად გაძლიერება, ელემენტარულ და ძირითად საკითხს, რაც არის მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, კონსტიტუციურად არ აგვარებს. ამასობაში კი, ის სხვადასხვა სექტები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობამ, შეიძლება ითქვას, უარყო, სხვადასხვა გზებითა და ხერხებით, უფრო მეტ სივრცეებს ეუფლებიან. მათ წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობამ ხელში შეატოვა ქრისტიანულ ჯვარს ამოფარებულ, ანაფორაგადაცემულ პირს, რომელიც, ვითომდა მართლმადიდებლობის დასაცავად, ყოველნაირად ცდილობს მასებში შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ქართული მართლმადიდებლობა ამ გზით ებრძვის სექტებს და ამართლებს მოძალადურ მეთოდს. ამ დროს ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც წესით და რიგით უნდა მოახდინოს ამ აგრესიის აღკვეთა, არც კი ცდილობს, კონსტიტუციურად წერტილი დაუსვას ამ საშინელებას, რომელიც არათუ მართლმადიდებლური რელიგიის, არამედ სახელმწიფოს დისკრედიტაციასაც ახდენს და უარყოფით დაღს ასვამს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზეც. თუ სახელმწიფო ხელისუფლება არ აღკვეთს ამ აგრესიას სამართლებრივი გზით, იგი მართლაც შეიძლება აღმოჩნდეს კატასტროფის ტოლფასი სტრუქტურული კონფლიქტის დასაბამი. თუმცა, როდესაც ლაპარაკი იყო მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად კონსტიტუციურად აღიარებისა, სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ფაქტმა შეიძლება დასაბამი მისცეს რელიგიურ შუღლს, ასეთ მრავალეროვან და სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლობის ხალხებს

შორის. აგრეთვე, მოყვანილ იქნა კიდევ უფრო უსუსური არგუმენტი - რა დროს რელიგიასა და ქრისტიანობაზე საუბარი, როდესაც გარშემო აძლენი „სერიოზული“ პრობლემაა გადასაჭრელი. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან, იმის შესახებ თუ როდენ მიმტვევებელია საქართველო სხვა რელიგიების მიმართ და რომ არანაირ შუღლს ადგილი არ ექნება მართლმადიდებლობის კონსტიტუციურად სახელმწიფო რელიგიად აღიარებით. აბანოთუბანი, რომელიც არის თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ძველი უბანი, არის შესული იუნესკოს კულტურულ სიძველეთა დაცვის ფონდში, როგორც ყველაზე უნიკალური და ერთადერთი უბანი, მსოფლიოს ქალაქებს შორის ცნობილი იმით, რომ აქ ერთმანეთის გვერდით მოქმედებს ოთხი სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესია: მართლმადიდებლური, გრეგორიანული, მეჩეთი და სინაგოგა. მაშასადამე, რა რელიგიურ შუღლსა და ექსტრემიზმზე საუბარი დღეს, როდესაც კაცობრიობა უკვე კოსმოსის შესწავლასა და ათვისებაშია, ეს ეკლესიები კი აშენებულია საუკუნეების წინ, როცა რელიგიას პირველი და ძირითადი ადგილი ეკავა. მაშინაც არ ჰქონია ადგილი არანაირ შუღლს. მაშასადამე, რა არის ეს, თუ არა ხელისუფლების მიერ ხელშეწყობილი კონფლიქტი, რომელიც დასაბამს აძლევს ხანგრძლივ და მეტად საშიშ სტრუქტურულ კონფლიქტს, რომლის სადავეების დაკარგვისას შეიძლება სავალალო შედეგების მიღება. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნითაც ყველა სხვა სტრუქტურული კონფლიქტია გამოწვეული - რათა მოხდეს იმ პოსტ-კომუნისტური იდეოლოგიის ნომენკლატურის ძალაუფლების საბოლოოდ დამკვიდრება და განმტკიცება, რათა მათ კიდევ უფრო დიდი ხნის განმავლობაში მოახდინონ ხალხის ხარჯზე სიმდიდრისა და ძალაუფლების დაგროვება.

როგორც დავინახეთ, საქართველოში არის საკმაოდ ბევრი სტრუქტურული კონფლიქტი. რასაკვირველია, ჩემს მიერ დასახელებული კონფლიქტების სია არ არის სრული. მათი ანალიზის შემდგომ, ჩვენი ფუნქციაა ვიპოვოთ ის შესაძლებლობები, რომელთა საშუალებითაც მოხდება ოპტიმალური გამოსავლის მონახვა.

მე მიმაჩნია, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოში სტრუქტურული კონფლიქტის თავიდან აცილება, საჭიროა ყველა ეს კონფლიქტი განვიხილოთ ერთ მთლიანობაში, როგორც ერთი დიდი სტრუქტურული კონფლიქტი, და არა როგორც ცალკეული, შემადგენელი ნაწილები. ე.ი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ძირითად ასპექტებს, რომელზედაც ხდება ყურადღების გამახვილება მთელი იმ საზოგადოებისა, რომლიდანაც მოდის უკმაყოფილება და რომელიც არის ის უმრავლესობა, რომელსაც გააჩნია ძალა, რათა მოახდინოს თავისი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება და ცხოვრებაში გატარება-დანერგვა. ეს ჩემს მიერ არაა აღმოჩენილი, რომ დღევანდელ საქართველოში ძირითადი


საკითხი და პრობლემა – ეკონომიკური სიღუბე, სოციალური დაუცველობა და „პოლიტიკური“ უსუსურობა. რათა მოხდეს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერება, ქვეყნის მთავრობამ ზუსტად უნდა განსაზღვროს ეროვნული ინტერესები და პრიორიტეტები. მაგრამ, რადგანაც ჩვენი მთავრობა ამას არ იზამს, როგორც თავის შესაძლებლობებისა, ისე სურვილის არქონის გამო, უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რისთვისაც საჭიროა ინტერესთა ჯგუფებისა და სამოქალაქო ერთობების შეკავშირება, რათა მათი მეშვეობით განხორციელდეს საერთო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და სამოქალაქო საზოგადოების მიზანმიმართული მართვა; მართვაში მე ვგულისხმობ დახმარებას იმ ინტერესთა ჯგუფებისა თუ სამოქალაქო ერთობების მიერ, საზოგადოებისათვის აზრის ჩამოყალიბებაში, მათ მიერ არჩეული ეროვნული ინტერესების დაცვას და ცხოვრებაში გატარებას. ეროვნული ინტერესი ტყუილად არ მიხსენებია, ამ ცნების ორიენტირი მე ავიღე ბატონ კორნელი კაკაჩიას სიტყვებიდან; „სუვერენიზმის მსგავსად ეროვნული ინტერესი წარმოადგენს მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე ცნებას“. იმათგან განსხვავებით, ვისგანაც ჩვენმა “მუდმივმა” ბიუროკრატიამ მიიღო და ცხოვრებაში გაატარა, თავისი საკუთარი ინტერესები, და არა ქვეყნისა თუ მოსახლეობის.

ჩვენ ძალიან გადაუხვევით ძირითადი საკითხიდან, მაგრამ არ შეიძლებოდა არ გვეხსენებინა ასეთი მთავარი ასპექტები, რადგანაც ისინი დაკავშირებულნი არიან, როგორც კონფლიქტთან საქართველოში, ისე მის აღმოფხვრასთანაც.

სტრუქტურული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საჭიროა იმ ბიუროკრატიული სისტემისა და მისი ერთგული მსახურების ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოშორება, როგორც ავადმყოფი სხეულის ნაწილისა, რომელიც თუ დროზე არ მოიკვება, მთელ სხეულს დააავადებს. გარდა ამისა, ამ გარდამავალ პროცესში უნდა მოხდეს კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების ჩამოყალიბება. რადგანაც ჩვენ განვიცდით მათ ნაკლებობას, უნდა მოხდეს მათი გამოვლენა და ეფექტურად ჩანაცვლება, მაგრამ მანამდე ჩვენ უნდა მოვიზიდოთ და დახმარება ვთხოვოთ ამ საქმეში კარგად გათვითცნობიერებულ და კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სახელმწიფოებს, თავიანთი რესურსებიდან გარკვეული პერიოდით მოავლინონ სპეციალისტები სხვადასხვა დარგებში, რათა ჩვენ მოვახერხოთ ჩვენი სპეციალისტების კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის ამაღლება და ეტაპობრივად, ჩვენი კადრების ჩანაცვლება. ჩემი აზრით, ამ გზით თუ მოხდება იმ სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საქართველოს დააყენებს მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 4

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 4

The Georgian - South Ossetian Conflict Approaches to the Solution and Measures of Prevention

Irina Bagaeva, Political Scientist

The conflict between South Ossetia and Georgia has deep roots. South Ossetia witnessed bloody events in the period between the Russian Revolution and the establishment of the Soviet Power. The present dispute owes much to the 1920s when the Soviet borders were delimited and South Ossetia was established as an autonomous region within the republic of Georgia. Georgians criticized the delimitation as an example of Moscow's strategy to divide and rule, while Ossetians were dissatisfied with the separation of the Ossetian people, the larger part of whom live in the North Ossetian Autonomous Republic of the Russian Federation.

In 1989-91, innovatively inclined Georgian and Ossetian patriots took advantage of the freedoms of glasnost to press their claims. Some Georgians started to assert the primacy of Tbilisi's authority and Georgian language and culture throughout the republic, while part of the Ossetian population responded by emphasizing their autonomy and links with North Ossetia.

The dispute escalated. The South Ossetian Soviet adopted a declaration of sovereignty in August 1990, and in September requested recognition from Moscow as an independent subject of the USSR. Ossetians arranged elections in the December of the same year and the new parliament subordinated itself directly to Moscow. In response, Georgia abolished South Ossetia's autonomous status in December 1990. It excluded regional parties (including Ossetian ones) from national elections. In the referendum held in January 1992, the South Ossetian leadership claimed a 99 % vote in favor of joining the Russian Federation and uniting with North Ossetia.

Skirmishes started at the end of 1990 and gradually intensified with Ossetian militias fighting the Georgian forces. Initial fighting was concentrated in the regional capital, Tskhinvali, from which Ossetians expelled Georgians, who then besieged and bombarded them from the surrounding hills. There was also fighting in the villages around Tskhinvali and over road links. Georgians were trying to interdict the road to North Ossetia and Ossetians sought to cut communications between the Georgian villages and the rest of Georgia. The fighting continued

during the coup against Gamsakhurdia and for some months after Shevardnadze's return to Georgia in March 1992 (around 18 months). Ossetians eventually gained the upper hand thanks to the arms and direct support from the Russian military. The fighting was accompanied by serious human rights abuses against civilians.

In 1989 the population of the South Ossetian Autonomous Region was around 100.000, of whom 62% were Ossetians and 29% Georgians. There also were some Russians, Jews, Armenians and other ethnic groups who had to flee with the outbreak of the hostilities. Most of the Georgian population was displaced to the territory controlled by Georgia, though some villages north to Tskhinvali remained populated by Georgians. At least half of the roughly 100.000 Ossetians living in other parts of Georgia emigrated to South and North Ossetia. Many of the families in the autonomous region were of mixed Georgian- Ossetian descent. Such bi-ethnic structures were mostly split up with part of the family remaining in the town and the other - forced to seek refuge in a more secure place.

In June 1992 a cease-fire was signed. It was supervised by combined Russian, Georgian and Ossetian peacekeeping forces under the Joint Control Commission. The cease-fire was an agreement between Russia and the conflicting parties without any protection from international organizations. The Russians contingent was the largest of all the forces and carried the brunt of the operations.

The OSCE has had a resident mission in Georgia since 1992. Its original mandate was to promote negotiations between the conflicting parties. In March 1994 the mandate was extended and the organization started to monitor peacekeeping operations in South Ossetia. Notwithstanding some incidents and violations of the cease-fire, as well as some failures in the work of the peacekeeping forces, the OSCE has generally fulfilled its function. As a result, by the February of 1997 hostility and tension subsided to a level that allowed the reopening of communications and the movement of people and goods, as well as the initiation of a number of confidence-building measures by the OSCE and NGOs.

In the May of 1996 the parties signed a framework agreement officially titled the "Memorandum on Measures to Provide Security and Strengthen Mutual Trust Between the Sides in the Georgian-South Ossetian Conflict". The memorandum dealt with refraining from the threat of force, solving the refugee problem, gradual demilitarization and continuing dialogue and negotiations.

As a result of political negotiations, demands for creating a separate and independent Ossetian state were withdrawn. The option of unification between North and South Ossetia through the inclusion of South Ossetia in the Russian Federation (such a proposition was discussed at a certain stage of negotiations)

was also put aside.

Despite the positive developments, a comprehensive settlement has not yet been reached. The talks were deadlocked over the status and the division of powers and responsibilities between Tbilisi and Tskhinvali. Seemingly, the conflicting sides are not in a hurry for the peace-settlement. The Georgian side gives priority to a more urgent issue – the situation in Abkhazia and the Ossetian party is reluctant to accept any solution that will leave them with more limited rights than may be given to Abkhazia. Therefore, in order to state their position and formulate their demands, Ossetian authorities are waiting for the outcome of the developments in Abkhazia. Thus, at the current stage, the political solution rotates around the level and format of the economic, political, and cultural autonomy of South Ossetia within Georgia and is, to a certain extent, associated with the Abkhazian factor.

Since the cessation of hostilities, the South Ossetian government has drawn up its own constitution and declared a “sovereign democratic state, created as a result of the Ossetian people’s right to self-determination”.

In 1995 the Georgian Parliament adopted a new constitution that left open the question of Georgia’s territorial and administrative structure in relation to South Ossetia (as well as Abkhazia). It described the republic (Georgia) as “an independent, united and indivisible state, which includes the Abkhazian Autonomous Republic and the former Autonomous Oblast of South Ossetia”.

Although the chronology of the confrontation shows that all the recent developments are well based and logically explainable, it is obvious that had there been proper and timely work on prevention, the conflict could have been avoided.

Moderate tendencies on the Ossetian side realized that secession from Georgia was a reckless move. The intelligentsia realized that this was a wrong step from the historical point of view and common Ossetians appreciated the centuries-long friendship and cultural kinship with Georgians. In fact, the links between Ossetians and Georgians were so tight that the separation was perceived by many as artificial even when the tension was extremely high and the situation was menacingly aggravated. Compromises with the Georgian government would have been possible worked out, in so far as the public opinion in Georgia had never opposed granting quite extensive cultural rights to the minorities. Georgia has always been a hospitable and welcoming multi-ethnic country where the rights of ethnic, religious and other minorities have never been violated. Thus, if there had been a conjunct effort to analyze the situation, to solve the problems of both sides and keep together, the tragedy could have been prevented. Yet, such attempts were insufficient and inconsistent. Only a few groups within the Geor-

gian independence movement attempted to co-operate with moderate tendencies within the ethnic minorities (the Ilia Chavchavadze Society, the supporters of the National Congress who invited minority movements to their session in 1990). As viewed by many of those on both sides, the war was the result of the inability of the authorities to come to terms - rather than a historic necessity.

Basically, two main reasons for this big failure can be singled out and both are closely associated with the Soviet legacy. The first is the absence of a civic consciousness in post-soviet republics, which was expressed in the opposition between the concepts of citizenship and nationality. The Soviet Union created mostly antagonistic ethno-national communities. In these communities nationality was regarded as an ethnic and not a political characteristic of individuals and groups, while citizenship, on the contrary, was seen as a mainly external relationship linking individuals and groups to the state. This opposition was reinforced by the Soviet system of passport registration, which had a special entry for an individual's nationality as distinct from his or her citizenship. It was therefore difficult for both majorities and minorities in post-soviet republics, including Georgia, to consider their belonging to new nations in a non-ethnic sense. As a result, after the disintegration of the Soviet, the ethnic groups sought to establish their own units that would belong exclusively to them. Since they identified citizenship with nationality, they believed they had a right to have their own states. Ossetians, disregarding the fact that the territory was historically Georgian, were also inspired by this idea. At the same time, feeling that there was a threat to their ethnic, cultural and linguistic identity, they were scared by the Georgian independence movement, in its turn also influenced by the idea of "an ethnic state". So, South Ossetian nationalists formed a popular front called Ademon Nykhas (Popular Shrine) and began to express their national aspirations through solidarity with the Abkhazian nationalists.

The second reason why the conflict was hard to prevent (it partly proceeds from the first one) is that territory was put at stake. The newly independent Georgia contained a disputed territory - South Ossetia - to which both the communities had claims. These conflicting territorial claims, as opposed to mistreatment and discrimination against Ossetians, can be considered to be the real cause of the conflict. Advocates of secessionism, in identifying ethnic conflict origins, sometimes refer to the mistreatment of minorities. This was not surely the case in South Ossetia. Ossetians had never been discriminated against at least to such an extent as to give an impetus to a confrontation. They had an autonomy in which they had an opportunity to practice their cultural and political rights.

Although the present situation is somewhat stable, there is no fighting in

the streets and the intercourse between Georgians and Ossetians is reestablished, this stability might turn out only temporal unless the parties take effective conciliatory measures. The solution is being postponed due to the Abkhazian factor and it cannot be concluded that when the Abkhazian conflict is settled, this will automatically lead to the same outcome – reconciliation - in South Ossetia. The local authorities are likely to claim the same status as that given to Abkhazians (within or outside Georgia), which the Georgian side may refuse to grant. It is quite obvious that there is a potential confrontation of interests underlying the status quo. Therefore, it is crucial not to be misled by the delusive peace, take advantage of it and work out a program on the final and definite adjustment of the relations.

A comprehensive approach to the resolution of the conflict is more likely to yield positive results acceptable to both sides. The conflict should be regulated on several levels:

- International organizations (governmental and non-governmental)
- Regional organization
- Governments of the conflicting parties
- Local NGOs
- Local mass media
- Individual citizens

The successful outcome of the peace settlement process could be guaranteed by coordinated measures involving all these levels. It is crucial that the organizations act together and cooperate through exchanging information and supporting one another.

The role of international organizations in the regulation of Georgian-Ossetian relations has always been immense. They have always been important acting as mediators, promoting negotiations and providing humanitarian aid for the community of the conflict zone. Their involvement is the peace-building process is still indispensable. Unfortunately, the Ossetian government fails appreciate the invaluable job done by foreign agencies and missions and, guided by some political considerations and following a strictly defined national policy (which in this case turns out anti-national as it runs counter to the public interest), it has forced most of them to leave. Actually, there are only a few of them operating in the Tskhinvali region now, while the economically disadvantaged population needs much more. The economy, ruined by the war, is incapable of providing sufficient workplaces in the region. The only source of income for the vulnerable community is the market located in the neighboring Georgian village. And except those, supporting themselves through trading in this market and those involved in

the local criminal world - people have to survive on extremely low salaries and pensions. When international humanitarian organizations had an opportunity to operate in the region, they supported the community with the free services and commodities that their government was unable to provide for them.

Public and non-governmental international agencies not only granted financial aid to the conflict-zone population, but also affected the process of negotiations. They made a considerable contribution to the building of mutual trust and understanding between the conflicting parties and monitoring the talks and peacekeeping operations.

The institution of a regional organization consisting of Azerbaijan, Armenia and Georgia would be a guarantee to the stability in the Caucasus. Although, according to some experts, regional cooperation is a long way off, productive political and economic interaction among these states is inevitable and long-term prospects for Georgia and her neighbors are quite promising.

The idea of the unification of the states was put forward by the founder of “Transcend”, the famous - Johan Galtung. The scholar suggests that in order to solve the main problem that the Caucasian states face today – that of security, the countries should establish a regional security council. The goal of this organization would be the independent solution of conflicts in the region. Galtung also comes up with the idea of creating a parliament with members coming from the three countries. The parliament would examine such issues as the abolition of the visa and passport regimes, the adoption of dual citizenship, the creation of a common labor market, the facilitation of NGO cooperation and meetings, contribution to the establishment of common enterprises and the solution of conflicts. Minorities could have their problems solved on the regional level, where other Caucasian nations would act as facilitators.

Before setting up the council, the countries should establish relations on the cultural and economic levels. Armenians, Georgians and Azerbaijanis (the citizens of the respective states, not just the three ethnic groups) would greatly benefit from economic cooperation and cultural contacts. Cultural dialogue on the issues of religion, history and customs would help the nations to get closer to one other and form a common spirit.

This cooperation is of uttermost significance for the peace in the Caucasus. Firstly, it would eliminate the possibility of any conflicts among the countries. Secondly, it would serve as a force that could peacefully settle the disputes within each of the states. And thirdly - what is especially attractive about the idea, this partnership would bring the nations close together and help them establish special relations - interdependence that would make the outbreak of any war unprofitable

and undesirable for each of the member groups.

Whatever the participation of international organizations, the media or NGOs in the peace settlement process in South Ossetia, the final solution of the conflict rests with the authorities. And the governments are suspicious of each other's intentions and reluctant to yield their positions. Although there is an antagonism of interests and some tough disagreements on major issues between Georgian and Ossetian government officials, it is essential that they manage to reestablish confidence and sit down to the negotiating table. This does not look like an unreal suggestion or a faraway prospect. The replacement of the wartime leadership with a new one has definitely made talks between the sides easier.

Ossetian and Georgian public servants should give up their political ambitions and seek for the solution that would be mutually acceptable and that would bring peace to the region. They have to realize that their goal is to serve the country, the citizens and not just to prove their power by being opinionated, persistent, stubborn and unwilling to reconsider their attitudes. Politicians need to learn that a dispute cannot be solved with the sides firmly focusing on their positions, reluctant to compromise and understand the needs of the opposite side; and that instead, being more flexible and concentrating on one's interests, not positions, would be much more beneficial for both sides.

To begin with, Georgian and Ossetian authorities could deal with the problems that are less disputable and perceived as urgent by both parties. Namely, they should coordinate their efforts in the fight against crime, on the issues of refugee rehabilitation and the fields closely associated with the process: the improvement of social and economic conditions and the restoration of the infrastructure. Later on, when there is more agreement and trust, the parties could proceed to a more complex issue – the political status of South Ossetia. At the same time, to ensure that the process flows in a democratic and efficient way, the conflicting sides could involve local and international NGOs and receive coverage from unbiased, objective media.

The most pressing issue that needs to be attended to is that of crime. It ironically represents a form of cooperation between Ossetians and Georgians, but the problem is really serious as it poses difficulties to the local population and intrudes into politics. The economy destroyed by the war and the absence of rule of law make Tskhinvali an ideal place for the prosperity of anarchy. For some period the buzzword going round the town has been “bespredel”, that is, “without limits, without boundaries”. The word perfectly describes the conduct and mentality of the bigger part of the population. “The tough guys” equipped with all the necessary arms control the town (keeping the government under

influence, too) and exercise their power “without limits”. No one can keep them from smuggling, drug trafficking or kidnapping.

The functions of NGOs are diverse and invaluable in the modern world. NGOs supplement the work of public organizations or assume the tasks and responsibilities that governments are unable to attend to. In any case, their role is very big. As regards conflicts, and the Georgian-Ossetian conflict in particular, NGO is the sector that has had a considerable influence on the developments and is unlikely to lose its significance. The role of NGOs is important in monitoring the negotiations and educating the civil society. Another big step forward towards the peace-settlement of the conflict would be the cooperation of Ossetian and Georgian NGOs in all possible fields.

In a year and a half the conflict in South Ossetia was covered by about 2.000 journalists from 70 countries. It is hard to imagine what a great influence they must have had on the process. Actually, according to the director of the news agency REC – Batradz Kharebov, “90% of the success was the achievement not of politicians but of journalists”. Whatever the actual statistic, the role of the media in the conflict cannot be underestimated. At the beginning, the impact of the external media on the developments was immense as foreign reporters attracted international attention and support by disseminating information on the outbreak of the war. But at this juncture internal mass media seems to be obtaining a leading role and cooperation between Ossetian and Georgian journalists can be very productive. There already exist precedents to such cooperation in the form of Georgian-Ossetian non-governmental news agencies dealing with collecting, analyzing and spreading objective, unbiased and reliable data. This is a positive tendency that needs to be further developed.

Yet, the mass media can also have the so-called “disintegrating effect” – which consists in the destruction of relations and the aggravation of the situation by presenting it in a biased way while serving the interests of one specific group, not those of the public. This is unethical from the professional point of view and can lead to the escalation of disputes. Quite often journalists tend to view the situation from one angle, reporting on the number of injuries, deaths or burnt houses and, in general, human rights violations on one side only and failing to mention what is happening on the other side. In this way journalism ceases to be neutral, objective and instead - turns into a cat’s paw. On the other hand, objective information giving equal coverage to both sides in a conflict can be decisive.

Psychological rehabilitation of the community is one of the most important aspects of conflict resolution. To build a long-term solid peace in South Ossetia and elsewhere, the wounds of the conflict should be cured first. Without


sincere regret and willingness to restore the old friendship, it will be impossible to reconcile the people just with formal political agreements forcing them to keep up relations. This might be achieved, but such reconciliation would be artificial, dangerous and potentially explosive.

Building a church in the name of those who were killed in the war and in the name of peace in South Ossetia - would be an attempt to awaken sincere feelings in the hearts of the people and to bring them together in spirit. Ossetians and Georgians could erect the church together, with funds gathered from people coming from the region and directly affected by the war. The money would be collected from all the families from Tskhinvali, the neighboring villages and refugees displaced from their homes. Each family would contribute as much as it can and each citizen would be encouraged to participate in the process of erection. Thus, built with the hands and sweat of the people who were killing their brothers with the same hands eleven years ago, the church would symbolize the return of the lost people to God, the first steps to reconciliation and reunification. The symbolic significance of the church would be associated with forgiveness, love and friendship between Ossetians and Georgians. Georgian and Ossetian people who lost their relatives and friends during the tragedy could come to the church and pray for the souls of the late together, standing side by side. The church would illustrate that despite the war, Ossetians and Georgians are still together and the shameful tragedy, in which they lost their children, peace and trust, has not killed their friendship. The place would also serve as a warning against future failures and a permanent reminder of the bloodshed, and the gravity of the mistake they have made.

Psychological rehabilitation of the post-war community should be considered on all possible levels (NGOs, the media, the government) and tackled with a wide variety of creative measures. In this respect young people need to be treated in a special way. Those brought up under the sounds of shooting, bombing and watching the terrible images of war and those whose families were killed in the fightings, have all these events reflected in their minds and imprinted deeply in their psyches - probably for the rest of their lives. These youngsters might not remember the good relations that these nations have had for centuries and, in addition, they can have been influenced by radical nationalist ideas. The people cannot be blamed for being reluctant to reconcile but they do have to be cured and told the truth, especially as the future depends on them. The conflicting authorities have to find ways of acquainting Georgian and Ossetian youngsters with each other and create opportunities for their friendship and intercourse. This could be achieved

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 5

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 5

როგორ ავიცილოთ თავიდან ქუჩური კონფლიქტები თბილისის სინამდვილეში

ირინა ჯავახაძე

ირინა ჯავახაძე / როგორ ავიცილოთ თავიდან ქუჩური კონფლიქტები თბილისის სინამდვილეში

როგორც სემუელ ჰანთინგტონი ამბობს, კონფლიქტი იყო ყოველთვის და ყველგან და, რაღა თქმა უნდა, მომავალშიც იქნება, ალბათ იმიტომ, რომ აგრესიულად განწყობილი ადამიანები ყოველთვის იარსებებენ. ვებსტერის განსაზღვრების მიხედვით ტერმინ “კონფლიქტის” საფუძველია “ჩხუბი, ბრძოლა, ომი” და მხარეთა შორის ფიზიკური კონფრონტაცია. არსებობს მრავალი სახის კონფლიქტი: ქვეყნებს შორის, ქალსა და მამაკაცს შორის, კულტურებსა და მსოფლმხედველობებს შორის, სტრუქტურული და ა.შ. მაგრამ დღეს თქვენი ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ქუჩურ კონფლიქტებზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეს პრობლემა მხატვრულ ლიტერატურაში აქტუალური გახდა იმდენად, რამდენადაც, სწორედ ამ წლებში დაიწერა ისეთი ნაწარმოებები (რამდენიმე მათგანი სცენაზეც დაიდგა), როგორებიცაა: ლაშა თაბუკაშვილის “მერე რა, რომ სველია სველი იასამანი?!” , აკა მორჩილაძის “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”, “მოგზაურობა ყარაბაღში”, ზურაბ სამადაშვილის “ხმაურიანი დღეები” და მრავალი სხვა. ისმება ბუნებრივი კითხვა: რამ განაპირობა ამგვარი დაინტერესება ქუჩის ძალადობით?

ფაქტი ფაქტად რჩება, 1998 წელს რობერტ სტურუას თეატრალურმა დადგმამ “მერე რა, რომ სველია სველი იასამანი?!” დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. სპექტაკლმა, რომელიც ქუჩის ბიჭების თავგადასავლებზე მოგვითხრობდა, ახალგაზრდებს გაუჩინა სურვილი თავად ენახათ ძალადობა სცენაზე.

მინდა შეგახსენოთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო სიდუხჭირის ზღვარზე დგას, ბუნებრივია, ამგვარი ეკონომიკური გაჭირვების დროს საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს კულტურისა და ხელოვნების საკითხები და, ყველასდა გასაოცრად, თეატრის დაცარიელებული დარბაზი უცებ გაივსო. დღემდე ეს სპექტაკლი ანშლავით მიდის, რაც, უპირატესად, საზოგადოების დაინტერესებითა და თემის აქტუალობით არის განპირობებული.

ქართველი ახალგაზრდები არ ეგუებიან არსებულ სტრუქტურულ პრობლემებს, რომელიც მათში განსხვავებულ რეაქციებს იწვევს და ისინიც შესაბამისად სხვადასხვაგვარად გამოხატავენ პროტესტს. დიდმა ნაწილმა საზღვარგარეთს

შეაფარა თავი, მრავალი მათგანი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მომავლის რწმენა არ დაუკარგავს, ზოგი კი ძალადობით გამოხატავს შინაგან პროტესტს.

სწორედ სოციალური მდგომარეობაა ქუჩური კონფლიქტის თავი და თავი. ამერიკელი ფსიქოლოგი მასლოუ გეთავაზობს “მოთხოვნილებათა პირამიდას”, რომელშიც ჩამოთვლილია ის ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ადამიანი აგრესიული ხდება. სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანურ მოთხოვნილებებს ნაკლებად ექცევა ყურადღება. ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობაა, ამას ემატება ეკონომიკური გაჭირვება და ადამიანები ცდილობენ როგორმე გადაიჩინონ თავი, სხვას წაართვან, გაიმეტონ ადამიანი, ახლობელიც კი, და მიაღწიონ საწადელს.

დედაქალაქში ლტოლვილების ჩამოსახლებით კრიმინალური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. სახელმწიფო არ ზრუნავს უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებზე, მათი გარკვეული ნაწილი ქურდობითა და ყაჩაღობით ირჩენს თავს. ვინ არის დამნაშავე?

გალტუნგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სტრუქტურას გააჩნია შესაძლებლობა თავისი წევრები უზრუნველყოს ისეთი მექანიზმებით, რომლის დახმარებითაც მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად ქუჩური ძალადობაც აღმოიფხვრებოდა. მას მიაჩნია, რომ სტრუქტურები წარმოშობენ “ბოროტ” მოქმედებს და შემდეგ ეს მოქმედები ბოროტად იყენებენ ცუდ სტრუქტურას. საინტერესოა, რატომ გახდა ეს პრობლემა აქტუალური 90-იანი წლებიდან. რა ხორციელდება იმისათვის, რომ ქუჩური ძალადობა აღმოიფხვრას? დაბოლოს, როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან იგი? შევეცდებით ამ კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი.

ჩვენს ქვეყანაში მამაკაცებს ტრადიციულად ახასიათებდათ ერთმანეთის გატანის თვისება, რომელიც ყოველთვის დასაფასებელი იყო. “ქუჩის სკოლის” გავლა აუცილებელ ფაქტორად ითვლებოდა მათთვის, ვისაც პრეტენზია ჰქონდა ვაჟკაცობაზე. არსებობს ისეთი თვისებები, რომელსაც მხოლოდ ქუჩა გასწავლის. გადავხედოთ თანამედროვე ქართველი მწერლის მოთხრობას, რომლის ახალგაზრდობაც 80-იან წლებს დაემთხვა: “ქუჩამ ბევრი ისეთი რამე გვასწავლა, რასაც ვერსად ვერასოდეს ვერ ვისწავლიდით. ქუჩასაც გააჩნია თავისი მშვენიერებანი. ჩვენც ქუჩაში გავიზარდეთ, ოღონდ ისე არა, თქვენ რომ გგონიათ...” (ირაკლი ჯავახაძე).

ხშირად მსმენია, რომ 80-იან წლებში ამგვარი ძალადობა წარმოუდგენელი იყო. ბუნებრივია, “ძველი ბიჭები” ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, რომლებიც ძირითადად, ვაჟკაცთან და “კაი დამრტყმელთან” ასოცირდებოდა.

მაშინდელი ახალგაზრდები კითხულობდნენ, თეატრშიც დადიოდნენ და დაკავებულებიც იყვნენ თავ-თავიანთი საქმეებით. იმავე მოთხრობაში ვკითხუ-

ლობთ, “... ქუჩის გარეშე ვერ ვძლებდით, მაგრამ ღამლამობით სახლებში რომ ვბრუნდებოდით, წიგნებსაც ვკითხულობდით და ტელევიზორსაც ვუყურებდით, თეატრშიც დავდიოდით და ყვავილების საყიდელ ფულსაც ვაგროვებდით. საყვარელი მწერლებიც გვყავდა და საყვარელი ქალებიც...”

საინტერესოა, რა შეიცვალა? დღევანდელ დღეს ალბათ ამგვარ აგრესიულობას ნარკოტიკებისა და იარაღის სიჭარბეც განაპირობებს. ახალ-გაზრდათა უმრავლესობა დაუსაქმებელია, მრავალი მათგანი სასამელოში ეძებს ნუგემს, ზოგიერთი კი – ნარკოტიკში. სტრუქტურული პრობლემების შედეგად, დაუსჯელობის სინდრომი არის გამეფებული, კანონი არ კანონობს. როცა იცი, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არაფერი გეშუქრება, ბუნებრივია, უფრო თამამი და გაბედული ხდები, მით უფრო, თუ ეს პირველი შემთხვევა არ არის.

ამ სამყაროს წარმომადგენლები, ძირითადად, მსგავსი ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. იმარჯვებს ყოველთვის ძლიერი, სუსტი განწირულია. საკუთარი შრომით თავის რჩენა წარმოუდგენელია. მათ ერთნაირი საუბრის მანერა, ფესტიკულაცია და მიხრა-მოხრა ახასიათებთ. ყველასგან გამოირჩევიან. თითოეული მათგანის მიზანი დომინანტობისაკენ სწრაფვაა, კერძოდ – ძალადობისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. მათი შემოსავლის წყარო განისაზღვრება ქურდობით, აზარტული თამაშებითა და ეგრეთწოდებული “დაწერვით”. ამ სამყაროში სოციალური წარმოშობა დიდ როლს არ თამაშობს, შეხვედრებით დაბალ, საშუალო და მაღალშემოსავლიანი ოჯახების შვილებსაც. უმრავლესობა უწიგნურია.

მწერალ აკა მორჩილაძეს აქვს ერთი ასეთი მოთხრობა, სახელად “კაი ბიჭის ცხოვრება @ hotmail.com”, რომელშიც ერთი “პატიოსანი” ბიჭი მოგვითხრობს “კაი ბიჭების” შესახებ (იგივე “ძველი ბიჭი”). ერთ-ერთი “კაი ბიჭი” სწავლას მოისურვებს, ინგლისურში მომზადებას დაიწყებს და ინტერნეტითაც დაინტერესდება და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კარგად ეუფლება უცხო ენას, მისი მასწავლებელი ძალიან კმაყოფილია. ფაქტი თავისთავად სასინარულოა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველივე ამას მალავს და “პატიოსანი” ბიჭს სთხოვს, არ გასცეს და არ გაამხილოს მისი საიდუმლო მის მეგობრებში. საოცარია, არა? სწავლა სირცხვილად მიაჩნიათ ამ სამყაროს წარმომადგენლებს, “კაი ბიჭი” დარწმუნებულია, რომ საიდუმლოს გამხელის შემთხვევაში მას მისი მეგობრები დასცინებენ და შეიძლება აღარც იმეგობრონ მასთან. ჩემი აზრით მთავარი არის ის ფაქტი, რომ “კაი ბიჭს” მოსწყინდა თავისი უფერული ცხოვრება და გადაწყვიტა განათლება მიიღოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ ამ პიროვნების ბედი მაინც ტრაგიკულია, ვინაიდან კაცს მოკლავს და იმალება.

კარგა ხანია, იმავე მწერლის, აკა მორჩილაძის “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები” დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდობაში. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირია მამუკა, რომელიც ტიპური მოძველებიჭო ელემენტია. როგორც ჩანს, მწერალი კარგად იცნობს ამ სამყაროს და დიდი

ხელოვნებით ხატავს ამ პერსონაჟს. მამუკას, “ძველი ბიჭისთვის” დამახასიათებელი საუბრის მანერა და ფესტიკულაცია ახასიათებს, აქედან გამომდინარე, ადვილია მისი განათლების, გარემოსა და წრის შესახებ წარმოდგენის შექმნა. მას “ამივოს” (როგორც თვითონ უწოდებს) მოუკლავენ და გადაწყვეტს შური იძიოს. მკითხველისთვის ნათელია, რომ მამუკაც განწირულია, დღეს თუ არა ხვალ, იგიც იმავე ბედს გაიზიარებს, რადგან შავბნელ სამყაროშია, სადაც იარაღი და ნარკოტიკი უცხო ხილი არ არის და მას ადამიანის მოკვლა აქვს მტკიცედ გადაწყვეტილი. საუბედუროდ, მის ტყვიას სრულიად უდანაშაულო ადამიანი შეეწირება, რომელსაც არანაირი დანაშაული არ მიუძღვის მის წინაშე, რომელსაც ცხოვრება სწყუროდა, შეყვარებული ჰყავდა. გაუბედურდა კიდევ ერთი ოჯახი. მამუკა მალე შეიტყობს, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკვე გვიანია. ძალიან განიცდის, ხვდება რომ ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მაინც არ აპირებს გაჩერებას. ნაწარმოები მთავრდება იმით, რომ მამუკას ხელი აქვს ჩაქნეული ცხოვრებაზე, უკან არ იხევს და კვლავ თავისი მეგობრის მკვლელს ეძებს.

ნათელია, რომ მამუკა (“კაი ბიჭის” მსგავსად) ტრაგიკული პიროვნებაა, მისი ფსიქიკა შერყეულია, მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს და ამ მიზნის განხორციელებისათვის არაფერს დაიშურებს. მას სისხლი სწყურია და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს და დაწყნარდება, როდესაც მეგობრის სისხლს აიღებს. მწერალი ცდილობს დაგვანახოს “შავი” სამყაროს წარმომადგენელთა ტრაგიკული ცხოვრება. რითი შეგვიძლია დავხმართ მათ?

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ კრიმინალური სამყაროს ბატონობას ნაწილობრივ შინაგან საქმეთა სამინისტროც უწყობს ხელს. კრიმინალები და შსს დღესდღეობით ზოგჯერ ერთობლივად მოქმედებენ და მშვიდობიანი მოსახლეობა ფაქტობრივად დაუცველია.

ამას ემატება ის, რომ მომრავლდა პიროვნებათა გატაცების ფაქტებიც. ორ წელიწადზე მეტია, რაც ფეხბურთელ კახა კალაძის ძმა გაიტაცეს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არაერთხელ დაჰპირდა მისი ოჯახის წევრებს ლევანის გათავისუფლებას, ფაქტია, რომ დღემდე არაფერი ისმის მის შესახებ. გატაცების შემდეგ იგი მხოლოდ ორჯერ შეეხმიანა თავის ოჯახს წერილით, რომელშიც გამტაცებლების მოთხოვნების (გამოსასყიდი 600 ათასი დოლარით განისაზღვრებოდა) დაკმაყოფილებას ითხოვდა.

ლევან კალაძის გატაცების ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო და, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს, როგორც არასტაბილური ქვეყნის სათაკილო სახელი.

თავდაპირველად, სამართალდამცავი ორგანოები აცხადებდნენ, რომ ლევან კალაძე ცოცხალი იყო, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. დღესდღეობით ამგვარი ხმებიც მიჩუმდა და საერთოდ უცნობია გატაცებულის

ბედი. ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ლევან კალაძე მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს, გულუბრყვილობა იქნება. ალბათ, გამტაცებლებმა იცოდნენ, რომ ამით, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს, სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტად გაუტეხდნენ სახელს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების არიან გამტაცებლები (თითქმის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ისინი ქართველები არიან), ფაქტი ერთია: ხელისუფლება თვითონ უქმნის სასათბურე პირობებს დაუსჯელობის სინდრომს.

სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დღეს უკვე აღარავის ახსოვს პეტრე ცისკარიშვილის გამტაცებლები. არადა, პარლამენტარი ხომ მართლა გაიტაცეს (მოუხედავად იმისა, რომ მასაც არ სურს ამ თემაზე საუბარი). ჩვეულებრივ მოქალაქეს როგორღა ექნება გარანტია, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ მოჰკიდებენ ხელს და არ გაიტაცებენ? ანდა ვინ დაისაჯა კოდორის ხეობაში გაეროს დამკვირვებელთა თუ აფხაზეთის დევნილი მთავრობის წევრთა გატაცებისთვის? ეს ფაქტებიც ხომ ნამდვილად მოხდა.

დღემდის უცნობია ასევე, ვინ მოკლა სახელგანთქმული ფეხბურთელი კახი ასათიანი.

ყველაზე ხშირად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს ესხმიან თავს. კავკასპრესის საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემთა თანახმად, ბოლო სამი წლის განმავლობაში, გაქურდვის მიზნით, თავს დაესხნენ ამ ქვეყნის 30 მოქალაქეს. უცხოელთათვის ყველაზე საშიშად ითვლება ვაკე-საბურთალოს რაიონი. აქ დაფიქსირებულია ყველაზე მეტი ძალადობის ფაქტი.

უნდა ითქვას, რომ საღამოს (და არა ღამის) თბილისი კრიმინალური სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა. როგორც ჩანს, თავზეხელაღებულიები თავისუფლად დათარეშობენ დროის ამ მონაკვეთში.

თავდაპირველად ისინი მძარცველების ამპლუაში მოგვევლინენ - “ფული გვინდა” და ქონების მოსაპოვებლად არაჩვეულებრივ ხერხს მიმართეს - თავდასხმა რიგით ადამიანებზე. მოგვიანებით ყაჩაღობამ უფრო სერიოზული სახე მიიღო - “ვცემოთ მსხვერპლი, წავართვათ ფული, ავართვათ, რაც ასართმევია, და თუ შემოგვაკვდა, რა უშავს!”

ამ ორიოდე წლის წინ საინფორმაციო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ამგვარი სასტიკი ხერხები ქალებზეც გავრცელდა. საბრალო მანდილოსანს, ყველასათვის საყვარელ მსახიობ კირა ანდრონიკაშვილს თავდასხმის შემდეგ ძლივსლა იცნობდით. ფული ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. არა მგონია, წართმეული ექვსი ლარი ძლიერ შემატებოდათ ბოროტმოქმედებს.

მორიგი მსხვერპლი მწერალი ვაჟა გიგაშვილი გახლდათ, რომელსაც სააკაძის მოედანზე დაესხნენ თავს შებინდებისას. მსხვერპლის ტექსტი უკვე ნაცნობი იყო - “კეფაში რკინის ხელკეტი მომხვდა და გონება დავკარგე”.

ბატონი ვაჟას ცნობაც, ქალბატონი კირას მსგავსად, თითქმის შეუძლებელი იყო – სახე ნაკერებით ჰქონდათ დაფარული, თავზე – ჰემატომა. მწერალი სიკვდილს ძლიერ გადაურჩა.

ვფიქრობ, ძარცვა აქაც მეორეხარისხოვანია, ბოროტმოქმედთა მთავარი ატრიბუტი რკინის ხელკეტი იყო, მიზანი – ადამიანის თითქმის განადგურება. კაცის მოკვლა ალბათ არც უნდათ. უმთავრესი – წვალების გამტანჯავი პროცესია. როგორ შეიძლება ამგვარი მოძალადეები “წვრილ ხულიგნებად” ჩაითვალოს?

როდემდე გვეშინოდეს ერთმანეთის? როდემდე გავექცეთ თბილისის ჩაბნელებულ ქუჩებს (რომელთაც ენერგომამების “წყალობით” ისედაც არ აკლიათ დაბნელება)? როდემდე დავივიწყოთ კაცთმოყვარეობა? როდემდე ვაბოგინოთ მოძალადეები? ამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა, სანამ ხელისუფლება საჭირო ზომებს არ შეიმუშავებს იმ მოძალადეების მიმართ, რომლებიც თბილისის ქუჩებში დათარეშობენ მორიგი მსხვერპლის მოსაძიებლად.

ადრე ადამიანებს პატივს სცემდნენ. მსახიობს მოწიწებით ესალმებოდნენ, ქალს ხელს ვინ დააკარებდა?! მწერალს კი ერის წინამძღვრად მიიჩნევდნენ. დღეს ეს ღირებულებები გადაფასდა, დრო მოვიდა ასეთი.

მოძალადეები თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურად ათვალიერებენ. ჩვენში მსხვერპლს ეძებენ. ასე დაშინებულები დავიარებით და შველას ვერავის ვთხოვთ. დღითი დღე უფრო და უფრო მეტი რამის გვეშინია. სამართალდამცავთა არმია კი, რომელიც საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერას ვერ გრძნობს, როგორც ჩანს, უძლური და უსუსურია, რადგან აგრესიული ადამიანები დღესაც თავისუფლად დათარეშობენ თბილისის ქუჩებში.

საზოგადოება სამ ნაწილად გაიყო: კრიმინალები, მსხვერპლი და ჩვენ ... მაყურებლები.

უნებურად მახსენდება სტენლი კუბრიკის ფილმის “მექანიკური ფორ-თოხლის” ანტიგმირი ალექსი და მისი მეგობრები, ისინი სახლში შეცვივდებიან, რომელშიც შესანიშნავად ითარეშებენ. სახლში სავარძელსმიჯაჭვული მწერალი ცხოვრობს... თუმცა ეს მათთვის მეორეხარისხოვანი მოვლენაა. ბოროტების ჩადენის დაუოკებელმა ჟინმა რიდი და პატივისცემა არ იცის. ალექსს და მის მეგობრებს გიჟური და ფათერაკიანი თავგადასავლები და სისხლი სწყურიათ ... ბოლოს კი სწორედ მწერალმა მიუზღო სამაგიერო ანტიგმირს.

ჩვენს ქვეყანაშიც ასე ხდება, ისევ შენ თუ დაიცავ შენს უფლებებს, თორემ არც სამართალდამცავი ორგანოები და არც სახელმწიფო არ ზრუნავს მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.

ფემინისტი რეან აისლერი თავის წიგნში აყალიბებს შემდეგ კითხვებს: რატომაა ჩვენი სამყარო სავსე მამაკაცთა უსულგულობით სხვა მამაკაცებისა და ქალების მიმართ? რატომ არიან ადამიანები ასე სასტიკნი თავის თანამოდ-

ირინა ჯავახაძე / როგორ ავიცილოთ თავიდან ქუჩური კონფლიქტები თბილისის სინამდვილეში

მეების მიმართ? რა გვიბიძგებს მუდმივად ძალადობისაკენ და არა სიკეთისაკენ? იგი თვითონვე პასუხობს ამ შეკითხვებს, საუკუნეების მანძილზე მამაკაცები ომობდნენ, ხოლო მანვილი მამაკაცის სიმბოლოდ აღიქმებოდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცი აგრესორია, რომ ძალადობა მისი ბედისწერაა. პრობლემა თვით სტრუქტურაშია, რომელიც აიძულებს მას გააკეთოს ის, რაც სხვა შემთხვევაში მას მიუღებლად მიაჩნია. ისევ გალტუნვს რომ დავუბრუნდეთ, მისი შეხედულებით, ნებისმიერი ძალადობა ყოველთვის სტრუქტურული ძალადობის შედეგია.

ძირეულ ადამიანურ ღირებულებათა თეორიის საფუძვლად ჯონ ბარტონმა ფსიქოლოგთა, პროგრესულ პოლიტოლოგთა და ბიჰევიორისტთა ერთი ნაწილის პრინციპი აიღო: თუ ადამიანის ძირეული მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ საზოგადოება ყოველთვის ძალადობრივი კონფლიქტის წინაშე დგას (ქუჩის კონფლიქტი, სტრუქტურული კონფლიქტი, ომი და სხვ.).

მასლოუს მოთხოვნებისათა ეიერარქიაზე დაყრდნობით, ჯონ ბარტონმა ჩამოაყალიბა ონტოლოგიურ მოთხოვნებისათა თეორია, კერძოდ, უსაფრთხოება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური), იდენტურობა (თვითგამორკვევა), პატივისცემა, ჯგუფთან კუთვნილება და ასე შემდეგ.

ქუჩის ძალადობა რომ აღმოიფხვრას, საჭიროა ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება, მიზნის მისაღწევად მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციის განტვირთვა საკმარისი არ არის, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების გამორიცხვა.

დღეს, ყველასათვის ნათელია, რამდენად არის საქართველოში დაკმაყოფილებული ადამიანის მატერიალური, თუ ონტოლოგიური მოთხოვნილებები და, შესაბამისად, შედეგი სახეზე გვაქვს, და ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები გარკვეულწილად მაინც დაკმაყოფილდეს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა კონფლიქტების რაოდენობას ყველა ასპექტში.

ბუნებრივია, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დიდ გავლენას მოახდენს ქუჩაში გამეფებული განუკითხაობის მოწესრიგების საქმეში, მაგრამ ფიქრობთ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

ცნობილმა ფსიქოლოგმა ერინ ფრომმა შემოიტანა “დედობრივი” და “მამობრივი” სიყვარულის ცნება. დედობრივი სიყვარული უპირობოა – როგორც არ უნდა მოიქცეს შვილი, რა უარყოფითი თვისებებიც არ უნდა ჰქონდეს – მას არ ემუქრება მშობლის სიყვარულის დაკარგვა, ან, თუნდაც, შესუსტება. მამობრივი სიყვარულის დროს კი, თუ შვილი გარკვეულ პირობებს დაარღვევს, მშობლისთვის არასასურველ პიროვნებად ყალიბდება, მაშინ იგი არ ეყვარებათ.

ფსიქოლოგ გავა ნიჟარაძის აზრით, საქართველოში სწორედ “დედობრივი” ტიპის ურთიერთობები სჭარბობს, რაც ქართულ კულტურაში ბავშვის აღზრდის

სტილსა და ამ აღზრდის საბოლოო “პროდუქტს” განაპირობებს.

ჩვენს ქვეყანაში “განსაკუთრებული” ყურადღება ეთმობა ბავშვის აღზრდას, აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ მაქსიმალური კომფორტი და ზრუნვის ატმოსფერო შეექმნას ბავშვს. უკვე მოზრდილსაც, მშობელი უგვარებს ყველა პრობლემას. მშობელი თავის პირმშოს აღიქვამს, როგორც მის განუყოფელ ნაწილს და არა როგორც ინდივიდუალურ, ჩამოყალიბებულ პიროვნებას, რომელმაც გადაწყვეტილებებიც თავად უნდა მიიღოს და პრობლემებიც თავად უნდა გადაჭრას. ამ სტილით აღზრდილ ადამიანებს ახასიათებთ ნებელობის მკვეთრი დეფიციტი. ნებელობა ფსიქიკური ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი არასასურველ ქცევას მიმართავს.

მიგვაჩნია, რომ ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში არაფერს აკლებდნენ, მისი თითოეული სურვილი უპრობლემოდ სრულდებოდა, ხოლო, მოზრდილ ასაკში, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა გაუუარესდა, მშობლებიც ან დაეღუპა, ანდა მის მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებენ, ხდება აგრესიული და ცდილობს ძალადობით მოიპოვოს ის, რაც სურს.

ეს თეორია, ბუნებრივია, ყველა აგრესორზე არ ვრცელდება, რადგან ისეთი “ძველი ბიჭებიც” გვინახავს, ვისაც უზრუნველი ცხოვრება აქვთ, მაგრამ ქუჩურ კონფლიქტებში მონაწილეობაზე უარს არ ამბობენ, პირიქით, მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს სხვისი დაჩაგვრა, ქურდობა, „დაწერვა“, სხვა აგრესიული ქმედებები და ამით ამაყოფენ კიდევ, რაც მათი დამახინჯებული ფსიქიკის ნაყოფია.

რამდენადაც ვიცით, ამაში ლომის წილი დანაშაული ნარკოტიკებს მიუძღვის, რომელიც ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემასა და ფსიქიკაზე. გარდა ამისა, “წამალს” საკმაოდ დიდი თანხები ესაჭიროება, და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნარკომანების უმრავლესობა არ მუშაობს და ამ საქმეში მათ გავლენიანი მშობლებიც ნაკლებად ეხმარებიან, ისინი იძულებულნი ხდებიან ძალადობაზე გადავიდნენ და ამით საჭირო თანხა შეაგროვონ. არა აქვს მნიშვნელობა, რას ჩაიდენენ, მოიპარავენ, დააყაჩაღებენ, დაჭრიან ადამიანს თუ მოკლავენ, ისინი ყველაფრისთვის მზად არიან, რათა “წამლის” ფული მოიპოვონ. ამ დროს ისინი ჩვეულებრივი ადამიანები აღარ არიან, ისინი მტაცებელ ცხოველებს ემსგავსებიან...

შეიძლება ადამიანი სცემო, გალანძლო, მაგრამ უმნიშვნელო მიზეზის გამო დაჭრა ან მოკლა? ამგვარ საქციელს არაფერი ამართლებს.

ჯანმრთელი ფსიქიკის ჩამოყალიბება უმთავრესად ოჯახის, აღზრდისა და გარემოს ხელშეწყობით ხდება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეგობართა წრეს, სკოლას, პედაგოგებს და, უპირველესად, მშობლებს. სწორედ ეს ფაქტორები აყალიბებენ პიროვნებებს.

ახალგაზრდები, თავიანთი ასაკიდან გამომდინარე, უფრო აგრესიულები

ირინა ჯავახაძე / როგორ ავცილოთ თავიდან ქუჩური კონფლიქტები თბილისის სინამდვილეში

არიან, ამ აგრესიას ამბაფრებს ის ფაქტიც, რომ დასავლეთიდან შემოსულმა კინოფილმებმა დაიპყრეს საქართველოს მოზარდების გულები. უხეშად რომ ვთქვათ, შვიდი წლის ასაკიდან ისინი უსასტიკეს კადრებს უყურებენ ეკრანზე და მრავალ მათგანს უჩნდება სურვილი თავის თავზე გამოსცადოს იგივე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენზურის დაწესება ამგვარ ფილმებზე, თუნდაც იმის გაკეთება, რომ მხოლოდ ღამის სეანსი მოიცავდეს ფილმებს ძალაღობაზე. ძირითადად, 13 -14 წლამდე ბავშვები 12 საათამდე იძინებენ. ხოლო მოზარდი, როდესაც უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ვთვლით, რომ ამგვარ კინოფილმებს უკვე სხვა კუთხით უყურებს და, პირიქით, შეიძლება გარკვეულწილად პოზიტიურადაც კი იმოქმედოს მასზე.

გასაზიარებელია ფსიქოლოგ ლიკა კვიციანიშვილის მოსაზრება, რომ პედაგოგებმა და ფსიქოლოგებმა შეიმუშავონ ისეთი პროგრამა, თუნდაც ეთიკის სახით, რომელიც მოზარდებს ასწავლის ისეთ ფასეულობათა აღმოჩენასა და დაფასებას, როგორც ადამიანია, რომ ყველაზე ფასეული სწორედ ეს ფენომენია დედამიწაზე, რომელსაც გაფრთხილება უნდა. სასურველია ამგვარი პროგრამების სასკოლო კურიკულუმებში ჩართვა, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მოზარდების საღი ფსიქიკის ჩამოყალიბებას.

მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების შემოსვლის შემცირება, გარკვეულწილად, პოზიტიურად იმოქმედებს ქუჩური ძალადობის აღმოფხვრაზე. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ ამ ბიზნესით არა ერთი ჩინოვნიკი ითბობს ხელს.

პრობლემა გადაწყდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში სტრუქტურული კონფლიქტები მოგვარდება, როდესაც კანონი აღსრულდება, კორუფცია აღმოიფხვრება და ისეთი სისტემა იმოქმედებს, რომელიც გააკონტროლებს თითოეული კანონისა და წესის შესრულებას.


უდავოა, ამ პროცედურების განხორციელება არსებულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს. ამიტომაც ჰქვია მას ხელისუფლება. სწორედ ამ მიზნით აირჩია ხალხმა. სახელმწიფო უნდა იცავდეს მოსახლეობის ინტერესებს. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაკლებად აინტერესებთ საყოველთაო პრობლემები და, შესაბამისად - შედეგიც სახეზეა. მე, პირადად, მიმაჩნია, რომ ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ კონფლიქტში ლომის წილი ხელისუფლებას მიუძღვის.

დაბოლოს, ტიბეტის სულიერი ლიდერის დალაი ლამას სიტყვებით მინდა დაგემშვიდობოთ: “ჩვენი, ადამიანების, ძირითადი მიზანია, ბედნიერად ვიცხოვროთ; ყველას უნდა ეს გრძნობა განიცადოს. ეს ჩვენი ცხოვრების მიზანია ... ადამიანური სითბო და თანაგრძნობა კი ბედნიერებისათვის აუცილებელი ფაქტორებია.”

გვიყვარდეს ერთმანეთი!

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 6

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 6

ელიტა - ხელისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებები

შორენა ლორთქიფანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

90-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ფუნდამენტური ძვრები განხორციელდა. მმართველობის სოციალისტური და კომუნისტური სისტემები ტრანზიციული რეჟიმებით შეიცვალა. ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ორმაგი ტრანზიცია უნდა მომხდარიყო, ერთი მხრივ, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ავტოკრატიული რეჟიმიდან დემოკრატიაზე. დემოკრატიზაციის თეორეტიკოსები პრეჟეგორსკი, ლინცი და სტეპანი მიიჩნევენ, რომ ტრანზიცია მესამე სფეროსაც მოიცავდა, ბევრი პოსტ-კომუნისტური ქვეყანა ერის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს შექმნის ახალ პროცესს ეზიარა.¹

დასავლური კულტურული სტანდარტები ჯერ კიდევ „პერესტროიკამდე“ შეიჭრა საბჭოთა კავშირის კულტურულ სივრცეში. 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კულტურული სივრცე დაინგრა, რაც ღირებულებებისა და ოფიციალური იდეოლოგიის გადასინჯვამ გამოიწვია. დასავლურ კულტურას დაეწაფა საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თუმცა დემოკრატიული სისტემის დამკვიდრება ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. საზოგადოებები და მათი ელიტები ცვლილებებისათვის მზად არ იყვნენ.

90-იანი წლების დასაწყისში წარმოქმნილი ახალი რეჟიმების მიზანი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება იყო. დღეს ტრანზიცია რიგ ქვეყნებში სტაგნაციის ფაზაში შევიდა. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ბევრ სახელმწიფოს დემოკრატიულს ვერ ვუწოდებთ. სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში ეროვნული მოძრაობების ლიდერებსა და ხალხს ოპტიმისტური მოლოდინები ჰქონდათ. მათ მიაჩნდათ, რომ სისტემის რღვევა იმ სიანხლეს მოიტანდა, რასაც დემოკრატია ჰქვია. 90-იანი წლების დასაწყისი გარდამავალი ეტაპი უნდა ყოფილიყო დემოკრატიისაკენ. ტრანზიცია კი მეტად გახანგრძლივდა, ის არ აღმოჩნდა დემოკრატიის

¹ Przeworski 1991; Linz and Stepan 1996; Berglund and Aerebrot 1997; Bunce 1998

წინაპირობა. ტრანზიციული პროცესი მრავალი ფაქტორის გავლენას განიცდის. 90-იანი წლების დასაწყისში გარკვეული ეიფორია შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ეროვნული მოძრაობების ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ ტრანსფორმაცია და დემოკრატიზაცია შესაძლებელი იყო. თუმცა ყოველივე ეს ილუზია აღმოჩნდა და დემოკრატიამდე, რომელსაც დალი აღწერს, ძალიან რთული და გრძელი გზა ყოფილა გასავლელი. „ჰიბრიდული დემოკრატია“, „დელეგატიური დემოკრატია“, „ადმინისტრაციული დემოკრატია“, „ავტორიტარული დემოკრატია“, სიტყვამ დემოკრატია მრავალი ზედსართავი სახელი შეიძინა.² მრავალ კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ რიგ ქვეყნებში დემოკრატიული ტრანსფორმაცია წარმატებით განხორციელდა, თუნდაც მინიმალისტური თვალსაზრისით, მაშინ, როცა რიგ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში გარდაქმნები სულ სხვა მიმართულებით წავიდა. სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების დინამიკის ანალიზი კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ გავცემს. არც პროცედურული და გენეტიკური³ მიდგომები გამოგვაადგება.

ისძის კითხვა: რა როლს ასრულებენ ელიტები ტრანზიციის პერიოდში? ორი ტიპის ტრანზიციას გამოყოფენ: პირველი, „დემოკრატიული ტრანზიციისათვის“ დამახასიათებელია მოლაპარაკების შედეგად მიღწეული პაქტი ელიტებს შორის, როდესაც ძველი ელიტა გადასცემს ძალაუფლებას ახალ გავლენიან ჯგუფებს. მეორე, „დაცემა“, „ნგრევა“ ელიტების განსაზღვრისა და იდეოლოგიური შეუთანხმებლობის შედეგია. საბჭოთა კავშირი იდეოლოგიურად გაერთიანებული ელიტების მაგალითს წარმოადგენდა, რომელიც დაინგრა. ტრანზიციის შესახებ შრომებში ვხვდებით მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური ცვლილებები ავტორიტარულ/ტოტალიტარულ რეჟიმში მიმდინარე პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ძვრების შედეგია.

ჩვენ ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანეს სუბიექტებს - ელიტებს - განვიხილავთ პოსტ-საბჭოთა საქართველოში. კვლევა მოცემულ საკითხზე მრავალი ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი: პირველი, ელიტა არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მართავს, რომლის ხელშია გავლენისა და ძალაუფლებისათვის აუცილებელი რესურსები; მეორე, ელიტების ქმედება განსაზღვრავს მიღებულ გადაწყვეტილებას, ანუ გადაწყვეტილების მიმღები, სწორედ, მათ რიგებში მოიძებნება. მესამე, ელიტა, ერთი მხრივ, ეტალონია საზოგადოებისათვის, მეორე მხრივ კი, მისმა ჩაკეტილობამ შესაძლოა სრულიად დაბლოკოს პოლიტიკური პროცესი, გადაწყვეტილების მიღება და მისი რეალიზება. ამით კი, ქვეყნის წინაშე უდიდესი პრობლემა იქმნება, დგება სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

² Collier D., Levitsky S. Democracy with Adjectives: Conceptual Innovations in Comparative Research. World Politics 1997. Vol. 49.3. p. 430-451

³ პროცედურული მიდგომა გულისხმობს კვლევის პროცესში გარკვეული მეთოდების გამოყენებას, ხოლო გენეტიკურ მიდგომაში მოიაზრება ისტორიული საფუძველი.

80-იან წლებში მეცნიერები განსაკუთრებული ინტერესით შეუდგნენ ელიტების კვლევას. ამ პერიოდს ელიტების ანალიზის „რენესანსს“ უწოდებენ. მზარდ ინტერესს ობიექტური მიზეზები ჰქონდა: გლობალიზაცია, ტრანსნაციონალური და ელიტათაშორისი კავშირების ინტენსიფიკაცია, პოლიტიკურ პროცესებში ელიტების როლის გაძლიერება, სოციალური ტრანსფორმაციის ახალი ტალღები.⁴ განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს დემოკრატიული ელიტიზმის იდეებზე დაფუძნებული ელიტის გაგება. ელიტაში მოიაზრება ის ადამიანები, რომლებიც გავლენიან, ძლიერ ორგანიზაციებსა და მოძრაობებში სტრატეგიულ პოზიციებს ფლობენ და გადაწყვეტილების მიღება ან გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა მათი პრეროგატივაა. ელიტებში ლიდერთა ორ, ძირითადი კატეგორიაა გაერთიანებული:

- ისინი, რომლებიც პოლიტიკურ არჩევნებში კონკურენციის შედეგად მოიპოვებენ გავლენას (პოლიტიკური ელიტა);

- ისინი, რომელთაც აქვთ გავლენა, მაგრამ არ მონაწილეობენ არჩევნებში. მათ ექვემდებარება არაპოლიტიკური რესურსები, კერძოდ, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო, რელიგიური, კულტურული და სოციალური. თუმცა აღნიშნული რესურსები, გამოიყენება რა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსაპოვებლად, თავისთავად, პოლიტიკურ დატვირთვას იღებს.

პირველი ჯგუფის გავლენის წყაროა უშუალოდ არჩევნები და ფოკუს ჯგუფების მობილიზების უნარი; მეორე ჯგუფის გავლენა მათი სოციალური პოზიციიდან და ინტერესებიდან მომდინარეობს. პირველი ჯგუფის გავლენა უფრო ფორმალური და მოკლევადიანია, მეორე ჯგუფისა კი, ხანგრძლივობით გამოირჩევა. პირველი ჯგუფი პოლიტიკური ელიტაა, პოლიტიკური გავლენის რესურსებით შეიარაღებული; რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მასში შედის სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, მედიის წარმომადგენლები და ყველაზე მსხვილი კატეგორია - ეკონომიკური ელიტა. ელიტებს აქვთ უნარი, გავლენისა და მყარი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, შექმნან სხვადასხვა კავშირები, რასაც ელიტური ქსელების კონცეფციას ვუწოდებთ. ელიტური კავშირები ხასიათდება როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური განზომილებით, რაც კარგად აისახება შემდეგ გამოთქმებში: „ჩვენი წრის ხალხი“, „საჭირო ხალხი“. ელიტური ქსელების ფუნქციონირება ვლინდება ელიტების რეკრუტირებისა და ცირკულაციის, ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესებში ურთიერთქმედების, კონტაქტებისა და „სხვებთან“ ურთიერთობების ფონზე.

ელიტების რეკრუტირების პრობლემები, დემო-ელიტური პერსპექტივიდან გამომდინარე, განიხილება ცვალებადი სოციალური სტრუქტურის, მოტივაციისა და რისკების საფუძველზე. ელიტების ცირკულაცია აქცენტს აკეთებს ელიტური

⁴ David Lane, Transformation of Russia, The Role of Political Elite. Euro-Asia Studies, June 96, Vol 48, Issue 4, p. 535.

ჯგუფების მემკვიდრეობისა და ინტეგრირების პრობლემებზე. ინტეგრაციაში ვგულისხმობთ ელიტების სოლიდარობასა და გაერთიანებას, ხოლო დიფერენციაცია მათი პლურალიზაციის საფუძველია.

ვთავაზობთ, პოლიტიკური ელიტების რეკრუტირების მოდელს, რომელიც ჩიკაგოს სოციოლოგიისა და პოლიტიკის სკოლის წარმომადგენელმა მკვლევარმა ბოვდან გერასიმოვმა შეიმუშავა.

ნ ა მ ა ე ნ ბ ა

დონტები	„საწოდოლო ფაქტორები“	დაწვევითი	ვადამართა „ერაზოეა“	მეზევა	წინ წასვლა	„საქტორული ფაქტორები“
		შ ე მ ა დ ე ე ნ ლ ო ბ ა				
		„საბუფაფა“	„საბუფა“	„საბუფა“	„საბუფა“	
1. ინდივიდუალური	მოტივაცია, ამბიციები					შეადგენლობა (კუთხეები, მუდომობა)
2. სოციალური	პროფესიული, რელიგიური, სტატუსი					პოლიტიკური მართვების რელიგიური
3. ინსტიტუციონალური	რეანიმაციული გეგმები					პოლიტიკური შესაძლებლობების სტრატეგია

ავტორის აზრით, აღნიშნული მოდელი, რომელშიც აღწერილია პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესი, შეესაბამება არა მარტო დასავლურ საზოგადოებებს, ასევე საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებს. მიდგომაში აქცენტია გაკეთებული სოციალურ კავშირებსა და პოლიტიკურ რესურსებზე. თითოეულ საზოგადოებაში პოლიტიკური შესაძლებლობების, გაერთიანების ფორმების, პროფესიული როლებისა და სტატუსების კრიტერიუმების შერჩევის ტრუქტურა სხვადასხვაგვარია. მაგრამ რეკრუტირების „მიწოდებით“ და „ამოქაჩვით“ ფაქტორების ერთობლიობა და ელიტაში წინ წასვლის, წარმატებების მიღწევის ლოგიკა ყველა თანამედროვე საზოგადოება-სათვის უნივერსალურია.

თანამედროვე საზოგადოებებში ელიტის ფუნქციონალური ეფექტურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმებია: ელიტების ინტეგრაცია, სოლიდარობა და კონსენსუსი, ასევე მნიშვნელოვანია დიფერენციაციის ფაქტორი. ის ავტორები, რომლებიც ტრანზიტოლოგიაში მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული განვითარების საფუძველია ელიტების პლურალიზაცია და დიფერენციაცია და, ამავე დროს, პოლიტიკური კომპრომისი. დასავლურ საზო-

შორენა ლორიქიფანიძე / ელიტა - ხელისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებები

გადოებებში ელიტები დიფერენცირებულია, მათი ინტეგრაციის ღონე შემცირდა, თუმცა დროთა განმავლობაში სოლიდარიზაციის სხვა ფორმები გამოვლინდა. ჰიგლის კლასიფიკაციის მიხედვით, ელიტათაშორისი ურთიერთობების ოთხი ძირითადი სტრუქტურული ტიპი ვლინდება:

- იდეოლოგიურად გაერთიანებული ელიტა (იდეოკრატიული ელიტა) წარმოიქმნება ნაციონალური კრიზისის დროს. ასეთ შემთხვევაში ელიტების ინტეგრირების საფუძველს იდეოლოგია და ეროვნული ინტერესები წარმოადგენს. ინტეგრირებულობა ვლინდება მათი დადგენილებების იდეურ ჰომოგენიზაციაში. აღნიშნულ ტიპში ელიტების დიფერენციაცია ნაკლებად შეინიშნება, რაც ტოტალიტარული რეჟიმების განვითარებას უწყობს ხელს;

- კონსენსუსის საფუძველზე გაერთიანებული ელიტა. იგი წარმოიქმნება ელიტურ ჯგუფებს შორის ნორმალური კონკურენტული პოლიტიკური ვაჭრობისა და შეთანხმებების შედეგად. ყოველივე ეს მიმდინარეობს დადგენილი წესების მიხედვით, რაც მოცემულია კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონში. აღნიშნული ტიპი გამოირჩევა ელიტების ფართო დიფერენციაციითა და ძლიერი ინტეგრაციით, რაც უზრუნველყოფს სტაბილური დემოკრატიის არსებობას;

- ელიტების ფრაგმენტულობა, რომელსაც ახასიათებს ფართო დიფერენციაცია და სუსტი ინტეგრაცია. აღნიშნული ტიპი წარმოადგენს ინდივიდუალურ-ქარიზმატული ელიტის ლეგიტიმაციის პროდუქტს. ამგვარი ელიტისათვის არ არის დამახასიათებელი საერთო მიზნები, ან მიღებული პროცედურებით ხელმძღვანელობა;

- გათიშული ელიტები სუსტი დიფერენციაციითა და ინტეგრაციით. იგი ხელს უწყობს ავტორიტარული რეჟიმების განვითარებას.

ლეიპჰარდი განიხილავს კონსოციალური ელიტის სპეციფიკურ ტიპს, რომელიც ეფუძნება სოციალურ პაქტს, საზოგადოების ფრაგმენტირებულ სოციალურ სტრუქტურას და ასახავს კონკრეტულ სოციალურ საკითხთან დაკავშირებით ელიტებს შორის ინტეგრაცია/კოოპერაციას.

მოცემულ ტიპებში განხილული ელიტების ინტეგრირებულობა და სოლიდარობა არ მიუთითებს მაინცა და მაინც მათ შორის შინაგანი კონკურენციის არარსებობაზე. ელიტათაშორისი ურთიერთობები განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სპეციფიკასა და მიმართულებას.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ელიტების ინტეგრირებულობა და მათ შორის სოლიდარობა სრულიად არ გულისხმობს მათში კონკურენციის არარსებობას. ემპირიული კვლევების მიხედვით, კონფლიქტები, პოლიტიკური განსხვავებები და ელიტებს შორის უთანხმოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსახლეობაში არსებული კონფლიქტები. ხშირად კონკურენტული ელიტები მეტოქეებისაგან განცალკევების მიზნით მიითვისებენ ხოლმე გარკვეულ იარაღებსა და სიმბოლოებს ამომრჩეველთა მხარდაჭერის მობილიზაციის მიზნით. მაგრამ ელიტებს

შორის კონკურენცია არ არის ტოტალური, დროთა განმავლობაში ელიტები გარკვეულ შეთანხმებამდე მიდიან. შეთანხმება (პაქტი) პოლიტიკური სისტემის მიზნებშია.⁵ ელიტათა შორის კონსენსუსი მათი ინსტიტუციონალური ძალისა და კლასობრივი მომწიფებულობის ნიშანია.

ეროვნული მასშტაბებით ელიტების ინტეგრირებულობა დიდი ხნის მანძილზე ორი უმნიშვნელოვანესი მექანიზმით ხორციელდებოდა: შერჩევა მემკვიდრეობითი ნიშნით (აყალიბებდა გამორჩეულობის გრძნობას) და განათლების მიღების არხებით (აყალიბებდა „ჰალსტუხისა“ და კომპეტენტურობის მიხედვით გამორჩეულობის გრძნობას).

ეროვნული პოლიტიკური განვითარების კანონზომიერებები პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებაში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამ რეალიების მიხედვით უნდა გავცეთ პასუხი ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე. კითხვა კი შემდეგში მდგომარეობს: არსებობს, თუ არა საზოგადოებაში დემოკრატიული ტრანზიციის განხორციელების რესურსი. რამდენად მომწიფებულია საზოგადოება და მისი „მმართველი“ ნაწილი ცვლილებებისათვის?

ბევრი მეცნიერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებს ჰანტიგტონის „დემოკრატიზაციის მესამე ტალღის“ კონტექსტში განიხილავს და ამ მიმართულებით ცდილობს პროცესის აღწერას. პროცესში მრავალი აქტორი და ინსტიტუტია ჩართული. დემოკრატია მოიცავს სამ განცალკევებულ სფეროს: სახელმწიფო, ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოება. თითოეული მათგანი ერთმანეთის მიმართ ფიქსირებულ და პროგნოზირებად პოზიციას იკავებს.⁶ დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისას ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზების უნარს უნდა მივანიჭოთ. საზოგადოების აქტიურ როლზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი საინტერესოა ის თეორიული წიაღსვლები, რომელიც დემოკრატიის ელიტურ თეორიებში შეინიშნება.

ელიტების კვლევა, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზის საშუალებას მოგვცემს. ანუ რამდენად მნიშვნელოვანია ის როლი, რომელსაც ახალი საქართველოს „ახალი“ ელიტები ასრულებენ დემოკრატიზაციის პროცესში, დემოკრატიის კონსოლიდაციის წარმატებით განხორციელებაში. მეორე მხრივ, აღნიშნული კვლევის მიზანია, დღევანდელ საზოგადოებაში არსებული ელიტის განსაზღვრა, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ

⁵ 2003 წლის შემოდგომაზე საქართველოში საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. ქვეყანაში უკვე იგრძნობა საარჩევნო ციებცხელება. დღევანდელი ელიტა ცდილობს მომავალ პარლამენტში შეინარჩუნოს ძველი პოზიციები. აქედან გამომდინარე, მეტად საინტერესო პროცესის მოწმენი ვართ. ყოფილი ოპოზიციური პარტიები, რომელთა შეთანხმება სახელისუფლებო ბლოკთან აქამდე წარმოუდგენელიც კი იყო, დღეს „პაქტს“ აფორმებენ ხელისუფლებასთან, ანუ იმათთან, ვისაც დღეს აქვს უფლება მართოს. ამ შემთხვევაში, კონკურენციას ცვლის შეთანხმება.

⁶ Mimi Larsson, The Democratic Trinity Theory. www.anthrobase.com

შორენა ლორთქიფანიძე / ელიტა - ხელისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებები

ელიტებს შორის ზღვარის დადგენა (თუ ეს ზღვარი ჩვენს რეალობაში, საერთოდ, არსებობს). სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული რესურსის მოძიება, რაც შესაძლებელს გახდის არსებული ელიტის წარმატებულ ჩანაცვლებას ახალი აზროვნების მქონე ადამიანებით. სამოქალაქო საზოგადოების მომწიფებულობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიზაციის დონეს.

პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულ ინდივიდებს, ვიდრე ინსტიტუტებს და მათ სრულყოფილად ფუნქციონირებას. ქართულ ელიტას კოჰერსიულობის პრობლემები აქვს. ან მასში ნაკლებია ბმა მის ცალკეულ ნაწილებს შორის, ან კავშირი გაწყვეტილია, შეინიშნება კონსოლიდაციის დაბალი ხარისხი.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების დამხობამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დემოკრატიული სისტემების წარმოშობა განაპირობა. ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიებზე, უფრო ზუსტად კი, დემოკრატიის რობერტ დალისეულ ინტერპრეტაციაზე, ანუ პოლიარქიებზე. პოლიარქიები ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს, რაზეა დაფუძნებული ძალა-უფლება: უმრავლესობის მმართველობაზე, თუ შეთანხმებულ წესებზე. თუმცა თითოეული მათგანი შემდეგ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს იზიარებს: წარმომადგენლობითობა და ინსტიტუციონალიზებულიობა. ამის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიზებადი ქვეყნების უმეტესობა სულაც არ არის მიდრეკილი წარმომადგენლობითობისა და ინსტიტუტების შექმნისაკენ. ოდონელის აზრით, ისინი პოლიარქიებს წარმოადგენენ, მაგრამ არა თეორიზებული სახით. ჩვენ შევეცდებით ამ საკითხების თეორიზება მოვახდინოთ.

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო საზოგადოების სარკეა. ერთი შეხედვით ტრივიალური გამოთქმა მრავალი კუთხიდან შეიძლება განვიხილოთ. თუ საზოგადოებამ პროგრესი შეძლო და გარკვეულ დემოკრატიულ კონსოლიდაციას მიაღწია, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო საზოგადოების სარკედ რჩება, თუ არა? სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება და ორგანიზაციის ფორმები, ასევე საზოგადოებრივი ინსტიტუტების სიცოცხლის-უნარიანობა და ორგანიზებულიობა დიდ გავლენას ახდენს დემოკრატიის კონსოლიდირების ხარისხზე.

მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება სახელმწიფოს გაიგივება სახელმწიფო აპარატთან, სახალხო სექტორთან, ან ბიუროკრატიასთან. რასაკვირველია, თითოეული მათგანი სახელმწიფოს ნაწილია, თუმცა არა ყოვლისმომცველი. სახელმწიფო, თავისთავად, სოციალური ურთიერთობების ნაზავია, რომლის შედეგადაც იქმნება გარკვეული წესრიგი.

ანგლოსაქსური და კონტინენტური ტრადიციის მიხედვით, კანონი კოდიფიცირებული განზომილებაა, რომელიც პროფესიული ცოდნის თავმოყრის

შედეგად იქმნება. თანამედროვე დემოკრატიულ რეჟიმებში კანონი რიტუალიზებული და ინსტიტუციონალიზებულია. პოსტ-საბჭოთა ტრანზიციული ქვეყნები, სწორედ, ამ მახასიათებლების ნაკლებობას განიცდის. განვასხვავებთ კანონისა და იდეოლოგიის განზომილებას. ზოგიერთ ქვეყანაში კანონი ყოველგვარ იდეოლოგიაზე მაღლა დგას, ზოგან კი, იდეოლოგია კანონს აღემატება.

ოდონელი აცხადებს, რომ ბევრი ქვეყანა (ისევე, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნები) არ განიცდის ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფოს კრიზისთან. კრიზისი სამ განზომილებაში არსებობს, ესენია სახელმწიფო ბიუროკრატიული, კანონის მმართველობისა და იმ განცხადებების შესრულების შესაძლებლობა, რომელთა განხორციელება აიღო სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეების წინაშე.

ოდონელი გვთავაზობს დელეგატიური დემოკრატიის განსაზღვრებას. დელეგატიური დემოკრატია ეყრდნობა იმ წინაპირობას, რომ ყველა, ვინც იმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, უფლებას იღებს მართოს. პრეზიდენტი ხდება ერის განსხეულება და ეროვნული ინტერესების დარაჯი, დამცველი და განმსაზღვრელი. დელეგატიური დემოკრატია შორს არ არის დემოკრატიული ტრადიციისაგან, მაგრამ ნაკლებ ლიბერალურია, ვიდრე წარმომადგენლობითი დემოკრატია. იგი უმრავლესობის რეჟიმს წარმოადგენს. იქმნება უმრავლესობა, რომლის საშუალებითაც იქმნება ლეგიტიმური დელეგირების მითი. დელეგატიური დემოკრატია ინდივიდუალისტურია. არჩევნები ემოციურობით ხასიათდება. ლათინური ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფო დელეგატიური დემოკრატიის სამშობლოა. ჩვენს სივრცესა და ზემოთ აღნიშნულ რეგიონს შორის შეიძლება გაივლოს პარალელები.

ელიტაში მოიაზრება არა მარტო გადაწყვეტილების მიმღებები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციული პოზიციიდან გამომდინარე გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. ელიტაში მოიაზრება არ მარტო პარლამენტის წევრები, სამთავრობო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არამედ ეკონომიკური სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და ეკლესიის წარმომადგენლებიც.⁷

პოლიტიკის სფეროში ეროვნულ დონეზე ელიტების სამ ძირითად სექტორს გამოყოფენ: აღმასრულებელი, ანუ სამთავრობო ელიტა, საკანონმდებლო ელიტა და საპარლამენტო ფრაქციებისა და პარტიების ლიდერები. აღმასრულებელ ელიტაში შედიან მინისტრები, მათი მოადგილეები და სამთავრობო უწყებების სხვა ხელმძღვანელები. ასევე პრეზიდენტის აპარატის ზოგიერთი გავლენიანი წევრი და მისი მრჩეველები. საკანონმდებლო ელიტაში ორ სეგმენტს გამოყოფენ: კანონმდებლებსა და სასამართლოს წარმომადგენლებს. მესამე სექტორი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავლენიან პარტიულ ლიდერებს მოიაზრებს.⁸

⁷ David Lane, The Transformation of Russia...

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი, რა გავლენას ახდენენ ელიტები გადაწყვეტილებების მიღებაზე. თეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ე.წ. „დემოკრატიაზე გადასვლა“ დაკავშირებულია ტრადიციული რეჟიმების უუნარობაზე ერთმანეთს შეუთანხმოს სამხედროების, მშრომელების, მესაკუთრეებისა და ბურჟუაზიის ინტერესები; ბურჟუაზიის ინტერესები წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა, სწორედ, ამ ფენების ინტერესებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოს უნდა შესწევდეს უნარი, თავის გადაწყვეტილებებში დააბალანსოს საზოგადოების ყველა ფენის მოთხოვნები.

საინტერესოა, როგორ აღიქვამენ ელიტები დემოკრატიას. ინტერესს იწვევს მათი ხედვა, მათი შეფასებები. განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ელიტებისა და ხალხის პოლიტიკური განწყობები. რუსეთში ელიტები გაცილებით ლიბერალური შეხედულებების მატარებელია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები. ამას განაპირობებს ელიტათა ჯგუფების ეკონომიკური მიღწევები და შესაძლებლობები.

ელიტის მრავალი განსაზღვრება არსებობს. კეთილშობილთა ფენა, ამგვარად უწოდებდნენ მათ შუა საუკუნეებში. დომინანტი კლასი, ანუ მმართველთა კლასი, ახალი დროის ფილოსოფოსებმა ამგვარი დეფინიცია მისცეს ელიტის ცნებას.

იმტკან ბიბო, მე-20 საუკუნის უნგრელი მოაზროვნე, ნაშრომში „ფიქრები ევროპის სოციალური განვითარების შესახებ“ ელიტას უწოდებს სოციალურად ორგანიზებულ ინტელექტუალებს. ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ გასეტი, ბიბო, შპენგლერი, ტოინბი თავიანთ ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობენ ელიტის ცნებისა და არსის განსაზღვრას. რამ გამოიწვია ამგვარი ინტერესი ამ საკითხის მიმართ? აღნიშნული მკვლევარები აღწერენ ევროპაში ორ მსოფლიო ომსა და მის შემდგომ პერიოდს. იმ დროის სპეციფიკა, რასაკვირველია, განსხვავდება იმისაგან, რის ანალიზსაც ჩვენ მოგვიანებით შევეცდებით, მაგრამ არსებობს საერთო მახასიათებლები. მეოცე საუკუნის ომებმა სოციალური, მორალური და პოლიტიკური ღირებულებების მსხვერვა გამოიწვია, რის წინაშეც დადგა კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ის ენთუზიაზმი, რომელიც ომამდე არსებობდა და რომლითაც შეპყრობილი იყო არა მარტო „სამართლიანობისათვის ანთებული უბრალო ხალხი“, არამედ ინტელექტუალებიც, ომმა და მისმა საშინელებებმა გააქრო. ომამდელი ენთუზიაზმი ომის შემდგომმა იმედგაცრუებამ შეცვალა. აქვე აღვნიშნავ, ნაციონალური მოძრაობის ტალღა, რომელმაც მთელი საბჭოთა და სოციალისტური სივრცე მოიცვა, შეპყრობილი იყო ენთუზიაზმით. დემოკრატია უახლოეს მომავლად ესახებოდა

⁸ Anders Uhlin and Linda Astrom, Local Elites and Problems of Democratization, University College of South Stockholm

მაშინდელ ინტელექტუალებს. მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ დემოკრატია არის შორეული და ბევრი ქვეყნისათვის, გარკვეულწილად, მიუწვდომელი მიზანიც კი.

მიუხედავად იმისა, რომელიც აცხადებს, რომ ელიტებს ქმნიან მასები. ეს კი, ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება, რომელიც განიცდის მმართველი ელიტის ნაკლებობას, წყვეტს ფუნქციონირებას. 1942 წელს იშტვან ბიბო აქვეყნებს სტატიას „ელიტები და სოციალური პასუხისმგებლობის არსი“. სტატიაში ის აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა პერიოდი, ელიტების გარეშე ეარსება მას. ელიტების მთავარი ამოცანა საზოგადოების მართვა იყო, საზოგადოება კი მას ამ საქმეს ავალებდა.⁹ ბიბო გვთავაზობს სოციალურად ორგანიზებული ჯგუფების მოვალეობების დეტალურ ანალიზს: 1. მორალური ქმედების მაგალითის მიცემა საზოგადოებისათვის; 2. ადამიანური მოთხოვნილებების დაზუსტება და დაკმაყოფილება. ბიბო ელიტების თვით-რწმუნის დაკარგვას განიხილავს საზოგადოებაში დაწყებული კრიზისის სიმპტომად. მმართველი ელიტის პრივილეგიას წარმოადგენს მათი სოციალური მიღწევები. მაგრამ, როდესაც ელიტები ვეღარ ასრულებენ მათ სოციალურ მოვალეობებს, ისინი ექსპლოატატორ სოციალურ სტრატად იქცევიან. ელიტის წევრები არიან ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ახდენენ პრიორიტეტული სოციალური ამოცანების ფორმულირებას და უბიძგებენ საზოგადოებას მათი შესრულებისაკენ.

შრომაში „პატარა აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების სულის სიღარიბე“, იშტვან ბიბო მეტად აქტუალურ თემას ეხება - ერების წარმოშობის პროცესი ევროპაში. ბიბო საუბრობს მასობრივ მოძრაობებსა და მასობრივ ემოციებზე, რომელიც ეროვნული ხასიათის პოლიტიკური პროცესების წარმართველია. ამ პროცესში ზოგიერთი ერი მატერიალურ და მორალურ აღმავლობას განიცდის, ზოგიერთი კი, პირიქით, მატერიალურ და მორალურ დაცემას. ბიბო აღმოსავლეთ ევროპის სპეციფიკაზე წერდა: საფრანგეთსა და რუსეთს შორის გადაჭიმულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების შესახებ მუდმივად ერთი აზრი მუსირებდა, რომ ამ რეგიონში პოლიტიკური კულტურა იმთავითვე არ არსებობდა, რომ პოლიტიკური მეთოდები აქ სიუხემით გამოირჩეოდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება დეგრადირებული კლასის ხელში იყო. ბიბო უარყოფდა ამ შეხედულების სისწორეს. მას ზედაპირულად მიიჩნევდა. მისი აზრით, პრობლემა შემდეგში მდგომარეობდა: ხალხის თვითარსებობის შიში, ეროვნული ჩარჩოების არასიმყარე, ინტელიგენციის სისუსტე, ანტიდემოკრატიული ნაციონალიზმი, დემოკრატიის ფალსიფიკაცია.

იშტვან ბიბო XX საუკუნის 30-40-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებს იკვლევდა. ამ პროცესების ახსნის გასაღები რეგიონის

⁹ იშტვან ბიბო, სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, ბუდაპეშტი, 1986, უნგრულ ენაზე.

ისტორიულ წარსულში უნდა ვიპოვოთ, წერს ბიბო. ერის წარმოშობის პროცესი დიდი და ღრმა სირთულეებით ხასიათდება. ხალხის თავიანთი თავისადმი გულ-გრილობა და ეროვნული ცნობიერების სისუსტე გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების შეჩერების მთავარი ფაქტორი. აქედან გამომდინარეობს „ხალხის თვითარსებობის შიში, დაეჭვება საკუთარ თავში.“¹⁰ ამის შემდეგ დგება კრიტიკული მომენტი ერის ცხოვრებაში, როდესაც საკუთარი არსებობისა და საკუთარი ადგილის გაცნობიერებას იწყებს.

ჩვენი კვლევა ელიტებს ეხება. საინტერესოა, რას მოიხზრებდა ბიბო ეროვნული ინტელიგენციის როლსა და მის სისუსტეში. ბიბო წერს: „აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ინტელიგენციის ეროვნული პრესტიჟი გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპული ინტელიგენციისა და მისი წარსული, ტრადიციები და კულტურა - გაცილებით უფრო მოკრძალებული. თუმცა ეროვნული ყოფის კონტექსტში მისი პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდ როლს ასრულებდნენ სხვადასხვა ჰუმანიტარული პროფესიის წარმომადგენლები: მწერლები, ლინგვისტები, ისტორიკოსები, სასულიერო პირები, მასწავლებლები, ეთნოგრაფები. ამიტომაც კულტურამ ამ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა ეს მიუთითებდა არა კულტურის აყვავებაზე, არამედ მის პოლიტიზაციაზე.“ ბიბო მიიჩნევდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინტელიგენციას უნდა აეღო ის როლი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში მმართველი ელიტა ასრულებდა.

საზოგადოების სოციალურ-კულტურული სტრუქტურის უკეთ აღქმაში ელიტების როლის შესწავლა გვეხმარება. ელიტების თეორიის ფუძემდებლად ვილფრედო პარეტო ითვლება, თუმცა, როდესაც აღნიშნული თეორია იქმნებოდა, კლასობრვი თეორია გაცილებით უფრო ძლიერი და ყოვლისმომცველი იყო. კლასობრივი თეორია ძირითად აქცენტს აკეთებდა კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებულ უთანასწორობასა და ექსპლოატაციაზე. აღნიშნული თეორიების ავტორები არიან კარლ მარქსი და მაქს ვებერი.

ელიტების თეორია იმით განსხვავდება კლასობრივი თეორიისაგან, რომ ის ფოკუსირებას ახდენს ძალაზე, ან მის არქონაზე დამყარებულ უთანასწორობაზე. ელიტების თეორიის ძირითადი დასაყრდენი ძალაუფლებაა, რომელიც გარკვეული რესურსების კონტროლირებაში გამოიხატება. ელიტების თეორიის კლასიკური კონცეფციის თანახმად, საზოგადოება დაყოფილია ორ ნაწილად, ერთნი ფლობენ ძალაუფლებას და მართავენ, მეორენი კი მართულები არიან. მმართველი ჯგუფი ელიტა, ახდენს ძალის მონოპოლიზებას, მართულები კი ექვემდებარებიან მათ. საზოგადოების ამგვარი მოდელი საზოგადოებრივ მეცნი-

¹⁰ Венгерский Меридиан, Журнал общественных наук, Иштван Бибо. 91-92 ст. 66

ერებებში შემოიტანეს თეორეტიკოსებმა: ვილფრედო პარეტომ, გაეტანო მოსკამ და რობერტ მიხელსმა. პარეტოს დაკვირვებების მიხედვით, ადამიანები ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან პიროვნული შესაძლებლობების მიხედვით. ერთნი დაჯილდოებულნი არიან მრავალი უნარით (პატიოსნება არ არის აუცილებელი უნართა შორის) ამა თუ იმ სფეროში, მათ შეიძლება ვუწოდოთ ელიტა. პარეტო განასხვავებს ორი ტიპის ელიტას: მმართველი ელიტა ხელისუფლებას წარმოადგენს და არამმართველი ელიტა - გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანების ჯგუფს, რომლებიც საზოგადოებაში გარკვეული გავლენით სარგებლობენ და გარკვეულ ღირებულებებს ამკვიდრებენ.¹¹

მიუხედავად იმისა, რომ ელიტები საზოგადოების დანარჩენ ნაწილს აღემატება თავისი შესაძლებლობებით, ხშირად სხვა მომენტის მოწმენი ვხდებით. სიმდიდრისა და ოჯახური კავშირების ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ ადგილს საზოგადოებაში. აქ შეიძლება შემოვიტანოთ კლიენტელიზმის ცნება. კლიენტელიზმი ურთიერთობების ფორმაა, რაც კლანურ საზოგადოებას ახასიათებს. ამგვარი ურთიერთობების შედეგად ბევრი ნიჭიერი ადამიანი შესაფერის მდგომარეობას ვერ იკავებს საზოგადოებაში. პარეტო ელიტების ცირკულაციის იდეას ავითარებს. ელიტა იცვლება, ის ცირკულაციას ექვემდებარება. მის რიგებს დროდადრო ახალი წევრები ავსებენ, ხოლო სხვები ტოვებენ მას.

ელიტების ცირკულაციას საზოგადოების ვალიდურობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მართავს უმცირესობა, აცხადებს ელიტების თეორიის ერთ-ერთი ავტორი გაეტანო მოსკა. უმრავლესობის მართვა და უმცირესობის უფლება, რაც დემოკრატიის ძირეულ პრინციპს წარმოადგენს, სინამდვილეში წარმოსახვითი პრინციპია. უმრავლესობას არ ძალუძს მართვა, იგი ყოველთვის მართულია, მას თვითორგანიზაციის პრინციპი არ გააჩნია. ხოლო უმცირესობა ყოველთვის მოტივირებულია აკონტროლოს. როდესაც მმართველი კლასი (ასე უწოდებს მას პარეტო) კარგავს კანონიერებას, საზოგადოებაში წარმოიშობა ძალადობრივი კონფლიქტი. ხდება მმართველი კლასის შეცვლა. საზოგადოების ქვედა ფენებიდან წამოსული ინდივიდები იკავებენ მმართველთა ადგილს. შემდეგ დგება ინოვაციების პერიოდი. იწყება ახალი მმართველი კლასის კრისტალიზაციის პროცესი. ჩვენთვის აღსანიშნავია ერთი ძირითადი რამ, მმართველი კლასის ხასიათი და სტრუქტურა განსაზღვრავს საზოგადოების სრუქტურასა და შესაძლებელი ცვლილებების დონეს.¹²

მაშინ, როდესაც პარეტო და მოსკა საზოგადოებაში არსებულ ძალთა განაწილებაზე წერდნენ, რობერტ მიხელსი (1915) განიხილავდა პოლიტიკურ პარტიებსა და პროფესიულ კავშირებში ძალის განაწილების ხასიათს. ევროპის

¹¹ Eva Etsioni-Halevy, *Classes and Elites*

¹² *The Elite Connection, Problems and Potential of Western Democracy*, Eva Etsioni-Halevy, 1993, p. 21

სოციალისტური და დემოკრატიული პარტიების შიდა სამზარეულოს ანალიზის შედეგად, მან დაასკვნა, რომ დემოკრატიული პრინციპების მატარებელი ორგანიზაციის ორგანიზების პრინციპი ოლიგარქიულ ხასიათს ატარებს. მიხელსმა ოლიგარქიის რკინის კანონი ასე ჩამოაყალიბა: „ორგანიზაციის (დემოკრატიის) სახელით ლაპარაკობს ოლიგარქია“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ელიტის თეორიის გარკვეული ტრანსფორმაცია მოხდა. უაიტ მილსი ამერიკელი მეცნიერია, რომელიც 50-იანი წლების ამერიკულ საზოგადოებას ასე ახასიათებდა: თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში მმართველი პოზიციები უჭირავთ პოლიტიკოსებს, სამხედროებსა და დიდი კორპორაციების წარმომადგენლებს. მათი ძალაუფლება მაღალი თანამდებობებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული სამი ჯგუფი მუდმივ კავშირშია ერთმანეთთან. ერთად ქმნიან გავლენიან ელიტას და ახდენენ მასების მანიპულირებას. კონგრესის წევრები და პროფესიული კავშირების ლიდერები საშუალო გავლენით სარგებლობენ. ამერიკაში მასები, ისევე, როგორც სხვა თანამედროვე საზოგადოებებში, პასიური და უმნიშვნელო გავლენის მქონეა.

დაი და ზეიგლერი წერენ, „ფუნდამენტური ნორმების შესახებ ელიტებს შორის კონსენსუსი არსებობს. ისინი თამაშის წესების შესახებ თანხმდებიან.“ (1987, გვ. 4).

თეორეტიკოსები, რომლებიც ელიტის საკითხებზე მუშაობენ, ემხრობიან ელიტის მმართველობას. ფილდი და ჰიგლი (1980) თავიანთ პარადიგმას ახასიათებენ არა, როგორც უბრალოდ ელიტის თეორიას, არამედ როგორც ელიტიზმს ნორმატიული გაგებით. ელიტიზმი უკიდურეს ევალიტარიზმთან წინააღმდეგობაშია. ელიტიზმი ევალიტარულ ღირებულებებს ავადმყოფ ღიბერალიზმს უწოდებს. თავის მხრივ, დაი და ჰიგლი (1987) მიიჩნევენ, რომ ელიტები პოლიტიკური ცოდნის ძირითადი რეპოზიტორები არიან, განსხვავებით ხალხისაგან, რომელიც ხასიათდება უმეცრებით და პოლიტიკური საკითხებისადმი ინდიფერენტულობით. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიას, დაფუძნებულს ხალხის მმართველობაზე, რამდენად ირონიულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, იცავს ელიტები და არა ხალხი. რაც შეეხება არჩევნებს დასავლურ საზოგადოებებში, იგივე ავტორები აცხადებენ, რომ კონკურენტული არჩევნები ქმნის სახელისუფლებო ელიტების ხალხთან ანგარიშვალდებულების არასრულყოფილ ფორმას. არჩევნის შემდეგ ისინი დაპირებებს ივიწყებენ. მიუხედავად ელიტების სურვილისა, შესარულონ თავისი პროგრამა, მათ ეს არ შეუძლიათ. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას აძლევს არა ცალკეული კანდიდატის პროგრამიდან გამომდინარე, არამედ პიროვნული სიმპათიების მიხედვით. არჩევნები რიტუალია, რომლის მიზანია ელიტის ლეგიტიმაცია. ელიტების ავტონომია არ ნიშნავს ელიტების პლურალიზმს. ელიტების პლურალიზმი ელიტების

რაოდენობას გულისხმობს, ხოლო ავტონომია - რესურსების განაწილებას მათ შორის. ელიტებისა და სუბ-ელიტების ავტონომია არ არის ორგანიზაციების ავტონომია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელიტის ძალაუფლების წყაროა საზოგადოებრივი რესურსების კონტროლი. სუბ-ელიტა კი რიგით მეორეა ამ რესურსების კონტროლის შესაძლებლობის თვალსაზრისით.¹³

შუშპეტერი (1962) უარყოფს დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ გაგებას (დემოკრატია უზრუნველყოფს იდეების რეალიზებას, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის მონაწილეობას). მისი აზრით, დემოკრატია არის არჩეული ელიტების მმართველობა. ამომრჩეველი ფხიზლად უნდა იყოს არჩევანის გაკეთების დროს, რადგან არჩევანის გაკეთების შემდეგ ის უკვე ვეღარ აკონტროლებს თავის მიერ არჩეულის ქმედებას.

თანამედროვე ელიტის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ამერიკელი ავტორი კრისტოფერ ლეში წიგნში „ელიტების აჯანყება“. იგი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საზოგადოებებში ელიტები, განსაზღვრავენ რა დღის წესრიგს, კარგავენ ხალხთან შეხების წერტილს. თანამედროვე პოლიტიკას იგი განსაზღვრავს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილ საქმიანობას. მე-20 საუკუნის დასაწყისში ხოსე ორტეგა-ი-გასეტი წერდა, რომ „მასების აჯანყება“ ემუქრება საზოგადოებრივ წესრიგს და დასავლური კულტურის ცივილიზებულ ტრადიციებს. დღეს კი ძირითადი მუქარა მომდინარეობს საზოგადოებრივი იერარქიის უმაღლესი ეშელონებიდან და არა მასებიდან. „მასების აჯანყება“ 1932 გამოქვეყნდა, ორტეგა ბოლშევიკური რევოლუციის, ფაშიზმისა და კატასტროფული ომების შთაბეჭდილების ქვეშ იყო. ჩვენს დროში კი ელიტები აკონტროლებენ საერთაშორისო ფინანსებს, ინფორმაციას, ისინი ქმნიან კულტურულ ღირებულებებს. ელიტის ხელში გადავიდა მთელი კაპიტალი.¹⁴

დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობა მსოფლიოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია განლაგებული. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალი სახელმწიფო განთავისუფლდა ავტორიტარული რეჟიმისაგან. ბევრი განსხვავებაა ამ ქვეყნებს შორის. ზოგიერთი მათგანი ახალი ტიპის ავტორიტარული სახელმწიფო გახდა, სხვებმა კი მოახერხეს დემოკრატიული წყობის დანერგვა. არსებობს ქვეყნების კატეგორია, რომლებიც გარკვეულწილად ემსგავსებიან დემოკრატიულ სახელმწიფოებს, მაგრამ აკლიათ დემოკრატიის ძირითადი ატრიბუტები. ამ თემისადმი მიძღვნილ აკადემიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამგვარი „არასრული“ დემოკრატიები განიცდიან კონსოლიდაციისა და

13 ibid.

14 Кристофер Леш, Восстание Элит, Москва, 2002.

აღნიშნული წიგნი ესეც ხასიათს ატარებს. მასში ზოგადი თვალსაზრისებია გამოთქმული ელიტის შესახებ. ავტორი საუბრობს დემოკრატიის ღალატზე.

ინსტიტუციონალიზმის ნაკლებობას.

ჩვენ წინაშე ორი ძირითადი ამოცანა დგას. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ განმასხვავებელი ხაზი დემოკრატიებსა და არადემოკრატიებს შორის. მეორე, უნდა გამოვყოთ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოვახდენთ ქვეყნების შედარებას. გილერმო ოდონელი შრომაში „ჩოუნტერპოინტს“ (საწინააღმდეგო მოსაზრებები) ძირითადად ლათინურ ამერიკაზე აკეთებს აქცენტს. არჩევნების პროცესის ფორმალიზების მაღალი დონე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, პარტიკულარიზმი (კლიენტელიზმი) ამ საზოგადოებების დამახასიათებელი ნიშანია. ეს ნიშნები საქართველოში არსებულ დემოკრატიასაც ახასიათებს; განსხვავებების საფუძველი საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში უნდა მოვძებნოთ. ერთი მხრივ, საბჭოთა წარსული, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული ხასიათი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოკრატიას. საქართველოში არსებულ დემოკრატიას დასავლეთის მკვლევარები სხვადასხვა სახელს არქმევენ „ფსევდოდემოკრატია“, ან „საკამათო დემოკრატია“.

პოლიარქია, რომელსაც რობერტ დალი განიხილავს, შვიდი ნიშნით ხასიათდება: 1) არჩეული სახელმწიფო მოხელეები; 2) თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები; 3) საყოველთაო საარჩევნო ხმა; 4) ხელმძღვანელობის უფლება; 5) თვითგამოხატვის თავისუფლება; 6) ალტერნატიული ინფორმაციის არსებობა; 7) ასოციაციური ავტონომია. პირველი ოთხი ნიშანი განსაზღვრავს არჩევნების სამართლიანობასა და საყოველთაობას, ხოლო პოლიარქიის დანარჩენი ნიშნები მიუთითებს ადამიანის უფლებებზე და პასუხისმგებლობებზე, არჩევნებისათვის მუდმივი მზადყოფნის აუცილებლობაზე. დომინიკის რესპუბლიკაში, ჰაიტიზე და მექსიკაში ტარდება არჩევნები, თუმცა ხმის მიცემის დროს და შემდეგ მრავალი დარღვევა ხდება. რობერტ დალის ნუსხას კიდევ რამდენიმე ატრიბუტი უნდა დაემატოს. პირველი, არჩეულ სახელმწიფო მოხელეებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, რომ არჩევნების ვადის გასვლამდე მართონ, ანუ უზურპაციის ან სხვა რამე საშიშროება არ უნდა არსებობდეს. მათ კონსტიტუციური მანდატი ბოლომდე უნდა გამოიყენონ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პერუს პრეზიდენტის ალბერტო ფუხიმორისა და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შემთხვევა. ისინი, შესაძლოა, სამართლიან არჩევნებში აირჩია საზოგადოებამ, მაგრამ მათ გააუქმეს პოლიარქია იმით, რომ დაითხოვეს კონგრესი, ან ხელი შეუშალეს უზენაეს სასამართლოებს მუშაობაში. მეორე, არჩეული ხელისუფლება არ უნდა გახდეს მკაცრი შეზღუდვების ან ვეტოს სუბიექტი, ან მათი გამორიცხვა არ უნდა მოხდეს აქტივობის რომელიმე სფეროდან სხვა ძალების, მით უმეტეს, შეიარაღებული ძალების მიერ, რომელსაც არავინ ირჩევს. ამ მხრივ, ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით, ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ჰონდურასში, პარაგვაიში, ელ სალვადორსა და გვატემალაში პოლიარქია დარღვეულია. ჩილე

გამონაკლისის წარმოადგენს. იქ ამგვარი შეზღუდვები ავტორიტარული რეჟიმის მიერ შემკვიდრებით დატოვებული კონსტიტუციის ნაწილია. ოღონელი აღნიშნავს, რომ ჩილე დალის პოლიარქიის შვიდივე პრინციპს აკმაყოფილებს. პერუ საეჭვო შემთხვევას წარმოადგენს. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიარაღებული ძალები ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მესამე, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ეჭვქვეშ არ უნდა იდგეს, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული მოსახლეობის რა ნაწილი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. და ბოლოს, პოლიარქიის შესაბამისი განსაზღვრება უნდა მოიაზრებდეს შემდეგს: სამართლიანი საარჩევნო პროცესი და ყველა ის თავისუფლება, რომელიც მას თან სდევს, შენარჩუნდება და გაგრძელდება მომავალში, არჩევნების შემდეგ. საქართველოს მაგალითზე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი დარღვეულია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიულმა პრობლემებმა დემოკრატია თავისთავად დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში არჩევნები ინსტიტუციონალიზებულია (დამკვიდრებულია, დაფუძნებულია). ინსტიტუტში ვგულისხმობ ურთიერთობის (ინტერაქციის) რეგულირებულ პატერნს/მოდელს¹⁵, რომელიც ყველასათვის კარგად არის ცნობილი, გამოყენებულია პრაქტიკაში და მიღებულია (შესაძლოა, დამტკიცება საჭირო არ იყოს) იმ აქტორების მიერ, რომლებიც ურთიერთობენ აღნიშნული პატერნის მიერ სანქცირებული ნორმების მიხედვით.¹⁶

საქართველო პოლიარქიაა, თუმცა არასრული, არასრულყოფილი. პოლიარქიის შვიდივე ნიშანი, ასე თუ ისე, იკვეთება, მაგრამ ხარვეზებით. მიყვებით თითოეულ პრინციპს. ამ სახის ანალიზი საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ ელიტებსა და მათ დემოკრატიულობაზე.

პირველი ნიშანი, სახელმწიფო მოხელე უნდა იყოს არჩეული. სახელმწიფო მოხელეებს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს ირჩევს ხალხი, მაგრამ არჩევნების პროცესის სამართლიანობა მუდმივად დგას კითხვის ნიშნის ქვეშ, მისი ლეგიტიმურობა ყოველთვის ეჭვს იწვევს, როგორც არჩეულებში, ასევე ამომრჩეველში. ამის, სულ ცოტა, ორი მიზეზი არსებობს: 1. არჩევნების გაყალბება ხდება, არჩევნებს აყალბებს პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალა; 2. არჩევნების შედეგებს ყოველთვის ვიღაც აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ; არსებობს ტენდენცია, თუ მე არ გავიმარჯვე, ე.ი. არჩევნები გაყალბებულია. ახალი საქართველოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც არჩევნების

¹⁵ უფრო დაწვრილებით იხილეთ გილერმო ოღონელის „დელეგატიური დემოკრატია“.

¹⁶ პატერნი – pattern- წარმოადგენს მოდელს, მაგრამ მოდელისაგან განსხვავებით მას გარკვეული ისტორიული საფუძველი გააჩნია, განსაზღვრულ ისტორიულ რეალობაში ჯდება.

შედეგების აღიარება მომხდარიყო და აქცენტი ეფექტურ მმართველობაზე გადატანილიყო. მეორე ნიშანი: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. არჩევნებს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამართლიანს ვერ დავარქმევთ. მესამე ნიშანი: საყოველთაო საარჩევნო ხმის გამოყენება ყველასთვის არ არის მისაწვდომი, ან ამ ხმას არ იყენებენ, ერთი ძირითადი მიზეზის გამო, მის გამოყენებას აზრი არა აქვს. მეოთხე ნიშანი, ხელმძღვანელობის უფლება ფორმალურად ყველას აქვს, თუმცა ხელმძღვანელ პოზიციებზე შელწევა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ანუ მმართველ ელიტაში შელწევის საშუალებები შეზღუდულია. მეხუთე ნიშანი: თვითგამოხატვის უფლებით საქართველოში ყველას შეუძლია ისარგებლოს. თუმცა თვითგამოხატვის შედეგებთან დაკავშირებით გარკვეული ბუნდოვანება არსებობს. ჩვენს ქვეყანაში ალტერნატიული ინფორმაცია ცენტრალიზებულია ძირითადად დედაქალაქსა და მთავარ ქალაქებში. მთელი ქვეყნის მასშტაბით კი, ინფორმაცია შეზღუდულია. ასოციაციურ ავტონომიას რაც შეეხება, საქართველოში ეს ნიშანიც გამოხატულია. შეიძლება ამგვარი დასკვნა გავაკეთოთ, ჩვენს ქვეყანაში პოლიარქიის თითქმის ყველა ნიშანი გამოკვეთილია, თუმცა ხარვეზებით. აქედან გამომდინარე, საქართველოში არსებულ პოლიარქიას ხარვეზიანი პოლიარქია, თუ დემოკრატია, შეიძლება ვუწოდოთ. ზემოთ აღნიშნული საკითხები პირდაპირ კავშირშია „დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან“. ხუან ლინცი დემოკრატიულ კონსოლიდაციას შემდეგნაირად განსაზღვრავს: მდგომარეობა, რომელშიც ძირითადი პოლიტიკური აქტორები, პარტიები და ორგანიზებული ინტერესები, ძალები ან ინსტიტუტები მიიჩნევენ, რომ ძალაუფლების მოპოვების დემოკრატიულ პროცესს ალტერნატივა არა აქვს, და არც ერთ პოლიტიკურ ინსტიტუტსა და ჯგუფს არა აქვს უფლება ვეტო დაადოს დემოკრატიული გზით არჩეული გადაწყვეტილების მიმდებარე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. მარტივად რომ ვთქვათ, დემოკრატია „ერთადერთი თამაშია ქალაქში“. სხვა ავტორები დემოკრატიულ კონსოლიდაციას განსხვავებულ დატვირთვას აძლევენ, მას განიხილავენ, როგორ ინსტიტუციონალიზმის მაღალ დონეს. იოჰან შუმპეტერი იმ თეორეტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც საარჩევნო პროცესს დემოკრატიული კონსოლიდაციის საქმეში ღიდი მნიშვნელობა მიანიჭა. „კლასიკური თეორიის უმთავრესი პრობლემა იყო იმის მტკიცება, რომ ხალხს აქვს განსაზღვრული და რაციონალური შეხედულება განსაზღვრული საკითხების მიმართ და რომ ეს შეხედულება, თუ აზრი რეალიზდება დემოკრატიის პირობებში „წარმომადგენლების“ არჩევით. „წარმომადგენლები“ თვალყურს ადევნებენ, რომ ხალხის შეხედულებები ცხოვრებაში განსორციელდეს. ასე, რომ წარმომადგენლების არჩევა მეორეხარისხოვანია დემოკრატიის პირველად მიზანთან შედარებით. კერძოდ კი, მივცეთ ამომრჩეველს უფლება,

მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გავცვალებით ამ ორი ელემენტის როლები და ამომრჩევლის მიერ გადაწყვეტილების მიღება მეორენაირისხოვანი გავხადეთ იმ ადამიანების არჩევასთან შედარებით, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხის როლს წარმოადგენს მთავრობის შექმნა. დემოკრატიული მეთოდი ინსტიტუციონალური მოწყობის შექმნაა, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელშიც ინდივიდები იღებენ ძალაუფლებას, მიიღონ გადაწყვეტილება ამომრჩევლის ხმებისათვის კონკურენტული ბრძოლის შედეგად.“

დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში ელიტების როლი იზრდება. ელიტამ უნდა იტვირთოს რეჟიმის გამყარების ფუნქცია. ამ შემთხვევაში არ ვაკონკრეტებთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან საზოგადოებრივ ელიტებს, თითოეულის წვლილი პრაქტიკულად ერთნაირად მნიშვნელოვანია.

დემოკრატიულ კონსოლიდაციას ინსტიტუციონალური და სოციალური ასპექტები გააჩნია. ინსტიტუციონალური ასპექტი გულისხმობს პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციას, სოციალური ასპექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში.

პატნემი, კლასიკურ წიგნში „როგორ მუშაობს დემოკრატია“, იტალიის მაგალითს განიხილავს. იტალია სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც თავისი არადემოკრატიულობით გამოირჩეოდა და 70-იანი წლებიდან ამ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინება. ამ პროცესს რიგმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი. ადგილობრივი ელიტების ტრანსფორმაციამ კი, პირველ რიგში, განაპირობა ეს ნახტომი. ადგილობრივ ელიტებს განსაზღვრავენ, როგორც პიროვნებებს, რომლებიც, თავიანთი ორგანიზაციული პოზიციებიდან გამომდინარე, გავლენას ახდენენ ადგილობრივ პოლიტიკაზე. ადგილობრივი ელიტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გადაწყვეტილებებს იღებენ, როგორც ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე მათი განხილვების საგანია სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ეკლესია.

დემოკრატია მოითხოვს პოლიტიკური ღირებულებებისა და ორიენტაციების გარკვეულ ერთობას. პოლიტიკური კულტურა კი განისაზღვრება, როგორც ძირითადი მრწამსების, ღირებულებების, განწყობების, იდეებისა და პოლიტიკის შესახებ გარკვეული შეფასებების ერთობლიობა (დაიმონდი, 1999). ელიტების თანამშრომლობის, ზომიერების, აკომოდაციის და მოლაპარაკების კულტურა დემოკრატიული სისტემის გამყარების უმნიშვნელოვანესი იარაღია. დალის მიხედვით, დემოკრატიის ერთ-ერთი წინაპირობაა საწინააღმდეგო პოლიტიკური შეხედულებების დაახლოება, შემწყნარებლობა, რასაც თან ახლავს ნდობის გაღვივება. როდესაც საზოგადოებასა და ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებში ადგილი

აქვს უნდობლობას, ამ შემთხვევაში ლეგიტიმურობის პრობლემა დგას დღის წესრიგში. კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე, პიროვნებათაშორისი ნდობა პოლიტიკური ნდობის საფუძველია. პიროვნებათაშორისი ნდობა, რომელიც კულტურული ნორმებიდან იღებს სათავეს, პოლიტიკურ ინსტიტუტებში გადაინაცვლებს.

სტატუტის ფაქტორების ფილოსოფიით ვასრულებ, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ფარდას ხდის, პირველ რიგში, ხელისუფლებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებას:

„ხელისუფლება და ძალაუფლება ორი განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვაა. ძალაუფლება იძლევა საშუალებას, აიძულო სხვები დაგემორჩილონ. ხელისუფლება არის უფლება, წარმართო და უხელმძღვანელო, მოვისმინო და დაგემორჩილონ. ხელისუფლება მოითხოვს ძალას. ძალა ხელისუფლების გარეშე ტირანიაა.“¹⁷ ეს სიტყვები მე-20 საუკუნის ერთ-ერთ დიდ მოაზროვნეს ფაქტორებს ეკუთვნის. იგი თავის პოლიტიკურ ფილოსოფიაში ცდილობს ძალისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართება გააანალიზოს. მისი მოსაზრებები, და კერძოდ, მისი მიდგომა ხელისუფლებასთან და ძალაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ, როდესაც მოცემული კვლევა ძალაუფლებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება.

ხელისუფლება არის უფლება. „თუ კოსმოსში ადამიანური ბუნების შენარჩუნებისა და განვითარების ერთადერთი შესაძლებლობაა კულტურული მდგომარეობა, და თუ კულტურა აუცილებლად შეიცავს სოციალურ ჯგუფში გარკვეული ხელმძღვანელობისა და მმართველობის ელემენტს, რომელიც მოწოდებულია საერთო კეთილდღეობისაკენ, მაშინ ეს ფუნქცია ბუნებითი კანონის მოთხოვნაა და გულისხმობს ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლების განხორციელებას.“¹⁸


ხელისუფლების უფლებას თანამედროვე დემოკრატიებში ხალხისაგან სახელდებულნი იღებენ. ადამიანები ანდობენ მათ საერთო კეთილდღეობას. ხელისუფალნი კი, მართვის უფლებას ხალხისაგან და ხალხისგან გამომდინარე იღებენ. ეს პროცესი ბუნებითი კანონიდან მომდინარეობს და უწყვეტი და განუსაზღვრელი პროცესია. ხელისუფლება ხალხის ნებისა და კონსენსუსის საფუძველზე იქმნება.

¹⁷ The Social and Political Philosophy of Jacques Maritain. Selected Readings, 1965, p. 94

¹⁸ ibid.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 7

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 7

სად მდებარეობს ბოროტების სათავე

გიორგი ლობჯანიძე

ომი...

რაოდენ მოკლე და საზარელი, შემადრწუნებელი სიტყვაა...

ამ პატარა სიტყვას თავის თავში დატეული აქვს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი უბედურებები ერთდროულად: მკვლელობა, სისხლისღვრა, მთელი ქვეყნების გაჩანაგება-გატიალება და, რაც მთავარია, კარგა ხნით უკან დახევა, ხანდახან მთელი ცივილიზაციების დაღუპვაც კი. აყვავებული ადგილების ნაცვლად - უდაბნოები, იმედის ნაცვლად - უიმედობა, სასოწარკვეთა.

ომები კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ადამიანები ომობდნენ ყოველთვის, ყოველ ეპოქაში და ყოველ ქვეყანაში; ყველაფრის გამო - ეროვნულ, რელიგიურ, კლასობრივ და ყოველგვარ უაზრო ნიადაგზე. სიგიჟე და სიშლეგე იმარჯვებდა საღ აზრზე და ქვეყნებს ომის დემონი ეუფლებოდა. ომის შემდგომ კი კაცობრიობა მტკიცედ გადაწყვეტდა, აღარასოდეს ეომა და აღარ გაემეორებინა წარსულის შეცდომები, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო - ადამის მოდგმა სისხლისღვრის მორევს თავს ვერ აღწევდა და ვერ აღწევს.

ჩვენს ირგვლივ მყოფი ბუნება კი ისეთი მშვენიერი და დიდებულია, რომ თითქოს ადამიანებიც ერთმანეთთან ჰარმონიულად და თანხმობაში უნდა ცხოვრობდნენ, მაგრამ რაკი ეს ასე არ არის, უკვე დიდი ხანია რაც ეს შეკითხვა ისმის: ნუთუ შეუძლებელია საყოველთაო მშვიდობა? ნუთუ კაცობრიობა განწირულია ერთმანეთის საჟლეტად და მოსასპობად? ნუთუ Homo Sapiens-ი („გონიერი ადამიანი“) ასეთი უგუნურია?

ბევრი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ეძებდა პასუხებს ამ კითხვებზე. ხოლო პასუხები დაახლოებით ამდაგვარი იყო: მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება, პოტენციური აგრესორის შეკავება იქამდე, სანამ იგი მოასწრებს ომის გაჩაღებას და ა.შ. მაგრამ რაკი ეს „რეცეპტები“ არასოდეს შველოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „მარადიული მშვიდობა ოცნებაა, თანაც არც თუ ისე წარმტაცია, ხოლო ომი კაცობრიობის განუყოფელი ნაწილია“, როგორც ეს ერთმა გერმანელმა გენერალმა თქვა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ.

არადა ყველას თითქოს მშვიდობა და სიკეთე სურს. ქვეყნის მმართველთაგან იშვიათად თუ იტყვის ვინმე, რომ მისი სურვილია სხვა ქვეყნის დაპყრობა და განადგურება. გარეგნულად ყველა მშვიდობის მტრედია, ყველას შერიგების და ძმობის ია-ვარდი აფენია პირზე. და მაინც ომობენ! ვერავენ ვერ აღწევს თავს ამ მოჯადოებულ ჯაჭვს: ომი - მისგან მომდინარე საშინელი შედეგები -

გიორგი ლობჯანიძე / საღ დემბარეობს ბოროტების სათავე

გულში მჯილის ცემა და საზეიმო დაპირება, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება - კვლავ ომი! რაც განსაკუთრებით ცუდია, ომებს ხშირად ამართლებენ კიდევ, ამბობენ, რომ ესა თუ ის სახელმწიფო ჩვენ გვემუქრება და, ჩვენნივე უსაფრთხოებისათვის, იძულებულნი ვართ თავს დავესხათო (ამის მაგალითია ჩეჩნეთის მეორე ომი). ხოლო ყველაზე უარესი ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია იმის გარჩევა, ვინაა აგრესორი და ვინაა მსხვერპლი.

საყოველთაო მშვიდობისათვის, რასაკვირველია, საჭიროა ომის მიზეზების მოსპობა და აგრეთვე იმის კარგად ცოდნა, თუ როგორ ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად იწყება ომები, როგორ მზადდება სისხლიანი დაპირისპირებები. ამის ცოდნა განსაკუთრებით იმიტომაა საჭირო, რომ ომები, როგორც წესი ერთბაშად, უეცრად არასოდეს იწყება. ჯერ მათზე საიდუმლოდ მსჯელობენ, შემდეგ გეგმებს ამზადებენ, პროპაგანდას ეწევიან მოსახლეობაში და ომებიც ჩაღდება, თანაც ისე, რომ ადამიანები მას მხარს უჭერენ.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ომების არსებობაში, ძირითადად, ისევ ადამიანია დამნაშავე, როგორც ისინი, ვინც უშუალოდ იწყებს მათ, ასევე უბრალო ადამიანებიც (ნაწილობრივ). ადამიანების სურვილი, ჰქონდეთ მეტი, ვიდრე აქვთ, იბატონონ სხვებსზე და ა.შ. იწვევს უთანხმოებებს, აქედან ომამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ერთი შეხედვით, კარგი იქნებოდა, რომ კაცობრიობას შეეძლებოდა ომების აცილება, მაგალითად, როდესაც ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს, ხალხი დარაზმულიყო და დაჟინებით მოეთხოვა თავიანთი მთავრობებისაგან თავის შეკავება და ომებიც აღარ იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. იმისათვის, რომ ამ უბედურებების არსში გავერკვეთ, საჭიროა პატარა ისტორიული მოგზაურობის ჩატარება და იმის მტკიცედ გააზრება, რომ ომების ასე უბრალოდ შეჩერება შეუძლებელია. დავიწყეთ უძველესი დროიდან.

ძველ, წარმართულ, სისასტიკით აღსავსე სამყაროში, ომები ითვლებოდა სახელოვან და ვაჟკაცურ საქმედ (როგორც, სხვათა შორის, საკმაოდ მოგვიანე-ბითაც), მეომარი ყოველნაირად ფასდებოდა (იპაონიაში არის ასეთი გამოთქმა - ყველაზე კარგი კაცი ჯარისკაცი არისო) და ომში ჩაღწეული სხვადასხვა მხეცური დანაშაულობების გამო (მოსახლეობის გაჟლეტა, მათი მონებად გაყიდვა, ქალაქების დანგრევა და ა.შ.) არავინ ისჯებოდა, პირიქით, ამის გამო ხოტბასაც კი ასხამდნენ. მაგალითად, მონღოლთა დაპყრობების დროინდელი წიგნი „საიდუმლო თქმულება მონღოლთა თაობის შესახებ“ ასე აღწერს ჩინგის-ხანის მოლაშქრეებს: „ამ ქოფაკებს სპილენძის შუბლები, ბასრი კბილები, სადგისისმაგვარი ენები და რკინის გულები აქვთ. მათრახის მაგიერ მრუდე ხმლები უჭირავთ, ცვარს სვამენ, ქარს დაჰყვებიან და ბრძოლებში ადამიანის ხორცს შეექცევიან“. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ეროვნებებში, მაგალითად,

ძველ გერმანელ ტომებში. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი მათზე წერდა: “მათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ საკუთარი ოფლით იმის შეძენა, რაც სისხლით შეიძლება მოიპოვონ”. დიდი ხნის შემდგომ ჰიტლერელები მისაბამ ადამიანებად სახავდნენ ამ ტომებს და ამბობდნენ, გერმანელმა ახალგაზრდებმა მათ უნდა მიბადონო.

ქრისტიანობის შემოსვლამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. მართალია, რელიგია განსხვავებული იყო და იგი მოუწოდებდა სიკეთისაკენ, მოყვასის სიყვარულისაკენ, მაგრამ ეს ოდნავაც არ უშლიდა ხელს რომის პაპებს, მოეწყობათ ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებსაც გარეგნულად კეთილშობილური მიზნებით ფარავდნენ („უფლის საფლავის განთავისუფლება“) და სინამდვილეში ძარცვა-გლეჯვის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ღმერთის სახელით მოქმედებდა ინკვიზიცია და ადამიანებს კოცონზე წვავდა. როგორც ვხედავთ, ადამიანის ბოროტი გონება ჩინებულად ახერხებს ყველაზე უფრო კაცთმოყვარე აზრების ბოროტების სამსახურში ჩაყენებას. ამის მერე კიდევ უკვირთ, რატომ ხდება ომები და სისხლისღვრა!

ახალი დროების დადგომასთან, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან, მეცნიერების და ტექნიკის განვითარებასთან და აღორძინების პერიოდის დადგომასთან ერთად არ დამდგარა მშვიდობიანობის პერიოდი. ახალი აღმოჩენები ავითარებდა საბრძოლო იარაღს და ომებიც სულ უფრო და უფრო გამანადგურებელი ხდებოდა. XVII საუკუნეში ომებმა იმსხვერპლა 3,3 მლნ ადამიანი, XVIII-ში - 5,4 მლნ, XIX-სა და XX-ში (I მსოფლიო ომამდე) - 5,7 მლნ, I მსოფლიო ომმა - 9 მლნ, II-მ - 50 მლნ. მესამე მსოფლიო ომი, თუკი იგი იქნება, ალბათ, კაცობრიობის არსებობას წერტილს დაუსვამს. დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობა დიდ იმედს არ იძლევა, რომ ეს არ მოხდება.

ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ კარგად ჩავუკვირდეთ XX საუკუნის ორ მსოფლიო ომს, მათი წარმოშობის მიზეზებს და განსაკუთრებით იმას, თუ რატომ ვერ აიცილა კაცობრიობამ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ აგრესორების (არა მარტო გერმანიის) დამპყრობლური ზრახვები ყველასათვის ნათელი იყო.

1914 წლისათვის ევროპაში იყო ორი მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, კბილებამდე შეიარაღებული და აღჭურვილი. ერთი მხრივ, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი და მეორე მხრივ, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, რომლებსაც მერე ბევრი ქვეყანა შეუერთდა. ომის დაწყებამდე მრავალი წლის განმავლობაში მმართველი წრეები უნერგავდნენ მოსახლეობას შოვინისტურ იდეებს. გერმანიაში, მაგალითად, ამბობდნენ, რომ გერმანელები უმაღლესი რასაა და მათ უნდა იბატონონ მსოფლიოში (საგულისხმოა, რომ ასეთი იდეები ჰიტლერის გამოგონილი არ გახლავთ, ისინი იქამდეც არსებობდა მეორე რაიხში). რუსეთში ცარიზმი აღვივებდა ანტისემიტიზმს, ეროვნულ შუღლს და მისდევდა

ძველ რომაულ პრინციპს - „გათიშე და იბატონე“. დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეები არსებობდა თურქეთში, რომლის არა მარტო სულთნები, არამედ ოპოზიციონერებიც, ე.წ. „ახალგაზრდა თურქებიც“ ითხოვდნენ ეროვნულ უმცირესობათა გააყლუტას ან ასიმილაციას. უკეთესი ვითარება არ იყო შედარებით დემოკრატიულ ქვეყნებშიც - ინგლისსა და საფრანგეთში, რომელთაც დაპყრობილი ჰქონდათ მრავალი ქვეყანა აზიასა და აფრიკაში და სასტიკად ჩაგრავენენ მათ.

ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში მეფობდა სამხედრო-მილიტარისტული სული, სამხედრო სამსახური მიჩნეული იყო ახალგაზრდა კაცის დავაჟკაცების უპირველეს პირობად, სამხედრო სამსახური წმიდათაწმიდა მოვალეობად ითვლებოდა, მეფეები და იმპერატორები სამხედრო ფორმას ატარებდნენ, სახედრო პირად ყოფნა ადამიანს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ მაშინდელი მდგომარეობა, მაგალითისათვის განვიხილოთ გერმანია.

გერმანია გაერთიანდა (ხანგრძლივი დაქუცმაცების შემდეგ) 1871 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად. ქვეყნის გაერთიანებას—პროგრესულ და საჭირო საქმეს - დასჭირდა ომი. აქამდე პრუსიას (აღმოსავლურ გერმანულ სახელმწიფოს) მოუხდა ორი ომი: დანიასთან (1864 წელს) და ავსტრიასთან (1866 წელს). რაკილა ომის გარეშე ქვეყნის გაერთიანება შეუძლებელი იყო, საკვირველი არაა, რომ ამის მერე გერმანიაში ძალის კულტი გაბატონდა.

ახლად გაერთიანებულ გერმანიაში გაბატონებული მდგომარეობა პრუსიამ დაიკავა. ეს სახელმწიფო იყო ყველაზე გასამხედროებული მთელს ევროპაში. ფრიდრიხ II-ის დროს (1712-1786 წლები) პრუსია მეტად გაძლიერდა, ჰყავდა უძლიერესი არმია, რომლის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მაშინდელ ევროპაში ხუმრობდნენ—ევროპაში სხვა სახელმწიფოებს ჰყავთ არმია, პრუსიაში კი არმიას ჰყავს სახელმწიფო. სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯებოდა სამხედრო მიზნებისათვის. იგივე ხდებოდა უკვე გაერთიანებულ გერმანიაში. მისი იმპერატორი ვილჰელმ-II (1859-1941 წლები), თავის თავზე შეყვარებული, ტრაბახა და ჭკუამოკლე კაცი, მეტად ცდილობდა ძლიერი არმიის შექმნას და მისი საშუალებით ვრცელი იმპერიის ჩამოყალიბებას.

ასეთი იყო მდგომარეობა იმდროინდელ ევროპაში. სხვა სახელმწიფოებიც ქმნიდნენ არმიებს და ემზადებოდნენ ერთმანეთთან საბრძოლველად. ცხადია, ასეთ ვითარებაში მშვიდობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო, ხოლო ომის დაწყება - ადვილი. მკვლელობა სარაევოში (1914 წელი 28 ივნისი) იყო ჩინებული საბაბი I მსოფლიო ომისათვის, რომლის მთავარ გამჩალებლად სწორედ გერმანია გამოვიდა. ეს ომი ძალიან ბევრ ძალას უნდოდა—მთავრობებს, მსხვილ მრეწველებს (რაკი ომი დიდ მოგებას იძლევა). ხოლო უბრალო ხალხს ვერ წარმოედგინა, თუ ეს სისხლიანი სასაკლავო აძლენ ადამიანს გაანადგურებდა. ამას გარდა, მმართველი

წრეები მაღავედნენ თავიანთ მიზნებს და დემაგოგიურ პროპაგანდას მიმართავდნენ, რათა დაერწმუნებინათ მოსახლეობა, რომ ისინი „მამულს იცავდნენ“. ანტანტის ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ აწარმოებენ „ომს, რომელიც ბოლოს მოუღებს ომებს“, ამტკიცებდნენ, რომ ევროპული კულტურა უნდა გადაარჩინონ გერმანიული მილიტარიზმისაგან. გერმანელები, თავის მხრივ, ირწმუნებოდნენ, თითქოს ევროპის „თავისუფლებას“ იცავდნენ ცარიზმისაგან, იბრძოდნენ იმისათვის, რომ ევროპელები არ გადაქცეულიყვნენ ინგლისის კოლონიურ ყმებად. ფრანგები კი დაბეჯითებით იღვწოდნენ ელზას-ლოტარინგიის გასათავისუფლებლად, რომელიც გერმანიამ მიიტაცა 1871 წელს. ამის გამო იყო, რომ მშვიდობის ძალები სუსტნი იყვნენ და ომის ნიაღვარიც ვერავინ შეაჩერა. ხოლო, როდესაც ომის დაწყებიდან ერთი-ორი წლის შემდეგ ეს საერთო პატრიოტულ-შოვინისტური ალტყინება ჩაცხრა, მისი შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, სანამ გერმანია და მისი მოკავშირეები არ დამარცხდნენ 1918 წელს.

აი, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი ომებისა. 1919 წელს დაიდო ვერსალის საზავო ხელშეკრულება გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის ტერიტორიის ნაწილი გადაეცა საფრანგეთს, პოლონეთს, ბელგიას და დანიას. გერმანიას ჩამოერთვა ყველა კოლონია, ფლოტის დიდი ნაწილი გადაეცა გამარჯვებულ სახელმწიფოებს, გაუქმდა სავალდებულო სამხედრო სამსახური და არმიის რიცხოვნობა შემცირდა 100000 კაცამდე. ასეთი მდგომარეობა მეტად დამამცირებელი იყო იმ ქვეყნისათვის, რომელიც სულ რამდენიმე წლით ადრე პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო ბატონობაზე და უძლიერეს სამხედრო ძალას ქმნიდა. ბევრი გერმანელი ილაშქრებდა ამ ზავის პირობების წინააღმდეგ. გადაყენებული სამხედროები ჩუმად ლესავდნენ იარაღს და ძველებური არმიის აღორძინებაზე ფიქრობდნენ, მრევველები ახალი ქარხნების გახსნაზე და სამხედრო შეკვეთებზე ოცნებობდნენ, მილიტარისტები კი რევანშისტულ ომზე. იმდროინდელი გერმანიის ასეთი აგრესიულ-შოვინისტური მისწრაფებები კარგად გამოხატა ერთ-ერთმა მთავარმა სამხედრო დამნაშავემ გერინგმა:

- თუკი თქვენ წინაშე ერთი გერმანელია, თქმა არ უნდა იგი წესიერი კაცია. ორი გერმანელი უკვე ბანდაა, ხოლო სამი გერმანელი აუცილებლად ომს გამოიწვევს.

(სხვათა შორის, ძნელია დავადანაშაულოთ გამარჯვებული სახელმწიფოები გერმანიისათვის ვერსალის ზავის ასეთი მძიმე პირობების წაყენების გამო - მათ დასჭირდათ ოთხი წელი, რათა დაემარცხებინათ გერმანია და მისი მოკავშირეები. ვითომ რატომ არ უნდა წაეგლიჯათ მათთვის ყველაფერი, თუკი შეეძლოთ?)

I მსოფლიო ომის უდიდესმა მსხვერპლმა ბევრს აფიქრებინა, რომ აუ-

ცილებელი იყო კაცობრიობა დაეზღვიათ კიდევ ერთი ასეთი საშინელებისაგან. აშშ პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა დიდი ძალისხმევა გასწია, რომ შექმნილიყო ერთა ლიგა. მისი დანიშნულება იყო, დროულად გამოეკლინა აგრესორი და დანარჩენი სახელმწიფოების მეშვეობით შეეჩერებინა იგი. ამ კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, მან ვერ იმუშავა რამდენიმე მიზეზის გამო: გათვალისწინებული არ იყო იძულებითი ღონისძიებები აგრესორი სახელმწიფოს მიმართ, მისი წევრი ქვეყნები ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ამით ხელს უწყობდნენ დაძაბულობის არსებობას. იყო სხვა მიზეზებიც.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ გერმანიაში ბევრი შეურაცხყოფილი დატოვა. ასეთ პირობებში ასპარეზზე გამოდის ქვესკნელის ლაშქარი - ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სახით და მისი მეთაური - ჯოჯოხეთის მოციქული ადოლფ ჰიტლერი. ომში იგი პირადად მონაწილეობდა და დამარცხება მან, როგორც ბევრმა სხვა გერმანელმა, დააბრალა გერმანიის შინაგანი მტრების - მარქსისტების და ებრაელების ხრიკებს. ამან კიდევ უფრო გაზარდა ანტისემიტიზმი და შოვინისტური განწყობა. ბევრს სურდა ვერსალის ზავის პირობების გაუქმება და რევანშის აღება. ასეთ პირობებში არავის უკვირდა და არავინ ეწინააღმდეგებოდა ფიურერის ასეთ აზრებს:

- სასიცოცხლო სივრცის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან მარადიული პრობლემაა. იგი გულისხმობს შესაბამისი პროპორციის დამყარებას გერმანულ ხალხსა და მის ტერიტორიას შორის. ჩვენი მიზანია გერმანელების უზრუნველყოფა სასიცოცხლო ფართობით. ამისათვის არავითარი ჭკუის ჭყლეტა არ არის საჭირო, საკითხს წყვეტს მხოლოდ მახვილი!

- მიწა, რომელზედაც ვცხოვრობთ, ციდან კი არ გამოუგზავნია ჩვენი წინაპრებისათვის ღმერთს, არამედ ჩვენ ის დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად. გერმანელი ხალხი არც მომავალში მიიღებს არსებობის წყაროსა და საშუალებებს, როგორც სხვების საჩუქარს. მან უნდა დაიპყროს იგი მოზეიმე მახვილით.

- დაბალ რასებზე ბატონობა არის ერთადერთი საშუალება მაღალი კულტურის მიღწევისა. როცა გერმანიის ტერიტორია მოიცავს ყველა გერმანელს და ამის შემდეგაც ვერ მიიღებს არსებობის საკმარის საშუალებებს, მაშინ მას ექნება მორალური უფლება ხალხის მოთხოვნილებათა მიხედვით დაიპყროს უცხოეთის ტერიტორიები. ამის შემდეგ სახნისებს შეცვლის მახვილი და ომით მონადენი ცრემლები მოგვიპოვებს პურს ჩვენი არსობისას.

- გერმანიისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ვერსალის შედეგების გაუქმება და 1914 წლის საზღვრების აღდგენა. მას უნდა მიეცეს აუცილებელი საარსებო ტერიტორიები თვით ევროპის კონტინენტზე, პირველ რიგში კი რუსეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში. ამისათვის გერმანელები ისევ უნდა დაადგინონ ტევტონელი რაინდების გზას აღმოსავლეთისაკენ.

ჰიტლერი ქადაგებდა უკიდურეს სისასტიკეს:

- ჩვენ აღვზრდით ხალგაზრდობას, რომლის წინაშეც შეძრწუნდება კაცობრიობა. ახალგაზრდობას მკაცრს, მომთხოვნს, სასტიკს. მე მინდა, რომ მათ ჰქონდეთ ყველა ეს თვისება. ისინი უნდა იყვნენ გულგრილნი სხვისი ტან-ჯვისადმი. მათში არ უნდა იყოს არავითარი სისუსტე და სიფაქიზე. მე მინდა იმათ თვალებში ვხედავდე მტაცებელი ცხოველების ელვას...

ასეთი აზრებით გააბრუნეს და გახრწნეს ნაცისტებმა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი. დღედაღამ ისმოდა:

- გერმანია ილუპება, იჩაგრება. მას ახრჩობენ, არ აძლევენ სასიცოცხლო ფართობს, ართმევენ კოლონიებს, უნდათ შური იძიონ იმის გამო, რომ ის მათზე უნარიანი, მმართველი რასაა, უმაღლესი და უდიდესი პოტენციის მქონე ხალხი. ამიტომ საჭიროა შეიარაღება, ომი, მტრების არა მარტო დამარცხება, არამედ მოსპობა, მათი ტერიტორიების დაპყრობა და გერმანული რასის მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველყოფა. ყველაფერი ეს ბუნებრივი აუცილებლობაა და ბოროტების თუ სიკეთის, სამართლიანობის თუ უსამართლობის პრინციპებით არ განისაზღვრება. ფიურერი მიზანშეწონილობის პრინციპს უნდა გაჰყვეს და არა კანონმდებლობას. და თუ ის კანონებს არღვევს, ეს დანაშაული კი არ არის, არამედ ისევ იმ ბუნებრივი აუცილებლობის გამოხატულებაა, შეიძლება მკაცრი, მაგრამ აუცილებელი.

სწორედ ამის გასაკეთებლად აიშალნენ დემონები “ძველი, კეთილი გერმანიიდან”, ამ მიზნით აიარაღებდნენ ხალხს, ახალგაზრდობას, არმიას. გერმანელი ჯარისკაცების ოფიციალური სააღლუმო სიმღერაც ასეთი სიტყვებით იწყებოდა:

თუნდაც მთელი მსოფლიო იქცეს ნანგრევებად,
ჯანდაბას! მიგვიფურთხებია ყველაფრისათვის,
სულერთია, ჩვენ მაინც გავწევთ წინ,
რადგან დღეს გვეკუთვნის გერმანია,
ზვალ კი მთელი მსოფლიო!

ასეთი მოსაზრებებით იყო სავსე მეცნიერება - გეოპოლიტიკა. მისი მიმდევრები - ჯერ კიდევ ჰიტლერამდე, ქადაგებდნენ რომ სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა აუცილებელია. ძირითადი აზრი ასეთი იყო:

- საჭიროა არა ობიექტურობა, არამედ მიზანდასახულობა. მიზანი ამართლებს საშუალებას. შეიძლება მოსპოთ, გაანადგუროთ, ფეხქვეშ გათელოთ ყველაფერი და ამასთანავე არ იგრძნოთ არც სინდისის ქენჯნა, არც პასუხისმგებლობა—მორალური თუ იურიდიული, რადგან ასეთი ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება და კოლოსალური გერმანული იმპერიის შექმნა დედამიწის სამ კონტინენტზე (ევროპა+აზია=ევრაზია, და ევროპა+აფრიკა=ევრაფრიკა). ევრაზიაც და ევრაფრიკაც იქნება ათასწლოვანი

გერმანული იმპერია, დანარჩენი სახელმწიფოები გაქრებიან და მათი გადარჩენილი მოსახლეობა მმართველი არიული რასის მონებად იქცევა.

ყველაფერ ამას მოჰყვა ქვენა გრძნობებს აყოლილი ბრბოს ღრიალი და მუქარა, მუშტების ქნევა და იარაღის ჟღარუნნი. ყველაფერმა ამან გახრწნა გერმანული ხალხის დიდი ნაწილი, იგი გადაიქცა სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის ჟინით გახელებულ ბრბოდ და ბრმად გაჰყვა თავის ნახევრად შეშლილ ფიურერს.

ამ საშინელი მოვლენის - ფაშიზმის - მთავარი ნაწილი - ანტისემიტიზმი - მთელ ევროპაში იყო გავრცელებული. ებრაელებს აბრალებდნენ გერმანიის დამარცხებას 1918 წელს, ებრაელებს აბრალებდნენ ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც 1929 წელს დაიწყო. ბევრს აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ ამ ხალხის ხელში დიდ სიმდიდრეს მოეყარა თავი. ამიტომ ასეთი ანტისემიტური აზრები სრულიად მისაღები იყო მრავალი გერმანელისათვის:

- დაბალი რასების წარმომადგენლები (ებრაელები, სლავები, ზანგები, ბოშები) საერთოდ ადამიანები კი არ არიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სიცოცხლის ძალების უბადრუკი ენაბლუობის შედეგი.

- ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ებრაელები პირუტყვებად მიგვაჩნდეს. ებრაელი უფრო შორსაა ჩვენგან, ვიდრე პირუტყვი.

საბოლოო ჯამში, ნაცისზმს ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა გერმანიაში. ჰიტლერის გაბატონების შემდეგ მისი პოპულარობა გაიზარდა, რადგან მან შეამცირა უმუშევრობა, გერმანია გამოიყვანა მისთვის დამამცირებელი მდგომარეობიდან, ხოლო იმას კი ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს რეჟიმი ორმოცდაათ მილიონ ადამიანს შეიწირავდა და ბევრ უბედურებას მოუტანდა თვით გერმანიას.

ამას გარდა, ევროპის სახელმწიფოები ახორციელებდნენ ე.წ. ჩაურევლობის პოლიტიკას, რაც გერმანიას მხოლოდ ათამამებდა, საბჭოთა კავშირმა კი, 1939 წელს, თავდაუსხმელობის პაქტით ხელი შეუწყო ომის დაწყებას. ამ ქვეყნებს, რომლებიც არ, თუ ვერ, გაერთიანდნენ გერმანიის წინააღმდეგ, საკუთარი, არცთუ სუფთა და მშვიდობისმოყვარე, ინტერესები გააჩნდათ. რაც შეეხება უბრალო ადამიანებს, მაშინ არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, მათი ყურადღება ნაწილობრივ ჩამოცილებული იყო ამ პროცესებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჰიტლერელების ბრძოლა ვერსალის ზავის შედეგების გასაუქმებლად მეტად კეთილშობილურად და სამართლიანად გამოიყურებოდა.

ასეთი იყო ძირითადი მიზეზები მსოფლიო ისტორიაში ყველაზე უფრო საშინელი ომისა. სამწუხაროდ, კაცობრიობამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა ამ გაკვეთილებიდან. დამაბულობა არსებობდა და არსებობს ახლაც. ომები კი არ შეწყვეტილა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არავინ პოლიტიკოსთაგან აღარ ქადაგებს აგრესიას და დაპყრობებს, საყოველთაო მშვიდობამდე მაინც შორია.

დღესდღეობით ომების გაჩაღების ყველაზე უფრო გავრცელებული

საბაბი ესაა: რომელიღაც სახელმწიფო (ჩეჩნეთი, ვიეტნამი, ავღანეთი, ერაყი) ემუქრება სხვა სახელმწიფოებს (რუსეთს, ან ყოფილ საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს) და ამიტომ ეს უკანასკნელნიც იძულებულნი არიან შევიდნენ იქ და მტერი გაანადგურონ. ეს მტერი სხვადასხვა დროს სხვადასხვაა, კომუნისტები (ვიეტნამში), ტერორისტები (ავღანეთში - თალიბანის რეჟიმი) ან დიქტატურა (ერაყი). უბედურება ისაა, რომ ასეთი პროპაგანდა ამ შემთხვევებში სიმართლეა და ომებიც იოლად იწყება. მაგალითად ავიღოთ ახლახანს დამთავრებული ომი ერაყში. მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა და მომხრეებიც. მომხრეები ამბობდნენ - სადამ ჰუსეინი დიქტატორია, მან ბევრი ადამიანი გაანადგურა (რაც, როგორც ვიცით, სიმართლეა), ქმნის მასობრივი განადგურების იარაღს და სანამ ჯერ არ შეუქმნია, ჩამოვაგდოთ იგი და მსოფლიოც გადავარჩინოთო. ხოლო მოწინააღმდეგეები ამბობდნენ - ეს ომი საშიშია, მთელი მუსულმანური სამყარო ჩვენს წინააღმდეგ გამოვა და მათ უკვე ვეღარ მოვერევითო. როგორც ვხედავთ, ორივე მოსაზრება კარგადაა დასაბუთებული და ასეთ დროს ძნელია თქვა, ამ ომის დაწყება დანაშაული იყო თუ არა.

საყოველთაო მშვიდობისათვის საჭიროა, რომ ყველა ადამიანი, ყველა პოლიტიკური ძალა, ყველა სახელმწიფო იყოს მშვიდობის მოსურნე და ომის მოწინააღმდეგე. რაკი ეს ასე არ არის, ომები ალბათ კვლავ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ომები სინამდვილეში არცთუ საშინელი რამაა. ბევრი ამტკიცებს, რომ მეტროლოგია ადამიანის თვისებაა და ომიც სწორედ ამ თვისების ერთ-ერთი გამოვლენაა. სხვათა შორის, ცხოველთა სამყაროც ნაწილობრივ ამას ამტკიცებს. მტაცებელი ცხოველები ჭამენ მშვიდობისმოყვარე, უწყინარ ცხოველებს და ამით არსებობენ. “ბრძოლა არსებობისათვის” - ეს პრინციპი ადამის მოღვაწისა და ჩინებულად შეესაბამება: ძლიერი ადამიანი/სახელმწიფო ავლენს თავის ინტერესებს, რომელთა არსებობა მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია და ამართლებს მათ. ამ ინტერესების განსახორციელებლად აუცილებელია ჯარი, დაზვერვა, სამხედრო მრეწველობა და, ბოლოსდაბოლოს, ომიც. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ მეტად სამწუხარო და უიმედო დასკვნა, რომ არა მთავრობები, დიქტატორები და ტერორისტები არიან დამნაშავენი ომებში, არამედ საერთოდ ადამიანი.

ასეთი დასკვნა ბევრს, ალბათ, არ მოეწონება და დაიბადება კითხვა: ბევრი ადამიანი ხომ ნამდვილად არ არის აგრესიული? რა დააშავეს მათ? კი, ბატონო, ომის მოყვარულებმა რამდენიც უნდათ ჟლიტონ ერთმანეთი, რატომ ზარალდება უბრალო მოსახლეობა? სწორედ უბრალო ხალხი, თორემ მთავრობები ომის დროს ხშირად მდიდრდებიან ხოლმე.

მშვიდობისათვის ბრძოლა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო. პირველი მიზეზი ის არის, რომ დღესდღეობით კაცობრიობის

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 8


სოსო ალაიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 8

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 9

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 9

სტრუქტურული ძალადობა საქართველოში

ასმათ სიხარულიძე

შესავალი ნაწილი

იმის შემდეგ, რაც მსოფლიომ განიცადა კაცობრიობის თანამედროვე ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტო ევოლუცია სტრუქტურირებული იერარქიზმისგან ე.წ. დასავლურ ღირებულებებზე აწყოილ ლიბერალიზმისაკენ, (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლა და აღმოსავლეთ ევროპის ისევე, როგორც ნაწილობრივ ცენტრალური აზიის ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულების სწრაფი ტრანსფორმაცია ტოტალიტარული კონტროლის უარყოფისაგან საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული პრინციპების გარდაუვალი გათავისებისაკენ), სოციალური მეცნიერების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ჩაება არაერთხაზოვან და ჯერ-ჯერობით საკმაოდ აკადემიური ხასიათის მქონე დისკუსიაში სტრუქტურული კონფლიქტისა და სოციალური უთანასწორობის შესახებ.

ამ დისკუსიის ძირითადი საგანი გახდა ის, თუ რამდენად გამოსადეგია დღევანდელი რეალიების აღსაქმელად სოციალური კლასებისა და სოციალური უთანასწორობის ტრადიციული კონცეფცია. სოციალური მეცნიერების ზოგი ექსპერტი ირწმუნება, რომ სოციალური კლასების ანალიზი ისევე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეებში, დღესაც წარმოადგენს ყველაზე კარგ საშუალებას იმისათვის, რომ დადგინდეს არსებული სოციალური უთანასწორობის წყარო და მიზეზები. ამავდროულად, თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი უარყოფს ტრადიციულ კონცეფციას და გვთავაზობს ახალ მიდგომებს. მათი ძირითადი არგუმენტები ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საშუალო კლასის გაქრობა (ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის სოციალური და ეკონომიკური ზღვარის მკვეთრი შემცირება), ე. წ. კოსმოგრაფიული უთანასწორობა და, საერთოდ, უკლასო საზოგადოების დეფინიციის შემოღება.

სოციალურ მეცნიერებაში არსებობს ადამიანის ძირითად მოთხოვნილებათა თეორია. ჯონ ბარტონმა, ავსტრალიელმა პოლიტოლოგმა, შეიმუშავა ონტოლოგიურ მოთხოვნილებათა თეორია, სადაც მან გამოყო მატერიალური და არამატერიალური მოთხოვნილებები, რომელთა გამიჯვნა სხეულსა და ტვინს

შორის განსხვავებასთან ასოცირდება: უსაფრთხოების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური თუ ეკონომიკური), იდენტურობის, პატივისცემის, ჯგუფთან კუთვნილების და სხვა. ბარტონი პირველ ადგილზე მატერიალურ მოთხოვნილებებს აყენებს და, ამგვარად, ერთგვარ იერარქიზაციას აწესებს.

ამის საწინააღმდეგოდ ნორვეგიელი სოციოლოგი იოჰან გალტუნგი იერარქიზაციას რეგრესად მიიჩნევს და ამბობს, რომ მოთხოვნილებები არ უნდა დაიყოს მატერიალურად და არამატერიალურად. უნდა არსებობდეს მოთხოვნილებებისადმი პოლისტიკური მიდგომა. მათ დაყოფას გალტუნგი განიხილავს, როგორც “ინტელიგენციისა და ასკეტების მიმართ მინიჭებული პოზიციის დაკანონებას”.

მიუხედავად ამ დაპირისპირებისა, ორივე მოაზროვნე მიუთითებს, რომ ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში წარმოიქმნება სოციალური დეზინტეგრაცია “დუღილისა” (საზოგადოება გადაჭარბებულად აქტიურია საერთო საქმიანობაში) და “გაყინვის” (საზოგადოება განიცდის აპათიას) სახით. თუ ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, საზოგადოება დგას ძალადობრივი კონფლიქტის წინაშე.

საქართველოში დღევანდელი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალების მოკლე აღწერა

კომუნიზმის კრახმა, რომლის შედეგად საქართველო ერთ დღე-ღამეში აღმოჩნდა დემოკრატიის ოაზისში, საკმაოდ მტკივნეული შედეგები გამოიღო მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992-1995 წლებში ქვეყანამ საკმაოდ მძიმე პერიოდი გაიარა: სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა, ეროვნული ვალუტის ჰიპერ-ინფლაციური დევალვაცია. ქვეყანამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო პოლიტიკური და სოციალური რეფორმების სწრაფი გატარება. მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, წარმოიშვა მასობრივი სიღარიბე. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, თითქოსდა აღინიშნა ეკონომიკის ზრდის დროებითი ტენდენცია, მაგრამ 1998 წელს ისევ დაფიქსირდა ქვეყანაში სამეწარმეო აქტივობის დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. შესაბამისად, სრულად ვერ ფინანსდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, დევნილთა და პენსიონერთა დროული უზრუნველყოფა სოციალური დახმარებებით. დღესდღეობით, მოქალაქეთა უმრავლესობის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე კატასტროფულად დაბალია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობამ 50%-

ასმათ სიხარულით / სტრუქტურული ძალადობა საქართველოში

ს მიაღწია. გარდა ამისა, ქვეყნის საგარეო ვალების ოდენობა მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური მოცულობის 60%-ს გაუტოლდა.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ სამოქალაქო საზოგადოება დღევანდელ საქართველოში აბსოლუტურად დეზორიენტირებულია. უფრო მეტიც, იგი გამოხატავს აბსოლუტურ ნიჰილიზმს ყველაფრის მიმართ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. ქართული საზოგადოება იმდენად სუსტია, რომ მას პოლიტიკური რეორგანიზების უნარიც არ შესწევს. უბრალო ხალხს, რომელიც ძირითადად ფიზიკურ გადარჩენაზეა გადასული, არც დრო აქვს და არც სურვილი, რაიმე სახით მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საზოგადოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

იმის მიუხედავად, რომ შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციაში და იუსტიციის სამინისტროს მიერ უკვე რეგისტრირებულია 100-ზე მეტი პოლიტიკური გაერთიანება, ქვეყანას ისევ არ გააჩნია რეალურად განვითარებული და მოქმედი მრავალ-პარტიული სისტემა. იმის გამო, რომ პოლიტიკური ელიტის, უფრო სწორად, საქართველოში არსებული პოლიტიკური კლანების, ინტერესებში ნაკლებად შედის არსებული მდგომარეობის შეცვლა რადიკალური რეფორმების მეშვეობით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ამ კლანების უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელთა გატარების შედეგად ისინი წააგებენ და ქვეყანა მოიგებს. ამასთან ერთად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელიც ისევ ელოდება ქარიზმატული ლიდერის მოსვლას, მიმართოს პოლიტიკურ სპექტრზე აგრესიული ზეწოლის მეთოდებს.

ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც აუტოკრატიული საპრეზიდენტო მმართველობა, რომელსაც თან ერთვის შინაგანად დეზინტეგრირებული, პრაქტიკულად უმოქმედო საკანონმდებლო ორგანო და განვითარების ემბრიონულ ფაზაში მყოფი სასამართლო შტო. სახელმწიფო კანცელარიის სხვადასხვა სართულებზე და კაბინეტებში განლაგებული კლანების კოლექტიური ძალაუფლება რეგიონებში ხორციელდება დანიშნული გამგებლებისა და გუბერნატორების მეშვეობით. მათი შერჩევისა და დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმი არის შესაბამისი კლანისა თუ კლანური დაჯგუფების მიმართ ლოიალობის მაღალი ხარისხი.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო მეთაურის ძირითადი ფუნქცია არის თვალი მუდმივად ადევნოს იმას, თუ რა ხდება “მისი” კანცელარიის სხვადასხვა სართულებზე და უზრუნველყოს ამ კლანების ინტერესთა სტაბილური თანაფარდობა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თავად არაერთხელ საჯაროდ განაცხადა, მისი ამოცანაა შეინარჩუნოს ქვეყანაში სტაბილურობა, რასაც იგი შესანიშნავად ახერხებს კიდევ. უფრო მეტიც, მან მშვენივრად იცის, რომ როგორც

კი მისი გავლენის ქვეშ მყოფი რომელიმე კლანი სხვაზე მეტად გაძლიერდება, ეს უმაღლესე გამოიწვევს დაფარული კონკურენციის კონტროლიდან შესაძლო გამოსვლასა და ამ სტაბილურობის სწრაფ რღვევას. მეტ-ნაკლებად მყარი ბალანსის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ დროდადრო ამ თამაშის ზედამხედველს უწევს ზოგიერთი მოთამაშის თამაშიდან გათიშვა, ან მისი ჩანაცვლება სხვა მოთამაშით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტი, ზოგ შემთხვევაში, მიდის რისკზე და უშვებს იმას, რომ მისი არბიტრაჟის ქვეშ მყოფი ორი კლანი დაეჯახოს ერთმანეთს და დასუსტდეს, ამის შემდეგ „ბაბუს“ საშუალება ეძლევა, ან საერთოდ გააქროს ისინი თავისი ანტურაჟიდან, ან თამაშში შემოიყვანოს სხვა ჯგუფი, რომელიც დააბალანსებს ძალთა თანაფარდობას და შეავსებს ამ სისტემაში გამოთავისუფლებულ ნიშას (გაკანტურ კაბინეტს სახელმწიფო კანცელარიაში).

ეს სისტემა თავიდან ბოლომდე ეფუძნება კორუფციის დიდ მასშტაბებს. უფრო მეტიც, კორუფციის გარეშე ასეთი სისტემის აწყობა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. სინამდვილეში, პრეზიდენტის ყველაზე მძლავრი ბერკეტი არის არა ის, რომ მას კანონის ძალით შეუძლია დანიშნოს ან მოხსნას მთავრობის ნებისმიერი წევრი, არამედ ის ფაქტი, რომ მის მიერ დანიშნული მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გასვრილია კორუფციაში. სწორედ ეს ფაქტორი მათ ყველას აქცევს მისი კონტროლის ქვეშ. ზუსტად კორუფცია წარმოშობს იმ უხილავ ძაფებს, რისი მეშვეობითაც „ბაბუს“ ახერხებს მის მიერ დასმული მარიონეტებით მანიპულირებასა და მართვას.

მეორე მხრივ, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძალთა არსებული სპექტრი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ სტაბილურობის შენარჩუნებით. ერთადერთი, რაც მათ ხანდახან აწუხებთ ხოლმე, არის ის, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული მომენტი ავტომატურად იწვევს სოციალური დაძაბულობის ეტაპობრივ ზრდას. მათ იციან, რომ ელემენტარული ლოგიკის კანონების მიხედვით, სოციალური დაძაბულობა შეიძლება ადვილად გადაიზარდოს სოციალურ აფეთქებაში.

ეკონომიკურ სიღუპში მყოფი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ, საქართველოს რეგიონებში, რომელთა უმრავლესობა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით სულს დაფავს ამ “უშუქობაში, უპენსიობასა და უმუშევრობაში”) ნელ-ნელა მოდის აზრზე. ხალხი ხედავს, რომ წლიდან წლამდე არაფერი იცვლება უკეთესობისკენ. საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი ინფრასტრუქტურა ნელ-ნელა ინგრევა. ეს ხდება უბრალო ხალხის თვალწინ. ისინი ხედავენ, როგორ წლიდან წლამდე, შენახვისა და კაპიტალური მოვლისათვის საჭირო დაფინანსების უქონლობის გამო, ფიზიკურად ინგრევა საშუალო სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა,

კომუნალური მომსახურებისა თუ სხვა ადმინისტრაციული მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობები მათ სოფლებში და ქალაქებში, რომ არაფერი ვთქვათ უკვე დანგრეულ გზებზე და ენერგოგამანაწილებელ ქსელებზე.

კორუფცია, ასევე, მძიმე ტვირთად აწვება ისედაც უმძიმეს მდგომა-რეობაში მყოფ ე.წ. მცირე და საშუალო ბიზნესის ფენის წარმომადგენლებს. საერთაშორისო გამოცდილება გვკარნახობს, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. მაღლობა ჩვენს მთავრობას, უფრო სწორად მაღლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომლის მკაცრი მონიტორინგის შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შედარებითი წესრიგი დაემყარებინა საბანკო სექტორში და ელემენტარული ლოგიკისთვის დაექვემდებარებინა მისი ფისკალურ-საკრედიტო პოლიტიკა. ამ სენის გადატანა მოუწია ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ თითქმის ყველა რესპუბლიკას.

იმ ბაკქანალიას, რომელიც სუფევდა საქართველოს ცენტრალური ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ ლიცენზიათა წვიმის შემდეგ სოკოებივით გამრავლებულ ე.წ. კომერციული ბანკებში, საბოლოოდ ბოლო მოეღო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების არაქირურგიული ჩარევის შემდეგ. მაგრამ, ათეულობით და ასეულ ათასობით პოტენციურად მომავალი შიდა ინვესტორი, ანუ საქართველოს მოქალაქეები, ვისაც მილიონობით ლარი თუ დოლარი დადებული ჰქონდა ანაბრებზე, ამ კომერციულ ბანკებში გაკოტრდა. რამდენადაც ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, ფინანსური პირამიდების მამამთავრები (როგორც მათ ქუჩის ენაზე ეძახიან - „ფინანსური აფერისტები“) დღესაც დაუსჯელები რჩებიან.

კორუფციის დიდი მასშტაბები და ხელისუფლების უსუსურობა, ან აშკარად გამოხატული პოლიტიკური ნების არქონა, რაიმე სახით ებრძოლოს კორუფციას, ავტომატურად კარს უკეტავს საზღვარგარეთიდან უცხოური საინვესტიციო ნაკადების საქართველოში შემოდინებას. საერთაშორისო ინვესტიციების, გრძელვადიანი გათვლებით კაპიტალ-დაბანდებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე, საქართველოს ადგილობრივ მეწარმეებს მინიმალური შანსი აქვთ, შეძლონ მსოფლიოში მიღებული სტანდარტების მქონე ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება. პრაქტიკულად, დღესდღეობით, უკვე საქართველოს ბაზარზე მომუშავე ადგილობრივ კომპანიებს მძიმე კონკურენცია უწევთ რუსეთის, თურქეთისა და ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნების კომპანიებთან. ამასთან ერთად, ეკონომიკის უდიდესი ნაწილი დღესაც რჩება ჩრდილოვან სექტორში.

მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები მიზანმიმართულად ასპონსორებენ

პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში. უფრო მეტიც, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღინიშნება ბიზნესისა და ხელისუფლების შერწყმის მზარდი ტენდენცია. უბრალო ენით რომ ვთქვათ, მსხვილ ბიზნესმენტთა დიდი ნაწილი დაუფარავად მიისწრაფის იმისაკენ, რომ მოიპოვოს, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი რანგის თანამდებობა.

ერთი მხრივ, ეს შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად, იმდენად, რამდენადაც ამის შედეგად, თითქოსდა, ბიზნესის ინტერესები უფრო ადვილად დაცული იქნება ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზემოთ ნახსენებ ბიზნესმენტთა პოლიტიკაში გადასვლის ძირითადი მოტივაცია არის არა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები, არამედ მათი კერძო კომპანიების მონოპოლიური ინტერესების დაცვა, ეს ტენდენცია საშიშიც შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის.

“სოციალისტურ” ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატია, ხოლო “კაპიტალისტურ” სამყაროში - კორპორაციები. საქართველოში კი, ხდება ბიუროკრატისა და კორპორაციების შერწყმა. ჩვენს საზოგადოებაში ბიზნესმენი ბიუროკრატთან არის გაიგივებული. სწორედ ეს ფაქტორი ჩვენს ქვეყანაში მეტად განაპირობებს სოციალური უთანასწორობისა და მასზე მნიშვნელოვნად დამყარებულ სტრუქტურული ძალადობის მაგალითების რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდას. ეს ახალი ტიპის მმართველი ძალა ხალხის ხარჯზე მდიდრდება და თავის საქმიანობად ხალხის სამსახურის ნაცვლად, მოსახლეობის დარცვა მიაჩნია.

**სოციალური უთანასწორობისათვის დამახასიათებელი
სიმპტომებისა და მიზეზების მოკლე ანალიზი**

ისევე, როგორც ადამიანისთვის ვირუსის სიმპტომებია მაღალი სიცხე, სურდო და ხველება, ასევე სოციალური უთანასწორობა არის ყველა ზემოთ აღნიშნულის სიმპტომი ჩვენი საზოგადოებისთვის. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში სოციალური უთანასწორობა არის გარკვეულწილად შედეგიც და მიზეზიც ყველა იმ უარყოფითი პროცესისა, რომლებიც ასეთ მუქ ფერებში აღწერილია წინამდებარე ნაშრომში.

მაგალითად, ცნობილია, რომ საზოგადოების ე.წ. საშუალო ფენა წარმოადგენს მოქალაქეთა ყველაზე აქტიურ ნაწილს, რომელიც, როგორც წესი, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მეორე

მხრივ, კორუმპირებული პოლიტიკური სისტემა და დეგრადირებული ეკონომიკა ახშობს საშუალო ფენის აქტივიზმსა და ინიციატივას. სოციალური უთანასწორობის ხარისხი ჩვენს ქვეყანაში უნებლიეთ ქათმისა და კვერცხის დილემას ემსგავსება. ერთი შეხედვით, ცოტა არ იყოს, რთულია ცალსახად განსაზღვრო, რომელია მათგან სიმპტომი და რომელია ამ სიმპტომის მიზეზი. არის, თუ არა სოციალური უთანასწორობა საქართველოში ყოვლისმომცველი ნიჰილიზმის მიზეზი, თუ პირიქით. სოციოლოგიის დარგში მომუშავე თეორეტიკოსებისთვის ამ დილემაზე პასუხის მოძებნა უმნიშვნელოვანეს წარმატებად ჩაითვლებოდა, ხოლო ისინი, ვინც ამ საკითხებს უფრო პრაქტიკული კუთხით ეკიდება, მსგავს ანალიზსა და დასკვნებზე დროს და ინტელექტუალური ენერჯის დახარჯვას წყლის ნაყვას შეადარებდა.

აქვე მინდა გამოვყო სტრუქტურაზე დამოკიდებული და მოქმედზე დამოკიდებული მოთხოვნილებები. მოქმედზე დამოკიდებული მოთხოვნილება ისეთი მოთხოვნილებაა, რომელიც დამოკიდებულია მოტივაციასა და მოქმედის შესაძლებლობაზე, ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მოთხოვნილების განხორციელებას. სტრუქტურაზე დამოკიდებული მოთხოვნილების განხორციელების დონე სოციალური სტრუქტურისთვისაა დამახასიათებელი. ეს დაყოფა, როგორც წესი, პრობლემატურია. მაგალითად, უსაფრთხოების მოთხოვნილება შეიძლება სტრუქტურაზე დამოკიდებული გახდეს: ხელისუფლება წარმოშობს ბოროტმოქმედს და შემდეგ მოქმედი ბოროტად იყენებს არსებულ ცუდ სტრუქტურას. მაგრამ, როცა ხალხი შიმშილობს, შეუძლებელია მოქმედი დაადანაშაულო, რადგან ამის მიზეზი მხოლოდ სტრუქტურაა, რომელიც არათანაბრად ანაწილებს რესურსებს.

ამის ფონზე ერთი რამ არის აშკარა, საქართველოში არსებული სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური უთანასწორობის ხარისხი თუ მისი სიმძიმე არ შეიძლება განცალკევებულად განხილულ იქნას ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რომელიც ტექსტში ზემოთ არის ნახსენები.

სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური უთანასწორობის სხვა ელემენტები

როგორც უკვე ამას ხაზი გავუსვი ზემოთ, ქართულ საზოგადოებას აღარ სწამს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების. საქართველოში არ არის დაკმაყოფილებული ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, არც მეტერიალური, არც არამატერიალური. როცა საზოგადოება ასეთ ზღვარზეა მისული, რა მოთხოვნილებებზე შეიძლება ვისაუბროთ. ისინი, ვინც ჩვენი უსაფრთხოება უნდა დაიცვან, თვითონ ხდებიან მოძალადენი და მათი

ყველაზე მეტად გვემინია. უამრავია ჩაგვრისა და უსამართლობის შემთხვევები მათი მხრიდან, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ობიექტური სურათის მისაღებად საქართველოში არსებული სტრუქტურული კონფლიქტისა და სოციალური უთანასწორობის ანალიზს ასევე უნდა დაემატოს ე.წ. გენდერულ (მამაკაცთა და ქალთა თანაბარი უფლებების დაცვის პრინციპი), ეთნიკურ და რელიგიურ საფუძვლებზე წარმოშობილი ძალადობისა და უთანასწორობის მაგალითების სერიოზული განხილვა.

აქვე ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე მისი კულტურისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების სისტემას. ჩვენს საზოგადოებაში, ფორმალურად და არაფორმალურად აღიარებული საყოველთაო ღირებულებების მიხედვით, საქართველო ისტორიულად ითვლებოდა სხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის წარმომადგენლების მიმართ ტოლერანტულ საზოგადოებად. ამის მიუხედავად, სოციალიზმიდან ლიბერალური კაპიტალიზმის ლიანდაგებზე გადასვლის შემდეგ ბევრს, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე ჩვენი ქვეყნის საზღვრების გარეთ, ეჭვი შეეპარა ამ ტოლერანტობის სიმყარეში.

აქაც მეცნიერები და პრაქტიკოსები გვაძლევენ ამის ძალიან უბრალო და ლოგიკურ ახსნა-განმარტებას. საზოგადოებამ, რომელმაც განიცადა ასეთი რადიკალურად ევოლუციური ცვლილებები მისი თანამედროვე ისტორიის ასეთი მოკლე მონაკვეთის მანძილზე, არ შეიძლება 100%-ით შეინარჩუნოს მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი თვისებები გარე სამყაროსთან დამოკიდებულების მხრივ. ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და ღირებულებების სისტემა, მისი მოჩვენებითი მდგრადობის მიუხედავად, რევოლუციური ცვლილებების დროს ხშირად განიცდის დროებით რყევას. როგორც წესი, ნებისმიერი მყისიერი ტრანსფორმაციის პერიოდს მოჰყვება ახალ რეალიებთან ადაპტაციის პერიოდი. როგორც ჩანს, საქართველო, დღესდღეობით, ამ ადაპტაციის ფაზაში იმყოფება.

ამ პროცესის ცივილური გზით განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დემოკრატიის განვითარებული სამყაროს მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ზეწოლაზე. სხვა შემთხვევაში, თუ ამას არ მოჰყვება ადეკვატური ნაბიჯები ოფიციალური სახელისუფლებო სტრუქტურებიდან (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სასამართლო და კანონის დამცველი ძალოვანი ორგანოები) და პროცესი მიიშვება თვითდინებაზე, არ არის გამორიცხული, რომ გურამ შარაძისა და ბასილ მკალავიშვილის ოდიოზური სახეები გამოიყენებენ არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობას მათი მსგავსი ორეულების მასობრივი კლონირებისთვის. საქართველოში არსებული სტრუქტურული ძალადობის მაგალითების სიმრავლე, სოციალური

ასმათ სიხარული / სტრუქტურული ძალადობა საქართველოში

უთანასწორობის მაღალი ხარისხი და ეკონომიკური სიღუბლიერე იდეალურად ინკუბატორულ პირობებს უქმნის მსგავსი „პატრიოტებისა“ და ერის რელიგიური სიწმინდის „გადამრჩენი პიონერების“ ვირთხებივით მათი სოროებიდან გამოსვლასა და გამრავლებას.


საქართველოში ყოველდღიურად ირღვევა ის პრინციპი, რომ ყველას, იქნება ეს სიგარეტის გამყიდველი თუ მინისტრის შვილი, თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ ისწავლოს, მიაღწიოს დასახულ მიზნებსა თუ აირჩიოს სარწმუნოება. ამ შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს – „სტრუქტურას გააჩნია შესაძლებლობა, უზრუნველყოს მის ჩარჩოებში მოქმედი წევრები გარკვეული მექანიზმებით“. საზოგადოების ისეთი ფასეულობა, როგორიცაა სოციალური სამართალი, საქართველოში არ ფუნქციონირებს. სწორედ ზემოთხსენებულის არარსებობის გამო არის საქართველოში ასეთი მძიმე სოციალური მდგომარეობა და ძალადობის მაგალითების ასეთი სიმრავლე.

ყველაფერი ზემოთხსენებულის ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული საზოგადოება იმ ზღვარზეა მისული, როცა აპათია “დუდილის” მდგომარეობით უნდა შეიცვალოს. არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს დღევანდელი მდგომარეობა, როცა ხელისუფლება პირდაპირ და არაპირდაპირ ძალადობას ახორციელებს მოსახლეობის მიმართ. ასეთი სისტემის ფუნდამენტი ადრე თუ გვიან შეირყევა. „არ არსებობს მშვიდობა მონასა და მონათმფლობელს შორის“. მათ შორის დადებული დროებითი ზავი ადრე თუ გვიან დაირღვევა. ეს გზა კონფლიქტისაკენ მიმავალი გზაა. სწორედ აქ, სტრუქტურულ და სოციალურ ძალადობაში, ისახება კონფლიქტი და როდის იფეთქებს, ეს უკვე დროის საკითხია. გალტუნგის მიხედვით, „ძალადობა არის შედეგი სოციალური უთანასწორობისა“. იქ, სადაც არ ხდება ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კონფლიქტის ფეთქება გარდაუვალია.

დღესდღეობით დარწმუნებით ვერავინ იტყვის, ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის რომელი გზა სჯობს - დღესდღეობით არსებულ „გაყინულ“ მდგომარეობაში მყოფი სტაგნაცია თუ რევოლუციური ცვლილებების მომტანი რეფორმატორული „დუდილის“ გზა.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 10

სოსო ალაფიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 10




**შემოქმედება,
თანაგრძნობა,
არაკალადობა**

**CREATIVITY,
EMPATHY,
NONVIOLENCE**



ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 11

სოსო ალაფიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 11



ქრის კულემანსი, ცნობილი ჰოლანდიელი მწერალი, ცხოვრობს ამსტერდამში, ძალიან ახლოს იმ სასტუმროსთან, სადაც 1968 წელს ჯონ ლენონმა და იოკო ონომ პირველად გადაიდეს ფოტოები შიშველ მღვამარეობაში. ქრის კულემანსი წერს რომანებს, პიესებსა და მოთხრობებს და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პროზაული კრებული. მისი რომანი „გასეირნება მთაში“ აღინიშნა ჰოლანდიის ნაციონალური პრიზით ლიტერატურაში. ქრის კულემანსი მოღვაწეობს ჟურნალისტიკაშიც, წლების მანძილზე კი იგი ხელმძღვანელობდა ცნობილ დე ბალის - ამსტერდამის საერთაშორისო კულტურულ ცენტრს. მისი პიესა - „არასოდეს ვყოფილვარ ამერიკელი“ - წარმატებით იდგმებოდა ევროპული თეატრების სცენებზე.

ქრის კულემანსს ჰყავს მშვენიერი გელფრენდი ჰელენ ვან რანი და თავად ქრის კულემანსი არა მარტო წერს ფეხბურთის შესახებ, არამედ თვითონაც შესანიშნავად თამაშობს ფეხბურთს.

მისი უცნაური მოთხრობა „ბელანოვი“ პირველად იბეჭდება ქართულად და, საერთოდ, ეს პირველი შეხვედრაა ამ ჰოლანდიელი მწერლისა ქართველ მკითხველთან.

ბელანოვი

ქრის კულემანსი
თარგმნა მარიანა ტურაშვილმა

1988 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ფეხბურთში შეხვდა რუსეთის ნაკრებს. თამაში გაიმართა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გერმანიაში. ლიდერობდა ჰოლანდია ანგარიშით 1:0, როცა ჰოლანდიელი მეკარე დაეჯახა ივორ ბელანოვს - პატარა უღმობელ რუს თავდამსხმელს. ბელანოვი დაეცა, მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა: საჯარო დარტყმა - თერთმეტმეტრიანი. მეკარე ჰანს ვან ბრუკელენი იყო დიდი, ქერათმიანი კაცი, ვისაც პატივს სცემდნენ, მაგრამ სინამდვილეში არასოდეს ჰყვარებიათ თავის ქვეყანაში. ნუთუ მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რაც ნიშნავს ჰოლანდიის ნაკრების დამარცხებას კიდევ ერთ ფინალურ მატჩში?

ჰოლანდიაში ყველამ იცის, რაც მოხდა შემდეგ. ვან ბრუკელენმა მოახდინა ძალების კონცენტრირება: სალოკი თითოთ თვალის ქვეშ გაემართა ბელანოვისაკენ, თითქოს ამბობდა: მე ვიცი, რომელ კუთხეშიც გაგზავნი ბურთს. დადიოდა ჭორი,

რომ მის მწვრთნელს, იან რეკერს, ჰქონდა უბის წიგნაკი, რომელშიც ევროპის ყველა მოთამაშისათვის დამახასიათებელი თვისებები იყო აღნიშნული.

ნუთუ ვან ბრუკელენს შესწავლილი ჰქონდა ის უბის წიგნაკი? იცოდა მან, რომელი მიმართულება უნდა ამოერჩია? ბელანოვი, დიდთავა, პატარა კაცი, გამოეჭანა, დაარტყა ბურთს. ვან ბრუკელენი გადახტა მარჯვნივ და შეაჩერა ბურთი მარცხენა ბარძაყით.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ჰოლანდიამ მომდევნო გოლით კვლავ გაზარდა ანგარიში და მოიგო ისტორიაში პირველი ჩემპიონატი. მეორე დღეს, მთელმა გუნდმა ნავით გადასერა ამსტერდამი - ათიათასობით გულშემმატკივარის გამამხნეველებელი შეძახილის თანხლებით.

აქ გადმოცემულია, თუ რა ხდებოდა მეკარის გონებაში გადამწყვეტი საჯარიმო დარტყმის წინ - რამდენიმე წამით ადრე თერთმეტმეტრიანის მოგერიებამდე.

მოიცადე, ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე წამი.

მეც თითქმის აქ ვარ.

მჭიდროდ ამოცმული ხელთათმანები.

ჩემი საყვარელი ხელთათმანები.

ნუ ჩქარობ.

მნიშვნელოვანი წამები ცხოვრებას ცვლიან.

ხელს ნუ ჰკრავ მათ.

ჩემი გონება ძალიან განათებულია.

თითის წვერები თრთიან, როგორც ფრთის ბოლო.

ღრიალი ძლიერდება.

მთელი მსოფლიო თითქოს ინგრევა ჩემს ფეხქვეშ.

მაგრამ ნუ დაიხევ უკან.

ჯერ არა.

მხოლოდ რამდენიმე წამი კიდევ მჭირდება.

ბუცებზე ორჯერ დახვეული თასები.

ისინი უბრალოდ ამაგრებენ ჩემს სხეულს მიწაზე.

ის უკვე ირყევა.

ედრი მიყურებს.

მისი ტუჩები დაკუმულია. ფიქრობს, რომ ეს განუხორციელებელია.

მშვიდობით, ედრი. ცოტაც და მე თქვენ შორის ავმალდებით.

მოგვიანებით, როდესაც ყველაფერი დასრულდება, როდესაც ხალხი სახლში წავა,

ელრი ვან ტიგელენი იქცევა ზღვაში წვეთად.
ჩემი ლურჯი მაისური ვფიქრობ რომ მშვენიერია. ეს სამკუთხედები მაისურზე.
ისინი ყურადღებას იქცევენ.
განათება სტადიონზე. სახურავზე წითელი წერტილები. ისინი აღმიძრავენ
სიმეტრიის შეგრძნებას.
პოზიციები კარგია.
მე შუაში და დანარჩენები ჩემს გარშემო.
ტრიბუნაზე მყოფი სახეები ირევა გრძელ, თანაბრად განლაგებულ რიგებში.
და არა მხოლოდ ისინი.
ნახევარი ევროპა ასე გამოიყურება.

მაყურებელთა უმრავლესობა მთვრალია.
ზოგი მათგანი შეყვარებულია. ერთი ნერვიულობისაგან ქუდს ჭმუჭნის.
ვიმედოვნებ, თავის დროზე ძირს დააგდებს მას.
ქუდები ამ დღეებში.
დაბურულ ტყეში ტელევიზორის წინ მჯდომი კაცი არ არის დარწმუნებული,
სადაა მისი გული: ჩემთან, რუსებთან ან ხელთათმანებში.
ძნელია იყო შეყვარებული. ფეხბურთის მატჩზე მოსული სახეები განსხვავდება
იმ სახისაგან, რომელსაც, ვიდრე არ იპოვი, არ იცოდი, რომ ეძებდი.
შეყვარებული ხალხი არ უყურებს საკმარისად ფეხბურთის მატჩებს.
მე ვიცნობ ერთ წყვილს. არა აქვს მნიშვნელობა, სად არიან ისინი ახლა. არა
ტრიბუნებზე.
ზოგჯერ შეყვარებული ხალხისაგან თავს მიტოვებულად ვგრძნობ.
მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის შემაწუხებელი.
ჩემი ყურება არ არის გამაღიზიანებელი.
ორასი მილიონი ადამიანი.
მათი მზერა ჩერდება ერთ კაცზე.
ის კაცი მე ვარ.
ის კაცი აქ არის.
და მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ჩემი ფეხის კუნთები დაჭიმულია.
ისინი ავსებენ ტრუსების ტოტებს.
მინდა, შევჭამო ისინი.
ერთ დღეს გამომადლებიან ჩემი ბარძაყები. მოყავისფრო ოქროსფერი და მზ-
ინვარე.
ვერცხლის ლანგარზე გაშლის არყით დანამული.

ვაშლებთან და სოკოებთან.
 ტემპერატურამ ოდნავ დამიწია.
 მე მინდა ნამდვილი ყინულის სიცივე. მზე უნდა ჩავიდეს და ქარიც ჩადგეს იქ.
 როდესაც საკუთარი სხეული გავიწყდება, მაშინ უკეთესად ფიქრობ.
 უმჯობესია, როცა არაფერი გახსოვს.
 და არასოდეს ხარ იძულებული იფიქრო. როგორც ბერტი.

უყურებენ რუსები მარტ სმიტს?
 ნიშნავს რამეს იან რეკერის წიგნი მათთვის?
 მე ასე ვფიქრობ.
 მე მაქვს ის წიგნი.
 წავიკითხე კიდევ.
 ვიწექი აბაზანაში და ვსწავლობდი ყველა იმ რუსს.
 სახელებს კარგად ვიმანსოვრებ.
 ბელანოვიც მათ შორის იყო.
 თბილ წყალს ორთქლი ასდიოდა.
 მერე ჩამეძინა. მეტი არაფერი მახსოვს.
 არ ვიცი, რომელ კუთხეში ურტყამს ხოლმე საერთოდ.
 ის ფიქრობს, რომ ვიცი. ფიქრობს, რომ წიგნი ზეპირად მახსოვს.

არაფერი აღელვებს ბერტს.
 ის, უბრალოდ, დაინახავს, რაც მოხდება.
 აბაზანას არასოდეს იღებს.

იან რეკერი სწორედ მაშინ გჭირდება, როცა ახლოს არ იმყოფება.
 თუ შესაძლებლობაა, თავს ვარიდებ. მისი დაუვარცხნელი თავი.
 ყოველთვის ახლოს დგება. თითქოს ორივენი რაღაცას გეგმავთ.
 და თავს არ დაგანებებს.
 ჩემთან მუდამ ჯარიმებით იწყებს.
 ეს ჭკვიანური თამაშია.
 იგი ამბობს, რისი გაკეთებაც გონებით შეიძლება, იქ სხეული საჭირო არ არის.
 დგას და მელაპარაკება.
 პერანგი შარვალში ჩაუჩურთავს.
 საკვირველი არაა, რომ ის იმ ნივთიერებებითაა დაინტერესებული, რისთვისაც
 სხეული არაა საჭირო.

ის ამბობს: ნურაფერს გააკეთებ.

რაც უფრო დიდხანს ფიქრობ სხვის ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯზე.
 იცი მისი საყვარელი კუთხე? შენ გიყურებს. რა იცი მის შესახებ?
 ნუთუ დღეს განსხვავებულად იმოქმედებს, ვიდრე საერთოდ?
 ამ წუთში მას ათვალიერებ შეუდრეკელი სახით.
 არაფერი გამოხატო.
 დაე, დაიტანჯოს.
 თუმცა მას არ მოსწონს ეს.
 თავდამსხმელებს სჯერათ, რომ ფიქრი ღრის დაკარგვაა. მათ სურთ სწორედ
 ახლა, დაუფიქრებლად.
 და მართლები არიან.
 რეკერი ამბობს, რომ მცველებისთვის ფიქრი ღრის მოგებაა.
 შენ ბურთი უნდა დაიჭირო. მხოლოდ ერთი მოძრაობა დარტყმისას - არც ერთი
 წამით ადრე, არც ერთი წამით გვიან.
 ასე რომ, საჭიროა წინასწარ განსაზღვრო ღრო. უმოკლესი გზა.
 ვისურვებდი რეკერი ჩემი კარის უკან იდგეს ახლა.
 მე ძალა უნდა მოვიკრიბო და დავივიწყო საკუთარი სხეული.
 სტენლისაც შეუძლია ჩემს კარს უკან მოსვლა.
 მას ესმის მსგავსი რაღაცეები.
 ეს ყველაფერი ჩაიბეჭდება ჩემს გონებაში.
 ის არა მხოლოდ ზევით მიიწევს - მართლაც დაფრინავს.
 ვისურვებდი სტენლისთან დამეგობრებას, მაგრამ ვფიქრობ, მას არა სჯერა ჩემი.

სტენლი ნამდვილი კაცია.
 სტადიონს მიღმა მას არა აქვს რამე პრობლემა. ყველა მათგანს მინდორზე
 ტოვებს.
 უარს ამბობს მათზე.
 მატჩები მძიმეა მისთვის.
 სტენლი უპირატესობას ანიჭებს ჯარიმებს.
 მას თავისი თეორია აქვს.
 შანსი, რომ ისინი გვერდით ჩაუვლიან მას, დღითი-დღე მცირდება.
 ის ამბობს, რომ ერთ დღეს ყველა ბურთი ჩემი გახდება.
 ბურთებს, რომლებსაც დღეს გავუშვებ, ხვალ ავიღებ.
 ბურთებს, რომლებსაც ხვალ გავუშვებ, ზევ დავიჭერ.
 მე მისი მჯერა.
 ერთ დღეს სტენლი მენზო იქნება მოხუცი, ვინც იწერს ყველაფერს. მას პრი-
 ალა, მუქი მწვანე ქურთუკი აცვია, განიერი საყელოთი. მუქი ლურჯი პერანგი.
 მონაცრისფრო ვერცხლისფერი შარვალი განიერი ტოტებითა და უბრალო
 ჩუსტები. ხალხს უყვარს მისი ყურება, როდესაც ქუჩას მიუყვება. ეს ახალისებს

მათ. შვილიშვილები ცოცხალ ბაყაყებს ესვრიან. დიასახლისი პარმალზე, სარწ-
ველაში ზის და კოცნას უგზავნის, მეუღლესთან ერთად თავის სიზარმაცეზე
იციინის. ძველი მეგობრები გულთბილ სურვილებს უგზავნიან. სტენლი ყველა
მათგანს იწერს.

ასე ვაპატარავებ კარს. თითოეულ კუთხეს ჩემსკენ ვეჭახები.
გრძნობებით სავსე ვარ. ჩემი ადგილიდან ძელამდე თითქოს ვგრძელდები, ვფარ-
თოვდები. მკლავები იზრდებიან, თითებიც იზრდებიან. ხელები ღიღღებიათ და
ღიღღებიათ. ჰაერი და მე ვემსგავსებით ერთმანეთს. ვფიქრობ. უფრო და უფრო
ღიდ მანძილზე ვვრცელდები. ჰაერი სქელდება. თითქოს შეგიძლია უბიძგო მას.
მოძრაობის გარეშეც შემიძლია შევეხო ზედა კუთხეს. უკვე იქ არიან ხელები.

ან ასე:

ტერფების სიმსუბუქე.

მჭიდრო რეზინის ბურთი.

დავპატარაველები და შემდეგ წავალ. მოქნილი ნახტომი იკარგება.

რომელი კუთხეც არ უნდა აირჩიოს, იქ ვარ დაუყოვნებლივ. ადრე წახვალ,
ადრე მოხვალ.

როგორც ჩანს, ყველაფრის პასუხი მზად მაქვს.

გარდა: სად წავიღო ხელები.

ხელებზე ფიქრი რომ დავიწყო, ველარასოდეს დავიჭერ ბურთს.

პასუხი სადღაც აქ არის, ჰაერში ჩამოკიდებული.

აქ, ჩვენთან ახლოს. ოღნავ მარცხნივ ან მარჯვნივ.

მე, თითქმის, შემიძლია შევეხო მას -

იქნება თუ არა ის გამგმირავი.

კარმა უკვე იცის პასუხი.

მატჩის ყველა წუთი ამ ერთ წამშია თავმოყრილი.

ყველანი ერთად არსებობენ.

შენ უბრალოდ, უნდა დამალო ისინი.

შემდეგ კვლავ გამოჩნდებიან სათითაოდ.

იმ ხელსაწყოების ყუთის მსგავსად სამოცდაათიანი წლებიდან.

მამაჩემმა მიიღო საშობაოდ.

შენ შეახვიე. ყველაფერი იყო შიგნით: ხრახნები, ჩაქუჩები, ბრტყელტუჩა,
ლურსმნები...

იყურე პირდაპირ. თერთმეტი მეტრით წინ.

ახლოს, მოუხერხებლად ახლოს, იქ.
ბელანოვი - გამოცანა.

შეშინებული თავდამსხმელი.

პატარა გალეული კაცი, რომელიც მუშტების ქნევით ზეიმობს გოლებს.

დიდი ფეხები და ბავშვივით თავი.

პანიკური მძიმე დარტყმა.

1986 წლის ევროპის საუკეთესო მოთამაშე.

კიევში, ლობანოვსკის მიერ მრავალსართულიანი, ცემენტის ბინიდან გამოსახლება, სადაც მამასთან, დედასთან და უფროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა. კვირაში ორჯერ ცხელი წყალი. ბრეჟნევის გამოსვლები ტელევიზიით. ნალაპარაკევი სისულელებების ასანაზღაურებლად მისი ძმა გახდა გამცემი. მშობლები მასწავლებლები იყვნენ. არ ენდობოდნენ ერთმანეთს. ბავშვებს კოდირებული ფრაზებით ესაუბრებოდნენ. პატარა იგორი საერთოდ არ ლაპარაკობდა. რვა წლის იყო, როდესაც ძმამ პირველად ამხილა. დაეჭვიდა დუმილისა და არასრულწლოვანების იმედს. არ უშველა. მასწავლებლებმაც ეჭვი აიღეს. მშობლებთან ერთად ცამეტი წლის ასაკში დააპატიმრეს. ფეხბურთის თამაში ციხეში. სატუსალოს უფროსის ჯარიმების აღება. ვინც გაიმარჯვებდა, სცემდნენ. იგორი ყოველთვის აცილებდა, მაგრამ ყოველთვის ათვალისწინებდა პოსტებს. სატელეფონო ზარი ლობანოვსკისთან. ის მიდიოდა იქ დროგამოშვებით. მან გამოათრია ვირთხები და მიხაილიჩენკო იქიდან. ორი წელი დასჭირდა, ვიდრე იგორმა რაღაც თქვა გასახდელ ოთახში. იკითხა, მოდიოდა თუ არა თბილი წყალი ინდოეთის ოკეანიდან. ეს ყველაფერი იან რეკერისგან გავიგე.

დიდი, უძრავი რუსული ქანდაკება.

შეხედეთ იქ მჯდომ ლობანოვსკის.

მხოლოდ ორი თვალი. გამგძირავი და მწველი.

ეჭვი არ არის, რომ ისინი ყოველთვის ირგვლივ დარბიან.

ლობანოვსკის გუნდები ცნობილია ამით. მუდმივად მოძრავი მექანიზმის ტიპი.

ყველა მოძრაობს მთელი დროის განმავლობაში.

თუ ერთხელ მაინც შემოგხედა დაჟინებული მზერით, საქმე დამთავრებულია.

მამაჩემის ხელსაწყოების ყუთი. მისი საკეტის ხმა, რომელიც ახლაც მესმის.

მე მაქვს გაწონასწორების პრობლემა.

ჩემი სილუეტი იკვეთება ამ შაბათს შუადღის ჰაერიდან.

ეს ჩემი ადგილია სამყაროში.

ის ადგილია, სადაც მჭირდება ყოფნა.

მაგრამ მე პრობლემა მაქვს.

ჩემი სურვილი და ყურადღება არასოდეს არიან ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს. ისინი ადვილად დაფრინავენ და შორდებიან ერთმანეთს.

ხალხი ამბობს, ეს სავსებით არ არის ძნელი. ბავშვებსაც შეუძლიათ ამის გაკეთება.

გადახაზე, რაც უმნიშვნელოა.

შემოხაზე ცარიელ სივრცეში შენი კონტურები.

ეს ბრტყელი თვითმფრინავის ფრთებია და ჩემს ოცნებებსაც ფრთები აქვთ.

ისინი კვლავ იქ მიდიან.

ვერ ვხვდები, სად დავდგე, რადგან არ ვიცი, რომელი მიმართულება ამოვირჩიო. ბერტი!

ბერტი სერიოზულად გამოიყურება. არც მან იცის, მაგრამ მოქმედებს ავტომატურად.

ის არასოდეს ერევა სხვის საქმეში.

მე ვერევი.

ვცდილობ, გავიგო, ვინ დგას ჩემ პირდაპირ.

მე შეკითხვა ვარ, ის პასუხია.

მაშინ შეკითხვა: მარჯვნივ უნდა წავიდე თუ მარცხნივ?

ძალდატანებით ეხება ცხვირს. ეს ნოსტალგიას ნიშნავს.

ნოსტალგია წამებაა მისთვის, ვისაც სახლში წასვლის ეშინია.

მე არ მიყურებს.

რალაც სხვას ეძებს.

სათადარიგო მოთამაშე. ბალახში ვირთხების საწამლავი.

რა ვიცი შიშის შესახებ.

საჭიროა მისი შეცვლა.

ის არ არის პასუხი. ერთხელ წარმოვიდგინე, მაგრამ გვიან იყო.

ის შეკითხვაა.

ყველაფრის პასუხი. როგორი პასუხიც არ უნდა დამებალოს, მაღალი თუ დაბალი, მარცხენა თუ მარჯვენა.

რაც უფრო დიდხანს ვდგავარ ჩემს სილუეტთან.

ტერფები, ბარძაყები, თითისწვერები, მკერდი, ყურები, ყურადღება, ყველაფერი.

იან რეკერი ამბობს, არასოდეს ჩაერიო სხვის საქმეში.

მოაგვარე შენი საქმე თვითონ.

მე ცოტა მეგობარი მყავს. არ ვიზიდავ მეგობრებს.

ხალხი ამბობს, რომ ვაჭარბებ.

ვფიქრობ იმაზე, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ისე, თითქოს არ ვფიქრობ.

ხალხი ამბობს, რომ ის ხელოვნების დამცველია.

სტენლი მენზო მცველად დაიბადა. მე არა. მე ვსწავლობ კარების დაცვას.

პირველად მოძრაობების დაუფლება, შემდეგ დაუსრულებელი პრაქტიკა. ასე რომ, ხანდახან, მატჩის მსვლელობისას, დაცვის გარღვევა თითქმის სპონტანურად ხდება.

ელრიმ იცის, რაც ხდება.

მას სძაგს ყველაფერი, რაც ბუნებრივად არ ხდება.

ვმოქმედებ უფრო სხარტად, ვიდრე ვარ.

ის ამჩნევს ამას.

ვიცი, რომ ხედავს ამას.

მაგრამ მე მაინც ვაკეთებ.

და ეს ჭრის. მე ვიჭერ იმ ბურთებს.

ჰოლანდიისთვის სამოცხვერ ვითამაშე. მსოფლიოში ვერც ერთი სხვა მეკარე ვერ იტყვის იგივეს.

ეს აღიზიანებს მას,

და არა მარტო მას.

ფეხბურთელებმა არასოდეს იციან რამე დარწმუნებით.

თავიანთ ზურგებზე გრძნობენ ჩემს მზერას.

და არ იციან, მე აქ რას ვფიქრობ.

წარმოდგენა არა აქვთ. ჩვენ ისე განვსხვავდებით ერთმანეთისაგან.

რაც გასართობს ვპოულობ იმაში, რაც მათ არ აინტერესებთ.

შემიძლია ბურთი ხელებით ავიღო.

ისინი ყოველთვის ერიდებიან ამას. მე მაქვს ამის უფლება.

მათ უნდა დაარტყან. აიღე ინიციატივა. იყავი ნამდვილი კაცი.

მიწაზე დავდივარ. კარს ფართოდ ვაღებ. საკუთარ თავზე უარს ვამბობ.

ნახტომი მათ ფეხებთან. მტკივნეული და შეუბრალებელი.

თავისუფალი დასასრული. ეს მე ვარ.

ბურთის სიამოვნება ხელებში. მკერდზე მიბჯენილი, სახე ბალახში.

შუბლი ხმაურიან მიწაზე.

მათ არ ესმით მსგავსი მოვლენები. ეს თითქოს რელიგიურია. მაგრამ მარტოსული.

ვიპოვე ჩემი ადგილი წესრიგში, ჰარმონიაში.

მაგრამ არავინ არის, ვინც გაიზიარებს ამ სიამოვნებას ჩემთან ერთად.

ასე, რომ უნდა წამოვდგე. იარე წინ დაუსრულებელ სამყაროში.

დაარტყი ბურთს. უყურე მის ცურვას ჰაერში. თეთრი ბურთი, რომელიც ეხება ჩემს ხელებს.

როდის დაბრუნდები?

ერთხელ უკვე წავიდი, რამდენიმე წლის წინ, სამხრეთ საფრანგეთში. ამხანაგურმატჩზე.

პატარა სტადიონი ბეტონისგან იყო გაკეთებული. სარეველები ამოზრდილიყო კედლებში, ფართო, ყვითელი ნაპრალებიდან. ადამიანთა ჯგუფი იწვოდა მზეში. მსუქან კაცს, საბილეთო სალაროს ჩრდილში, სკამზე ეძინა.

მისი სუნთქვა პატარა გოგონას ღიღინივით ისმოდა.

ქუჩა გადავკვეთე და მიტოვებულ ავტოგასამართ სადგურს მივუახლოვდი.

ფანჯრები ჩამტვრეული იყო.

შიგნით კი ფორმიანი ფეხბურთის გუნდის მთელი შემადგენლობა იდგა. გარდა ერთისა, მათ არ ჰყავდათ მეკარე. მე შემომხედეს. მათი სახეები გაფითრებულიყო ანთებული სანთლის ფონზე.

არ შემიძლია - ვთქვი მე. უზრდელობად რომ არ მიეღოთ, ჩემი აგენტის ნომერი მივეცი.

გარეთ ჩამოვჯექი.

ჭრიჭინები გავაჩუმე.

მერჩინა სულ მცირე სიჩუმე.

ეს იყო მოსაბეზრებელი, უმოწყალო სიჩუმე. სილუეტის სიჩუმე.

თავისუფლად-მოხეტიალე ფიქრები არ მოდიან აქ.

საქმე არა აქვთ.

ყველაფერი დამავიწყდა. ჩემი სახელიც დამავიწყდა.

ზუსტად ვხედავ ჩემი გონებიდან წამოსულ მოგონებებს.

როდესაც ყველა მათგანი გაუჩინარდა, ჩემს თავში სიცივემ და სიცარიელემ დაისადგურა.

ახლახანს განიავებული ღვინის სარდაფის მუქი მწვანე სურნელი.

იმ სარდაფში მე ვიყავი მარტო.

სქელი კარი, უხმოდ დაიხურა და მე ვიგრძენი სიცარიელე კუჭში.

ბეელი, იაფფასიანი წიგნი ავიღე მიწიდან.

ლუის პოლ ბუნის „გარეუბნის მარტოობა“.

ადრე მქონდა წაკითხული, როცა ძირითადად განათლებას ვიღებდი.

ორი დღე საწოლში ვინახავდი მას.

შემდეგ დეკანი ვინახულე, რომ მეტქვა ჩემი წასვლის შესახებ.

ორი დღის შემდეგ დავამთავრე. ამ პროზამ თითქოს შიგნეული გამოძვნიკა. რამდენიმე კვირა არავის ვესაუბრებოდი. მეშინოდა ხალხის, განსაკუთრებით მათი, ვისაც ვიცნობდი. მტრების გარდა აღარავის ვენდობოდი.

ბოლოს და ბოლოს წამოვდექი.

თუ არ მსურდა, დარჩენილი სიცოცხლე ჩემს საწოლზე გამეტარებინა.

მქონდა ორი არჩევანი:

თავდამსხმელი მინდორზე ან მცველი კარში.

დავდიოდი და ვფიქრობდი ამის შესახებ, ქალაქის ცენტრიდან შორს, სადაც ხმაური და ხალხი ისე ცოტას ნიშნავს, როგორც თეთრეული აივანზე.

როდესაც მე იგორ ბელანოვს შევხვდი, ჩვენ ვისაუბრეთ არჩევანის შესახებ. ეს მოკლე საუბარი იყო, უსიტყვო.

სირთულეების გარეშე გავუგეთ ერთმანეთს.

თუ ფეხბურთს თამაშობ, უნდა იცოდე - ხალხი სიყვარულს ამჟღავნებს იმის-ადმი, ვინც ჰგონიხარ შენ.

ამიტომ პირობითად. განსაზღვრული პირობებით -

თუ შენ ის არა ხარ, სიყვარული უკან მიაქვთ.

და მე არა ვარ ის კაცი.

ის კაცი ლურჯ სამკუთხედებიან ჯემპრში ტელევიზორების ეკრანებზე.

კაცი, რომლის სილუეტი იკვეთება ამ შაბათს, შუადღიდან.

ბელანოვი დაეთანხმა.

მან თავდამსხმელობა აირჩია, მე - მეკარეობა.

და აი ისიც. გადავფურცლე, მაგრამ არაფრის მთქმელი აღმოჩნდა.

ბელანოვთან საუბარი დამავიწყდა.

„გარეუბნის მარტოობა“

საინტერესოდ გამოიყურება. მშვენიერი ყდა.

დრო რომ მქონდეს, აუცილებლად წავიკითხავდი.

ედრი და ბერტი დგანან იქ და მიყურებენ. მე უარვყავი ისინი.

რატომ უნდა გადავთელი ის პატარა ბიჭი?

ბერტი ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფას ცდილობს.

ყველაფერს აკეთებს, მის სახეზე წონასწორობა შეგიძლია ამოიკითხო, მაგრამ არ მოქმედებს.

ედრი იკუზება ბალახში. ახლა იგი ისე მოუცლელია. ლურჯი შაბათის შუადღე, წითელი ღვინის წერტილები სახურავზე, ნარინჯისფერი ცა, არნოლდ მიუზრენმა უკან დაიხია, და მე გავანადგურე ბელანოვი.

გადაწყვეტილება უნდა მივიღო.
ჩემგან მოელიან ამას.
ბელანოვი ჩემს პირდაპირ დგას.
მისი თვალები თითქმის დახუჭულია.
შიშისგან ხმის ჩავარდნა. სკოლის მოსწავლე ავტობუსში.
ემინია და არ აპირებს ამის გაკეთებას.

თერთმეტი მეტრი შორია. ხალხი არ უნდა იდგეს ასე მოშორებით.
ვინ დაეწევა მას?
თამაშებია, რაც ხდის ხალხს უბედურს.
იგორ, გადაწყვიტე?
გესმის ჭრიალი? ჩვენ არაფრად ვაგდებთ ამათ.
დრო გვაქვს.
შეგიძლია მე მითხრა.
დაივიწყე ის ხალხი.
საიდუმლოდ შეინახავ. არავინ უნდა იცოდეს ეს.
ჩვენ შორის რჩება.
ნამდვილად.

შენ უკვე იცი, რომ შენკენ მოვდივარ.
აი, როგორ იწყება.
სწორედ ის, ვისაც ენდობი, გამოიყენებს ამას ბოროტად.
შემომხედე.
თვალები ფარნებივით მაქვს.
ხვალ უკვე ნავში ვიქნები.
შენ არა. შენ სახლში მიფრინავ - ზაფხულს წვალებით გაატარებ.
ძილი ძნელად მოდის მრავალსართულიან სახლებში. საღებავი ცვივა აივნებიდან.
შენ გერმანიის პროვინციულ კლუბში გადადიხარ.
რადაცას კარგავ. შიშს. ცოტა ხნით ეს შეებაა. მაგრამ ვერაფერი ცვლის მას.
მეტად ველარ გაიმარჯვებ. ოთხჯერ ოცდასამ მატჩში.
ბოლოს სკამზე ჯდება. უნძობ მოთამაშეებს, რომლებიც ჯერ კიდევ დღეს შენთან

ქრის კულემანსი / ბელანოვი

ერთად იდგნენ მინდორზე. ზავაროვი, ალენიკოვი. ისინიც სკამზე სხედან. თუ ბედმა გაულიმათ, იტალიაში ან შოტლანდიის მეორეხარისხოვან გუნდში. ავსტრია. დასაყვი კარგავს მას. მნიშვნელობა. ფული ყოველთვის ირიცხება ანგარიშზე. ეს ეტყობა შენს ბალანსს.

რა არის ფული. მოპარვას პირველად სუპერმარკეტში იწყებ. პირველად ტკბილეულის ბარში. შენი ბალიშივით ღიპი იქვეა. ღვინის ბოთლები. ჯერ ორი, შემდეგ ოთხი ერთად. ერთ დღეს დაგიჭერენ. გაზეთებშიც არის ეს ამბავი. საბჭოთა კავშირი ინგრევა. წყლისა და გაზის მილები შიგნიდან იჟანგებიან. თერთუელი არასოდეს იხსნება თოკიდან. თუმცა, არც კი ეკიდა თოკზე. ნოსტალგია გაქვს ბავშვობის ციხეზე. ბოლოს და ბოლოს იქ იცოდი, ვინ არ იყო სანდო. ელცინი ძვრება ტანკზე. პოლიტიკოსები კიბეზე არბიან.

არავინ ეძებს მკვლევებს. გარეუბნებში ხალხი არ ესაუბრება ერთმანეთს. არაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი. სხედან გზებზე და ყიდიან სიგარეტებს. მათი პენსიები გაფრენილი მერცხლებივით უჩინარდებიან ბანკებიდან. ბელურების ღრუბელი დაკიდებულია გარეუბნების თავზე. ეს მშვენიერი ხელია.

საიდან ვიცი ეს ყველაფერი?

წიგნში წავიკითხე.

ნეტავ არ წამეკითხა.

ნეტავ ჩამძინებოდა, ან ყველაფერი დამვიწყებოდა მიტოვებულ ავტოგასამართში, სადგურის სიციხეში.

მიდის.

კიდევ ერთხელ ბრუნდება.

მე ისიც ვიცი, რომელ კუთხეში ურტყამს.

სალოკი თითი თვალთან.

აქ ვდგავარ.


მიუთითებს თავის მარცხენა ბარძაყზე, მუხლის მალლა.

ეს მე ვარ.

დაარტყა ძალიან მძიმედ, მაგრამ მიმართულება ვიცოდი და თერთმეტმეტრიანი ავიდე. მე ახლაც ვგრძნობ, როგორ მეწვის ტკივილისა და სიხარულისაგან ის ადვილი, მუხლის ზევით, სადაც ბურთი მომხვდა.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 12

სოსო ალაფიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 12



ანტონიე ჟალიცა დაიბადა სარაევოში, ბოსნიის დედაქალაქში, სადაც დაამთავრა უნივერსიტეტი - ლიტერატურისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი. წერს როგორც პროზას, ასევე პოეზიას. გამოქვეყნებული აქვს როგორც პოეტური კრებულები, ასევე მოთხრობები და რომანები. მოღვაწეობს როგორც რეჟისორი - გადაღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელთა უმრავლესობა აღინიშნა პრიზებით სხვადასხვა კინოფესტივალებზე.

ამჟამად ანტონიე (იგივე ნინო) ჟალიცა ცხოვრობს ამსტერდამში მეულდესთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად.

ნინო ჟალიცა, მიუხედავად არცთუ მსუბუქი წონისა, შესანიშნავად თამაშობს ფეხბურთს და ძალიან ენატრება მშობლიური სარაევო. პირველად იბეჭდება ქართულად.

სარაევო

ანტონიე ჟალიცა
ქართულად თარგმნა ერეკლე გრიგოლიამ

ალყაშემორტყმული სარაევო, 1992/93 წლების ზამთრის დამე

-21° ქუჩაში და -3° შენობაში

ოთახი სარაევოს საცხოვრებელ კორპუსის ბინაში. როგორც ჩანს, ეს ადრე სასტუმრო ოთახი იყო, მაგრამ ახლა ჭურეების, სნაიპერების, ბრმა ტყვიების საშიშროებისა და სიცივის გამო ყველაფერი იქ არის თავმოყრილი.

ახლა ის სამზარეულოცაა, სასტუმრო ოთახიც და საძინებელიც.

ოთახის შუაგულში თუნუქის პატარა ღუმელი დგას. საკვამური ძილი გარეთ გადის, მაგრამ ფანჯარას შუშის ნაცვლად ხის დაფა აქვს თუნუქის ფირფიტით. ღუმელის გარშემო ყრია რამდენიმე ძველი გაზეთი და სკამის ფეხი. ღუმელისგან მარცხნივ დგას სამზარეულოს თუ სასტუმრო ოთახის ჩვეულებრივი მაგიდა, კუსტარულად დამზადებული ნავთის ლამპით.

ნავთის ლამპის სუსტი ალი სინათლის ერთადერთი წყაროა ამ ოთახში.

ოთახის სიღრმეში, აივნის კარიდან მარჯვნივ, ტყავის მოღური დივანია, რომელზეც წევს ხანში შესული ქალი. ქალს ზედ აყრია საბნების, პალტოებისა და საძილე ტომრების მთელი გროვა, მიუხედავად იმისა, რომ ქალს შალის სქელი მოსასხამი აქვს შემოხვეული და შალისავე ხელთათმანები უკეთია.

ღუმელსა და მაგიდას შორის დგას ტყავის სავარძელი, რომელშიც დაახ-

ლოებით ქალის ასაკის მამაკაცი ზის. მამაკაცს მოთხილამურის ქუდი ახურავს და საბანშია გახვეული.

უკანა კედელზე კარგად ჩანს პრეზიდენტ ტიტოს პორტრეტი. მისგან ერთ კუთხეში ჯვარცმის გამოსახულებაა, მეორეში კი - „ძველი ხიდის“ ფოტო მოსტარში.

ფანჯრებსა და აივნის კარებზე შუშების ნაცვლად ნეილონის ნაჭრებია UNHCR-ის ნიშნით, რომლებიც, დროდადრო, ქარის დაბერვასთან ერთად, შრიალს იწყებენ.

გარედან კანტიკუნტად უმისამართო სროლის ხმებიც აღწევს, რომელთაც ზოგჯერ ენაცვლება სნაიპერებისთვის დამახასიათებელი გასროლები. ჰაერ-სა-წინააღმდეგო ტყვიამურქვევი რეგულარული ინტერვალებით ისვრის ზედა გორაკიდან. შორიახლოდან ისმის ჭურვების ზუზუნი და აფეთქების ხმები.

ოთახის ერთ კუთხეში განსხვავებული ზომისა და ფორმის პლასტმასის კანისტრების გროვაა. მათი უმეტესობა ცარიელია, ზოგიერთზე კი UNHCR-ისა და წითელი ჯვრის ემბლემებია. კედელზე თხილამურებია მიყუდებული, მაგიდაზე კი - ორი ღერი სიგარეტი ვლია.

სავარძელში მჯდომი მამაკაცი წაკითხვას ცდილობს; იგი მდგომარეობას უცვლის ხან წიგნს, რომელიც ხელში უჭირავს და ხანაც ნავთის ლამპას. მას ხელები გათოშილი აქვს და ხან საბნის ქვეშ მალავს, ხანაც კი საკუთარი სუნთქვით ათობს. საბნიდან მხოლოდ თითები მოუჩანს.

მამაკაცი, რომელიც სიცივისგან კანკალებს, წამოდგება. რაღაცას დაეძებს ოთახში, მაგრამ ვერ პოულობს, ისევ სავარძელში ბრუნდება და კითხვის გაგრძელებას ცდილობს. მაგრამ ისევ წამოდგება, დივანს მიუახლოვდება, ქალის ხელს გადასაფარებლიდან გამოადრობს და გახდის ხელთათმანს. ქალის ხელი უსიცოცხლოდ ეცემა და გადმოკიდებული რჩება.

მამაკაცი ხელთათმანს იკეთებს და სავარძელს უბრუნდება. ახლა მას წიგნი ამ ხელში უჭირავს და კითხვას აგრძელებს. ქალმა ხელი ამოდრავა და სასწრაფოდ შეაცურა საბნის ქვეშ.

ქალი: (სანახევროდ მძინარე ლულულებს, კვლავაც უამრავი რამ ახურავს): რატომ მომადრე ხელთათმანი?

მამაკაცი: მჭირდება.

ქალი: შეგეძლო ჩემი ხელი სითბოში დაგებრუნებინა.

(ფანჯრიდან შემოიჭრება სასიგნალო რაკეტის მოყვითალო, კაშკაშა შუქი).

ქალი: გაანათეს, ახლა დასცხებენ.

მამაკაცი წიგნს ფანჯრისკენ შეაბრუნებს და სწრაფად კითხულობს, (სარგებლობს რამდენიმეწამიანი განათებით), სროლის ხმების გარდა მუსიკალური თემაც ისმის რადიომიმღებიდან.

ანტონიე უბლიცა / სარაევო

მამაკაცი: როდესაც ჯვაროსანთა არმია შევიდა იმ უცხო ქალაქში, დაბნეულმა სარდალმა პანიკურად მიმოიხედა: მის გარშემო ცეცხლისა და კვამლის შუაგულში, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები იდგნენ - მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ამ ადამიანების სახეები, ქალებისა და ბავშვების თვალები, ერთნაირად გამოიყურებოდნენ - ყველგან ერთი და იგივე შიში ჩაბუდებულიყო. სარდალი გაბრაზებული მიუახლოვდა პაპის ნუნციას და ილრიალა: „თქვენო უწმინდესობავ, როგორ უნდა გავარჩიო მწვალებლები კარგებისაგან?“

„ყველა მათგანი დახოცე,“ - წყნარად უპასუხა იდეოლოგმა, - „იქ ღმერთი თვითონ გაარჩევს ყველას“...

(მამაკაცი ამ ტექსტს დიდი ინტონაციის გარეშე, პირიქით, მხიარულადაც კი კითხულობს, თითქოს საქმე ყველაზე უფრო ბანალურ საგანზე სტატიას ეხებოდეს).

მოყვითალო შუქი კლებულობს.

მამაკაცი: (ფანჯარასთან მიდის და გარეთ იჭვრიტება). ებრაელთა სასაფლაო.

ქალი: მოშორდი ფანჯარას. შეიძლება ბრმა ტყვია მოგხვდეს.

მამაკაცი: არ მომხვდება. იქიდან ისვრიან (მიუთითებს კედლისაკენ).

მამაკაცი ბრუნდება სავარძელში. შუქის მომატებას ცდილობს, კვლავ იღებს წიგნს და საბანში ეხვევა.

როდესაც ის ჯდება, თავზე გადაუფრენს და კედელს ხვდება ფანჯრიდან შემოვარდნილი ტყვია.

ქალი: (თავს ამოყოფს გადასაფარებლიდან) რას გეუბნებოდი?

მამაკაცი: ესე იგი, ეს სასაფლაოს მხრიდან არ ყოფილა. (იგი მიდის კედელთან და კუთხეს სწავლობს). შეიძლება ბორიჯედას მხრიდან ისვრიან.

იღებს ტყვიას და, როგორც ფილატელისტი იშვიათ მარკას, ისე აკვირდება მას.

მამაკაცი: 7,65 გაძლიერებული მუხტით.

იგი იღებს საშუალო ზომის გრავირებულ ხის კოლოფს, (რომელშიც, ჩვეულებრივ, ძვირფასეულობას, წერილებსა და სუვენირებს ინახავენ) და აღებს მას. კოლოფი სავსეა ტყვიებით, შრაპნელებით და მსგავსი საგნებით. იგი იღებს და აკვირდება ზოგიერთ მათგანს.

მამაკაცი: (ხელისგულზე უდევს შრაპნელის ნაწილი, დიდხანს უყურებს მას, შემდეგ სხვა კოლოფიდან იღებს ნეოლითური ხანის პატარა დანას). ხომ ხედავ ამ ნეოლითური ქვის დანას - საპროექტო ბიუროში ყველას ეცინებოდა, მაგრამ მე ყოველთვის ვამბობდი, რომ იგი ნებისმიერ სკალპელზე უკეთესად, უფრო აკურატულად ჭრის ქალაღს. შეხედე, იგივე ფორმა, ისეთივე ბასრი... წარმოიდგინე სამი ათასი ქვის ცული მხოლოდ ერთ ჭურვში. უცნაურია, ერთი წლის წინ მე წარმოდგენაც არ მქონდა ასეთი საგნების არსებობაზე (უთითებს

შრაპნელის ნაწილზე), იგი კი თურმე ჩვენი ცივილიზაციის არსს წარმოადგენს. იგი ტყვიას ისევ ყუთში დებს, კეტავს მას და თავის ადგილზე აბრუნებს. სროლის ხმა ნელ-ნელა წყდება.

ქალი: საპირფარეშოში უნდა წავიდე. (იგი გადასაფარებელს იშორებს, სიცივისგან კანკალებს და ისევ იფარებს).

ქალი: ვერ შევძლებ ამას. საპირფარეშომდე მისვლას კი მოვანერხებ, მაგრამ როგორ გავიხდი ტანსაცმელს უნიტაზზე დასაჯდომად? ღმერთო ჩემო, იყო დრო, როდესაც მიყვარდა ზამთარი, თხილამურები, ხედი იაჭორინას მთის წვერიდან, ყინულის ფენა კლდეებზე.

მამაკაცი: ცეცხლი უნდა ავანთო. იქნებ ცომიც გავამზადო.

ქალი: რას დავწვავთ?

მამაკაცი: (აკვირდება სკამის ნარჩენებს, შემდეგ იღებს ცულს) იქნებ ეს გვეყოს. ძველი ფეხსაცმელები კიდევ დარჩა?

იგი იღებს ორ ფეხსაცმელს.

ქალი: შენ რა, გინდა ფეხშიშველმა ვიარო? გაუშვი ხელი!

მამაკაცი, თითქოს რაღაცაში გამოიჭირესო, დარცხვენით დებს ფეხსაცმელებს ძირს. შემდეგ, თითქოს შურის საძიებლად, ურტყამს ღონაღდ დაქს, შემდეგ, საბანში გახვეული, ბრუნდება სავარძელთან. კვლავაც ცულით ხელში. იგი აქეთ-იქით იყურება, შემდეგ კი აკაკუნებს მაგიდაზე, თითქოს ხარისხს ამოწმებს.

ქალი: მაგიდას თავი დაანებე.

მამაკაცი ცულს მაგიდაზე დადებს. იგი გადაფურცლავს იმავე წიგნს, რომელსაც მანამდე კითხულობდა. შუქი ახლა პირდაპირ ამ წიგნის გვერდებს ეცემა.

მამაკაცი: (გაბრაზებით) „მაგიდას თავი დაანებე“, აბა რა ვქნა?...

მას ეს წიგნი ნელნელა მიაქვს ლამპასთან მანამ, სანამ წიგნს ცეცხლი არ წაეკიდება. ამ წიგნით ცეცხლს ანთებს ღუმელში და ამატებს სკამის ნარჩენებს, შემდეგ ითბობს ხელებს.

მამაკაცი მიდის მაგიდასთან. ტომრიდან მაგიდაზე გადმოყრის ცოტაოდენ ფქვილს და ამატებს მარილსა და საფუარს. გამოამკვრენს კანისტრას, მაგიდის ქვემოდან - კანისტრა ცარიელია. მიდის კანისტრების გროვასთან, რამდენიმე მათგანში ცოტაოდენ წყალს პოულობს და აგროვებს წყალს ერთ შედარებით პატარა კანისტრაში - მთლიანობაში ერთ ლიტრზე ნაკლებს. შემდეგ მიდის მაგიდასთან და თითებით ფშვნის ფქვილს. (მას ერთდროულად შია და სწყურია კიდევ, მაგრამ წყლის რაოდენობა მხოლოდ პურის გამოცხობას თუ ეყოფა).

მამაკაცი: ვჭამოთ თუ წყალი დავლიოთ?

ქალი: პური გამოაცხვე, სააბაზანოში კიდევ ერთი კანისტრაა. ახალი ამბები ჩართე.

მამაკაცი მიდის აკუმულატორთან, ახალ ამბებს დაძაბული უსმენს. მაგი-

ანტონიე უბლიცა / სარაგევი

დასთან წყალს ასხამს ფქვილს და ცომის მოზელვას იწყებს.

ქალი: რა თქვეს ახალ ამბებში?

მამაკაცი: დღეს შუადღისას ცეცხლის შეწყვეტას მოაწერეს ხელი. დობრინჯაში შვიდი ადამიანი დაიღუპა. ქალაქის განურჩეველი დაბომბვა იყო და ქვეითი ჯარის მცდელობა გარღვევისა ებრაელთა სასაფლაოს მხრიდან. (იგი უყურებს ნახვრეტს კედელში. კვლავ სწავლობს კუთხეს და აგრძელებს ზელას).

მოკლე შიშინის შემდეგ ჭურვის საშინელი აფეთქების ხმა ისმის.

მამაკაცი ხელზე იყრის ცოტაოდენ ფქვილს და თითებიდან იშორებს ცომს. ქალი კვლავაც ლოგინში წევს. მისი ხმის მიხედვით, მას ეძინა და აფეთქების ხმამ შეაკროთ.

ქალი: ახლოს აფეთქდა?

მამაკაცი: ძალიან ახლოს.

მამაკაცი მშვიდად აგრძელებს ცომის ზელას.

ღუმელში ცეცხლი ნელ-ნელა ქრება. მამაკაცი მირბის ცეცხლისაკენ, სასწრაფოდ აძრობს ყდას წიგნს და ცეცხლში ავლებს.

მერე მიდის წიგნებთან, სწრაფად კითხულობს სათაურებს და ცომით დასვრილი ხელით იღებს ერთ წიგნს - მარქსი-ენგელსი, ადრეული თხზულებანი.

მამაკაცი: „აჩრდილი დახეტილობს ევროპაში, აჩრდილი დადის ევრო-პა-ში“...

(წიგნს მაგიდაზე დადებს და მხიარულად კითხულობს ტექსტს).

„ფილოსოფოსებმა მხოლოდ და მხოლოდ სამყაროს სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მოგვცეს, მაშინ, როდესაც მთავარი საკითხი - მისი გარდა-ქმნა“... მეთერთმეტე თეზისი ფოიერბახის შესახებ.

(ფურცლებს ცეცხლი ეკიდება). კაცი ბრუნდება მაგიდასთან, ცოტას კიდევ მოზელს ცომს და ჩაღებს მას ქვაბში. შემდეგ ქვაბს გადაახურავს ტანსაცმელს და დგამს ღუმელის უკან. მერე კანისტრას მოიყუდებს, მაგრამ კანისტრა ცარიელია).

მამაკაცი: რა მითხარი, სად გვაქვსო კიდევ წყალი?

ქალი: სააბაზანოში. ო, ღმერთო, ნეტავ მოშარდვა შევძლო.

მამაკაცი: მერე წამოდექი, ჰაერი ცოტა შეთბა.

ქალი: მაინც არ შემიძლია. ძვლები სულ გამყვინა.

მამაკაცი: უფრო ახლოს მოდი ღუმელთან.

ქალი: (იჭვრიტება ღუმელისკენ) ღუმელი შორსაა.

(მამაკაცი ოთახიდან გადის).

ხმამალლა რეკავს ტელეფონი. ქალს მხოლოდ რამდენიმე ზარის შემდეგ ესმის იგი.

ქალი: ჩვენი ტელეფონი რეკავს! გესმის? ის მუშაობს! რეკავს!

როგორც იქნა, პოულობს ყურმილს. მისი ლაპარაკი არაბუნებრივად ხმამაღალია, იგი თითქმის ყვირის ყურმილში.

ქალი: დიახ... დიახ... თქვით... ჩვენ კარგად ვართ! დიახ! დიახ, ჩვენ კარგად ვართ. ყველაფერი გვაქვს... ალო... ალო!

იგი ხელიდან უშვებს ყურმილს.

მამაკაცი: რატომ დატოვე სააბაზანოში? მე მას ცხენივით დავათრევე სნაიპერების თვალწინ, სამი საათი ვდგავარ რიგში ჭურვების ქვეშ, შენ კი სააბაზანოში ტოვებ.

ქალი: რადიო-მოყვარულები გერმანიას დაუკავშირდნენ, როგორც თვითონ თქვეს, მერე კავშირი გაწყდა. მე არ მესმოდა მათი ხმა. საერთოდ არაფერი მესმოდა.

მამაკაცი: ნუ დარდობ, ერთ თვეში ის კიდევ დაგვირეკავს. რატომ დატოვე კანისტრა სააბაზანოში? მე მას ცხენივით ვათრევე სნაიპერების თვალწინ, სამი საათი ვდგავარ რიგში ჭურვების ქვეშ, შენ კი მას მინუს 15 გრადუსზე ტოვებ!

ქალი: ტუალეტის ჩასარეცხად მჭირდებოდა.

მამაკაცი: ყველა მილი გაყინულია, ნახევარი შენობა განავალში დაცურავს, მან კი საპირფარეშო უნდა ჩარეცხოს!

ქალი: გაგვიმართლა, რომ ეს ჩვენთან არ ხდება.

მამაკაცი: რა არ ხდება ჩვენთან?

ქალი: ის, რომ მიღები ჩვენს ზემოთაა გაყინული და არა ქვევით. ჩვენს ზევით მეზობლები განავალში დაცურავენ.

იგი სასოწარკვეთილი ატრიალებს კანისტრას, შემდეგ დებს მას ლუმენ-თან ახლოს.

მამაკაცი: ამის გადნობას ორი დღე დასჭირდება.

(იგი წიგნების გროვიდან კიდევ რამდენიმე მათგანს, შედარებით ღილსა და სქელს იღებს და მაგიდაზე აწყობს).

მამაკაცი: ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია... კაცობრიობის ისტორია, როგორც თავისუფლების იდეის განვითარება, ეს კარგად დაიწვება.

(წიგნს ცეცხლში მოისვრის).

ქალი: „აპრილი ყველაზე დაუნდობელი თვეა, იგი მკვდარი მიწიდან შობს იასამნებს, ერთმანეთში ურევს მოგონებებსა და ოცნებებს“.

მამაკაცი არ უსმენს ქალს.

ქალი: ოღონდ არა წმინდა ბიბლია!

მამაკაცი: (წყვეტს ფურცლების კეცვას - უყურებს სათაურს - წიგნი მართლაც ბიბლია აღმოჩნდება და სასწრაფოდ ასწორებს გვერდებს) - მაპატიე, არ დავუკვირდი და კინალამ დავწვი.

ქალი: (გადასაფარებლებს იშორებს და ლოგინზე წამოჯდება). ჩვენ ის სიგარეტის შესახვევად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ეს ხომ შესანიშნავი, თხელი

ქალაღლია!

მამაკაცი: არ შეგიძლია სერიზული იყო?

ქალი: (ჯვარცმას უყურებს) შეიძლება მხოლოდ ძველი აღთქმა, სარჩევი...
ან კიდევ, ბოლოსდაბოლოს, შესავალი, კომენტარები... მომეცი სიგარეტი.

მამაკაცი: მხოლოდ ორი ცალი გვაქვს, ერთი შენთვის და ერთიც ჩემთვის.

ქალი: ვიცი, ჩემი მომეცი.

მამაკაცი: უმჯობესია შემოდგომისთვის შემოინახო, თორემ მერე ჩემსაც მომთხოვ.

ქალი: მე ახლა მშია, მწყურია, გათოშილი ვარ და სწორედ ახლა მინდა ჩემი სიგარეტის მოწევა.

მამაკაცი: მოაქვს მისთვის სიგარეტი, ისმის ტყვიამფრქვევების ხმამაღალი გასროლა და რამდენიმე ჭურვის აფეთქების ხმა. ქალს სიგარეტი ხელში უჭირავს. იგი კანკალებს სიცივისა და ნიკოტინის სურვილისაგან.

მამაკაცი: ასანთი გაგვითავდა, ერთი წამი მოიცადე. მას ქალთან მიაქვს ნავთის ლამპა. ისმის ჭურვის შიშინი და მერე სიჩუმე.

ქალი: არ აფეთქდა (იგი სიგარეტს უკიდებს და ნაფაზს ურტყამს. მან აშკარად შვება იგრძნო).

მამაკაცი ჭმუჭნის კიდევ ერთი წიგნის გვერდებს და ცეცხლში მოისვრის. შემდეგ ცოშს ამოწმებს.

ქალი: რა წიგნი იყო?

მამაკაცი: (ცეცხლში იყურება სათაურის წასაკითხად). ბეკეტი - „მოკლე პიესები“. მგონი, ამ კრებულს „აპრილი“ ჰქვია.

ქალი: ისევ აპრილი? რაღა აპრილში, ამ დაუნდობელ თვეში იწყება და მთავრდება ყველაფერი?

მამაკაცი ღუმელის უკნიდან იღებს ცომიან ტაფას და მაგიდაზე გადმოაქვს ცომი. იგი ზელს მას, შემდეგ ცოტაოდენ ფქვილს სპილენძის პატარა ტაფაზე ყრის.

ქალი: რადიო ჩართე, ახალი ამბების ღრია.

მამაკაცი: რა აზრი აქვს, იგივეს გაიმეორებენ.

ქალი: ჩართე.

მამაკაცი „რთავს“ რადიოს - იმავე სიმღერას, იმავე ზუზუნს, იმავე განცხადებებს, იმავე ინფორმაციას.

ქალი: რას ამბობენ?

მამაკაცი: იგივეს იმეორებენ (იღებს წიგნს, მიდის ღუმელთან და ღუმელის კარს აღებს. ცეცხლის ალი წიგნის სათაურს ანათებს. ცეცხლის შეწყვეტა ძალაშია, შემდეგ გორაზდე, ზეპა, სრებრე, ნიკა, მოსტარი, აგრესორის მცდელობა გაერღვია ხაზი სტუპში და ებრაელთა სასაფლაოს მხრიდან, დიპლომატების აქტიური მცდელობები, ვენს-ოუენის გეგმის ახალი ელემენტები, მოლაპარაკებათა

ახალი რაუნდი ენევაში, შესაძლოა მომდევნო თვეში, 9 დღეობის დობრინჯაში, ჭურვის დაცემა წყლის რიგზე, სნაიპერთა აქტიურობა გზაჯვარედინზე.

მამაკაცი წიგნს ცეცხლში აგდებს, ცომს კი ქურაში ათავსებს.

ქალი ლოგინშია წამომჯარი, ნავთის ლამპის შუქი მას ტუჩებს უნათებს, მამაკაცი ცოტა ხანს გაუნძრევლად დგას.

ქალი: უცნაურია, როგორ მახსოვს, მთლიანად არა, მხოლოდ ნაწილი ტექსტისა... თუმცა ამდენი დრო გავიდა, ოცი თუ ოცდაათი წელიწადი... სტუდენტური თეატრი, ფილოსოფიის ფაკულტეტი, ბეკეტის პიესები თითქმის ზეპირად მახსოვს.

მამაკაცი: ეს აღარ ჰყოფნის, ცოტა ხე მჭირდება, (იგი კედელთან მიდის, სადაც ტიტოს პორტრეტი ჯვარცმის გამოსახულებით ერთ მხარეს და მოსტარის „ძველი ხიდის“ ფოტოთი მეორეზე. იგი აქ ცოტა ხანს დგას და არჩევს, თუ რომელი მათგანი აიღოს, შემდეგ კედლიდან ხსნის ტიტოს პორტრეტს, ამტვრევს ჩარჩოს და ცეცხლში აგდებს, პორტრეტს კი ჩარჩოს გარეშე კიდებს თავის ადგილზე).

ქალი: დღეს, 1980 წლის 4 მაისს, სამ საათსა და ხუთ წუთზე, შეწყდა გულის ძეგრა ჩვენი ხალხების უდიადესი შვილისა... ამხანაგი ტიტო გარდაიცვალა... გახსოვს, რა სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც კი ეს ამბავი გამოაცხადეს? გახსოვს ეს სიჩუმე მთელ ქალაქში? მე მაშინ სუპერმარკეტში ვიყავი, მოლარემ ბეჭდვა შეწყვიტა, ყველანი გაშეშდნენ რაღაც საშინელების მოლოდინში, და თითქოს ეს საშინელება დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო, თითქოსდა ჩვენ ყველანი მასთან ერთად უნდა დავმარხულიყავით, მაგრამ ეს არ მოხდა ასე - ჩვენ კიდევ 10 წელზე მეტი უნდა გვეცადა, სანამ ეს მოხდებოდა. როცა ეს ამბავი გავიგე, საკვებით სავსე ორი ჩანთა მქონდა ნაყიდი. ფანჯრიდან დავინახე, თუ როგორ გაჩერდა ტრამვაი შუა ქუჩაში, რამდენიმე ბავშვი გარაჟის თავზე კალათბურთს თამაშობდა, მაგრამ უცებ ყველაფერი დაცარიელდა, სუპერმარკეტის მენეჯერმა ჩუმად, თითქმის ქვითინით გვითხრა: - მეგობრებო, წადით სახლებში, და გასაღები მოამზადა მალაზიის დასაკეტად... რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, თორმეტი, ცამეტი წელი. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან შორსაა და ამავე დროს ძალიან ახლოს, როგორც წლებადელი აპრილი...

მამაკაცი: მე მაშინ ხიდის მშენებლობაზე ვიყავი, ჩვენ სასადილოში შევიკრიბეთ. მუშები ჩუმად იყვნენ, ისინი თავჩაქინდრულები იდგნენ, თითქოს ის-ის იყო უახლოესი ნათესავის გარდაცვალება შეიტყვეს, ხომ იცი, როგორები არიან მუშები, ძლიერები, უხეშები, ჭუჭყიანები. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და, თითქოსდა ამ სამარისებური სიჩუმის ჯინაზე, სიმღერა წამოიწყო: „ამხანაგი ტიტო, ვფიცავთ, რომ არ ვუღალატებთ თქვენს კურსს“... და ყველა მათგანი აჰყვა, არა ვინმეს დავალებით, ან ბრძანებით, არა, უბრალოდ, ვალდებულების გამო, არამედ სრულიად გულწრფელად. შემდეგ მემონტაჟეთა ბრიგადის უფროსი

ანტონიე უბოლიცა / სარაგევი

მოვიდა ჩემთან და მითხრა ჩურჩულით: „ამხანაგო ინჟინერო, კარგი იქნებოდა, რამდენიმე სიტყვა გეთქვათ“. მე მაშინ ერთადერთი ინჟინერი ვიყავი იმ უბანზე, ასე რომ, წარვდექე მათ წინაშე და რაღაცეები მივკიბ-მოვკიბე ძმობასა და ერთობაზე, ნათელ მომავალსა და მსგავს სისულელებზე. ისინი კი, იწმენდნენ მამაკაცურ ცრემლებს კირით დალაქული სახელოებით და სერიოზულად და დაძაბულად მისმენდნენ.

(ტექსტის წარმოთქმისას, იგი ალებს ლუმელის კარს და კიდევ წვავს წიგნებს, ბევრი მათგანის სათაურში ტიტო ფიგურირებს: „ტიტო და სპორტი“, „ტიტო და არქიტექტურა“, „ტიტო და ნადირობა“, „ტიტო და თეატრი“ და ა.შ.), მაგრამ აქ სხვა ავტორებიც გვხვდებიან - პლატონი, არისტოტელე, ნიცმე, ლენინი, დოსტოევსკი, კანტი, სპინოზა...

სიჩუმე.

ქალი: იმ აპრილში, როდესაც ეს ყველაფერი დაიწყო, მე რაღაც ამდაგვარი სიჩუმე ვიგრძენი, ერთი წამით ყველაფერი გაჩერდა უილსონის პროსპექტზე, მეფე ტომისლავის ქუჩაზე, მთელს სარაევოში იყო ასეთი სიჩუმე, ამავე ფერის ფოთლები ხეებზე, ასეთივე ქარი არხვედა იმ ფოთლებს.

მამაკაცი: ბალზაკი კარგია... ეს კლასიკოსები ყველაზე კარგად იწვიან.

ქალი: არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველაფერმა, რაც კი ადრე საშიში, ჭკვიანური ან სულელური იყო ჩემთვის, ახლა აზრი და შინაარსი დაკარგა. მთელი ჩემი შიშები ახლა სასაცილოდ მეჩვენება. რისი მეშინოდა? ავადმყოფობის? სიკვდილის? წარუმატებლობის? მაშინ რაღა მომწონდა? ტანსაცმელი? სასმელი? საჭმელი? ეს ყველა, დიდი თუ პატარა, ცარიელი სიტყვებია, ყოველგვარი დატვირთვის გარეშე. ახლა მე ვიცი, რომ არაფერი, რასაც კი რაიმე აზრი გააჩნია, სიტყვით არ გადმოიცემა. მე მიყვარდა მოგზაურობა, მიყვარდა ზღვის პროლუქტები, მაგრამ ვის ენალვლება ეს ახლა? გახსოვს ის სლოვენურილი მოხუცი ქალი, რომელიც თავის აივანზე იდგა, როცა ომი დაიწყო, და ყვიროდა, რომ ხორცი და ყველი უნდა. ახლა ვინმემ ყველაფერიც რომ მომცეს, ამას ჩემთვის არანაირი ფასი არ ექნება. ყველაზე დიდი შიში, ღმერთო ჩემო, მშობიარობის წინ მქონდა. ანდა, როცა შენ მანქანა დაამტვრიე. მანქანა არაფერს ნიშნავს, შეხედე მათ ახლა, ქუჩაში მივდებულებს, ბენზინის გარეშე, ამ ყველაფრის მსგავსად, მათ ერთი მუჭა ფქვილის ფასიც აღარა აქვთ. ეს ტელევიზორი რამდენად ვიყიდეთ - ათას მარკად? შემდეგ ეს კომპიუტერი... ელექტროენერგიის გარეშე ხომ ყველაფერი ეს პლასტმასის გროვია. იმის თქმა არ მინდა, რომ მაშინდელი შიში ამჟამინდელს ვერ შეედრება, შიში ყოველთვის შიშია, მაგრამ ახლანდელმა ყველაფერს ყველანაირი აზრი გამოაცალა. აბსოლუტურად ყველაფერს, თავად შიშსაც კი, რადგან მუდმივი საფრთხის შეგრძნება ამ საფრთხესაც კი ნაკლებად საშიშს ხდის. მხოლოდ მოგონებებიდაა ხანდახან მშვენიერი. სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი რამეები, მაგალითად, რომელიმე კონკრეტული სეირნობა, რომელიმე

დეტალი, მაგალითად, ხის ფორმა და ის, თუ როგორ ცვიოდა ფოთლები ამ ხიდან, იმ კონკრეტულ დღესა და შუადღეზე, რომელსაც იხსენებ, და ეს ყველაფერი ბავშვობაში, დედაჩემის მიერ ძილის წინ მოყოლილ ზღაპარს ჰგავს. სიზმრებიც მიყვარს, მშვენიერ სიზმრებს ვხედავ, მაგრამ ეს გამოღვიძებაა საშინელი...

მამაკაცი: ადრე მეგონა, რომ ყველაზე უფრო მდინარე დრინაზე შევშინდი, როდესაც ხიდის მშენებლობა დავამთავრეთ. არსებობს ტრადიცია, რომ ინჟინერი ზის ნავში ხიდის ქვეშ, ხიდზე კი ძიძიე სატვირთო მანქანები გადიან. მე ერთ-ერთ გამოანგარიშებაზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი, რომ ის არასწორი იყო. ის ნამდვილად სწორი იყო, უბრალოდ, მე ნავში ჯდომისას წარმოვიდგინე უარესი რამ, როცა სახლიდან გამოდიხარ და გგონია, რომ კარი დაგრჩა ღია ან ქურა ჩართული. მაგრამ შენ მართალი ხარ, რა იქნებოდა, ხიდი რომ დამცემოდა? არც არაფერი. ადარ ვიქნებოდით ხიდი და მე, მეტი არაფერი. დღესაც ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხისთვის ვერ მიმიგნია: რას ვაკეთებდი მთელი ცხოვრება? მთელი ცხოვრება ვაშენებდი ხიდებს, რომელთაც ერთი გასროლით ნებისმიერი დეგენერატი ანგრევს...

ქალი: როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?!

მამაკაცი: რა?

ქალი: ეს ომი, ალყა, სროლა?

მამაკაცი: ეს არასოდეს დასრულდება.

ქალი: ოდესღაც ხო უნდა შეწყდეს?

მამაკაცი: შეიძლება შეწყდეს, მაგრამ არასოდეს დასრულდება.

მამაკაცს მიაქვს წიგნი ლუმელის კართან. იგი არ ღებს მას ცეცხლში.

ის კითხულობს ცეცხლის შუქზე.

სიჩუმე.

ქალი: შესაძლოა, იანვარში აქედან ხალხი გაიყვანონ.

მამაკაცი: საით?

ქალი: სპლიტსა და ბელგრადში.

მამაკაცი: მერე საით წვიდეთ?

ქალი: სულ ერთია.

მამაკაცი: „სულ ერთია“ ხომ აქაც არის.

ქალი: იქნებ წასვლა სჯობდეს, საკვებიც გვექნება, წყალიც, შუქიც.

მამაკაცი: მერე რა უნდა ვუყოთ ამ ყველაფერს?

უცებ მოდის შუქი. ტელევიზორი იწყებს მუშაობას. ხმა მაქსიმალურადაა აწეული: ომის დოკუმენტური კადრები სარაევოდან; სნაიპერები ესვრიან ხალხს, ადამიანები მიწაზე წვებიან... საბარგო მანქანის დაცხრილვა... ხოცვა-ჟლეტა წყლის რიგში...

ქალი: შუქი! გამათბობელი ჩართე! სწრაფად ჩართე! შუქები გამორთე, გამორთე შუქები! წყალი, წყალი არა გვაქვს, შემეძლო მანქანაში გამერეცხა.

ქალი ლოგინიდან წამოხტება. მისი გადასაფარებლის „სიო“ ნავთის ლამპას აქრობს. ქალი ხან ერთ კუთხეს მიაწყდება, ხანაც მეორეს, მას სურს რაიმეს გაკეთება, ელექტროენერგიის გამოყენება. ცოტა ხანს ოთახის შუაში დგას, შემდეგ მიდის გამათბობელთან, რომელიც სხვა ელექტროდანადგარის მსგავსად, წინასწარაა ქსელში ჩართული.

შუქის მოსვლისას მამაკაცი მხოლოდ წამოდგომას ახერხებს. იგი დგას და შოკში მყოფი უყურებს სინათლეს. სინათლისგან პარალიზებული, ის არც იძვრის და არც ლაპარაკობს.

ქალი „შემოხვევა“ ელექტროგამათბობელს და ისრუტავს მის სითბოს სხეულში, მაგრამ ცოტა ხანში დენი ისევ მიდის და ყველაფერი ქრება.

სიჩუმე.

მამაკაცს კვლავ წიგნი უჭირავს ხელში.

სროლისა და ჭურვების მომაბეზრებელი ხმები კვლავ ისმის გარედან.

მამაკაცი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ): „ეს სამყარო, ღმერთის ან ადამიანის შექმნილი კი არ არის, არამედ იგი იყო, არის და იქნება მუდმივი, მარადიული ცეცხლი, რომელიც ქრება და ინთება“...

იგი ცეცხლში მოისვრის წიგნს და შეამოწმებს პურს.

მამაკაცი: პური ძალე მზად იქნება.

ქალი: ახალი ამბები ჩართე.

მამაკაცი: რაში გჭირდება ეს ახალი ამბები?

ქალი: ჩართე, შეიძლება რამე თქვან.

(მამაკაცი აერთებს აკუმულატორს. ზუზუნთან ერთად ძველი სიმღერა ისმის. შემდეგ „პერსონალური შეტყობინებები“ - პროგრამა, რომელშიც ადამიანები დაკარგულ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ეძებენ, ან კიდევ სხვებს ატყობინებენ საზღვარგარეთ, რომ „კარგად“ არიან.

რადიოს ხმა (რიგრიგობით კითხულობენ წამყვანები): დედა ეძებს შვილ ემირს, რომელიც უკანასკნელად კოზარაკთან ნახეს. თუკი ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ... გორანი და ანქისა სალამს უთვლიან სარაევოში ყველას. ისინი შვეციაში არიან და კარგად გრძნობენ თავს... ბაბუა ჰამლო, მამა ალიხა, დედა მარეხა, ბიძა სლობოდანი და დედა ემინა, ისევე როგორც მეზობლები ზაიკი, მისო, ვესნა, აიდა და ჰოზო მიესალმებიან მათ ოჯახს ზალცბურგში და უთვლიან, რომ კარგად არიან. ისმეტი მკლავში დაიჭრა, მაგრამ ახლა კარგადაა, ბიძია მაიკლი ოქტომბერში მოკლეს... ივანი სალამს უთვლის მის ცოლსა და ოჯახს პრალაში. იგი ამბობს, რომ ძალიან უყვარს ისინი... მე ვცხოვრობ ჩვენი შეერთების იმედით... ჩვენ ცოცხლები ვართ და კარგად ვართ, შეატყობინეთ დეიდას მაკარსკაში, რომ ჯასმინი და იგორი შემდეგ ჯგუფს გამოჰყვებიან სპლიტში... ჩვენ ბედნიერ დაბადების დღეს ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას ბიძას და ღმერთი გფარავდეთ ყველას... ჩვენ თავაზიანად ვთხოვთ ყველას, ვინც კი რაიმე იცის ჰასიმ ბეგანოვიჩის შესახებ, დარეკოთ ნომერზე 554235 სარაევოში,

ანდა 7734543 ვენაში... ბედნიერ შობას გისურვებთ და ღმერთი გფარავდეთ ამ რთულ დროში... ამირ, სადაც არ უნდა იყო, დაგვირეკე მიუნხენში, ტელეფონზე 6657374... მე კარგად ვარ, ჩემო ტრესა და ბედნიერებას გისურვებ, მომიკითხე დედა და ყველანი რიმიში... ჩვენ სარაევოში კარგად ვართ...

მამაკაცი: როგორც ჩანს, ახალი ამბები დამთავრდა. ახალს მაინც ვერაფერს მოვისმენდით.

ქალი მაგიდასთან ჯდება და ნერვიულად არიგებს კარტებს, თითქოს წარმოსახვით პატრნიორებს პრეფერანსს ეთამაშებოდეს, ნერვიულადვე მოისვრის კარტებს მაგიდაზე.

ქალი: რატომ არ პოულობ ვინმეს ამ დაწყევლილი კარტის სათამაშოდ? იყო დრო, ამის გამო სიცოცხლეს გვიმწარებდი, მთელი დღეები სახლში არ მოდიოდი. ბოლოს და ბოლოს, ახლა საკმარისი დრო გაქვს.

მამაკაცი: ვის ვეთამაშო? ამ დილექტანტებს? ვინც კარგად თამაშობს, ან დაილუპა, ან წასულია აქედან. ჩვენს დროში მაინც სხვანაირ პრეფერანსს თამაშობდნენ. ახლა ფსონებად ადამიანთა სიცოცხლეს, ქალაქებსა და ქვეყნებს ჩამოდიან. ვაჟბატონები სხედან ყენევაში, ჩვენ კი მხოლოდ პასეანსის გაშლა შეგვიძლია.

(მამაკაცი იღებს წიგნს და კოცონთან მიაქვს).

ქალი: არა, ეს არა!

(იგი მივარდება კაცს და გამოგლეჯს წიგნს ხელიდან. მამაკაცი დაბნეულია. ქალი წიგნს ფურცლავს, წიგნიდან ვარდება ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული კონვერტი. მამაკაცი წიგნს კოცონში მოისვრის)...

ქალი: (ხსნის კონვერტს, იღებს იქიდან ფურცელსა და ფოტოსურათს, კითხულობს): ძვირფასო დედა, ჩვენ შევხვდით ჟურნალისტს, რომელიც სარაევოში მიდის. გიგზავნით თქვენი მეორე შვილიშვილის ფოტოს, რომელსაც თქვენ არც კი იცნობთ. ჩვენ აქ გერმანიაში, ლტოლვილთა ბანაკში ვართ. აქ არც თუ ისე ცუდია. როგორ ხართ? საჭმელი თუ გაქვთ? ჩვენ ვუყურებთ ხოლმე ახალ ამბებს და ვტირით. არც ვიცი, რა მოგწერო, მხოლოდ ხუთი წუთი დამრჩა...“ შენ შეიძლებოდა დაგეწვა ერთადერთი წერილი, რომელიც გაგვაჩნია, და, ღმერთო მაპატიე, ეს ფოტოსურათი. გერმანულის სწავლა უნდა დავიწყო. როგორ უნდა ველაპარაკო ამ პატარას?

მამაკაცი: მთავარია, ისინი კარგად არიან და ბავშვს არაფერი უჭირს.

(ქალი ფანჯარასთან მივა ერთი წამით და აშკარად ვილაცას დაინახავს).

ქალი: ამ კაცის ცოლი სნაიპერმა მოკლა. სად მოხდა? პრეზიდენტის სასახლესთან, გზაჯვარედინზე.

მამაკაცი: ავსტრიულ სახლთან ახლოს.

ქალი: იქ ბევრს ისვრიან.

მამაკაცი: ყველგან ბევრს ისვრიან.

ქალი: ვინ?

მამაკაცი: ნაბიჭვრები.

ქალი: მაინც არ მესმის, ვინ არიან ისინი?

მამაკაცი: ერეტიკოსები. ჩვენნაირი სულელები. იდეალისტები, ინტერნაციონალისტები... სულელები და გულუბრყვილოები, როგორც ჩვენ, ვისაც გვინდა კვლავ გვჯეროდეს, რომ სიყვარული და სიკეთე ისევ არსებობს ამ სამყაროში... ამ ხალხმა ერთად უნდა იცხოვროს. ნუთუ ჩვენ მართლა ისეთი სულელები ვართ, რომ არ გვსურს და არც შეგვიძლია არავის მხარეზე ყოფნა? ახლაც ყველაზე დიდ მწვალებლობად სიყვარულის რწმენა ითვლება. ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვისჯებით ასე სასტიკად, არა მხოლოდ ამ იდიოტური მკვლევლობებით და ჩვენს საკუთარ მთავრობაში მოკალათებული კრიმინალებით, რომლებიც ჩვენს დახოცილებს იაფფასიანი პროპაგანდისტების აგზავნიან. ოცი სიკვდილი ერთი-ორი კარგი კადრისთვის მსოფლიოს ტელეეკრანებზე - დიას, ჩვენ ასე სასტიკად ვისჯებით არა მხოლოდ მათ, არამედ მთელი მსოფლიოს მიერ. მსოფლიომ მიგვატოვა და თანაც ეს შემთხვევით არ მომხდარა. და მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მათსავით ბოროტები გავხდებით, ვინც თავს გვახვევია, თუ ჩვენ მივიღებთ დანაშაულის წესებს და ვინმეს მხარეზე აღმოვჩნდებით, მაშინ გვცემენ პატივს და დაგვაფასებენ. მაგრამ ჩვენ კვლავ ჩვენი თავისა და ჩვენი ერისის ამარა ვართ, აქ გამომწვევდებულები, თუ მთელს მსოფლიოში მიმოფანტულები, არ ვეკუთვნით არავის, საკუთარი თავისა და ერთმანეთის გარდა, უსამშობლოები, მხოლოდ წარსულ დროზე ოცნების ამარა და ეროვნების გარეშე, თუ არ ჩავთვლით ძლიერ სურვილს, არაფერი ვიყოთ, როგორც მისტერ ჰაიდელგერს უყვარს თქმა! (იგი რამდენიმე წიგნს გადაუძახებს ერთად კოცონში).

ქალი: მომეცი სიგარეტი.

მამაკაცი: ეს ღერი ჩემია.

ქალი: მაშინ რატომ არ ეწევი?

მამაკაცი: მოგვიანებით მოვწევ.

ქალი: მოგვიანებით როდის?

მამაკაცი: უფრო ადვილია არმოწევა, ვიდრე იმ შეგრძნების ატანა, რომ სიგარეტი საერთოდ აღარ გვაქვს. ახლა მე ვიცი, რომ სურვილის შემთხვევაში ერთი ცალი მაინც მაქვს.

ქალი მიდის თხილამურების ჯოხებთან, ერთ-ერთ მათგანს მოხსნის სახელურს და ჯოხს გადმოაპირქვაკებს. ჯოხიდან ორი ღერი სიგარეტი გადმოვარდება.

ქალი (ერთს მამაკაცს გაუწვდის): გამომართვი. ამ ორ ღერს ხვალისთვის ვპალავდი.

მიუხედავად ქალის „ტყუილისა“, კაცი არ ბრაზობს, პირიქით, ბედნიერია. ის მირბის კოცონთან, წიგნიდან ამოგლეჯს გვერდს, მასზე უკიდებს სიგარეტს და სასწრაფოდ ურტყამს ორ ნაფაზს. შემდეგ ისევ პასეანსს აგრძელებს.

მამაკაცი: დილით რა უნდა მოვწიოთ?

ქალი: პალტოს ჯიბეში ცოტა თამბაქო მაქვს, შეგვიძლია ჩაიში ავურიოთ და შევახვიოთ.

მამაკაცი: ქალაღს რაღა ვუყოთ? (იგი ბიბლიას შეხედავს).

ქალი: რამეს მოვიფიქრებთ.

(კოცონი ქრება).

მამაკაცი: წიგნი დაუმატე.

ქალი: რომელი?

მამაკაცი: რომელიც გინდა, სქელი შეარჩიე, უკეთესი იქნება.

ქალი: (ფურცლავს დიდ ტომს სახელწოდებით „დასავლეთის სიბრძნე“, შემდეგ მოისვრის მას ცეცხლში): უცნაურია, ადამიანები ფიქრობენ, ფიქრები გარდაიქმნება სიტყვებად, წინადადებად, წიგნებად, წიგნები ცეცხლად, ცეცხლისგან ვლებულობთ პურს... რაღას წავიკითხავთ, როცა ყველა წიგნს დავწვავთ?

მამაკაცი: როცა წიგნებს დავწვავთ, პურს შევჭამთ.

ჭურვის განსაკუთრებით ხმამაღალი აფეთქების ხმა ისმის.

მამაკაცი: ახლოს იყო.

ქალი: საპირფარეშოში უნდა წავიდე, მეტს ველარ ვითმენ.

მამაკაცი: ცოტათი მოითმინე.

(ქალი გადის ოთახიდან).

მამაკაცი კარტებს აგროვებს, მერე ქურიდან პურს იღებს და მაგიდაზე დებს. შემდეგ კი ჭიქას პურის გვერდით დადგამს და წყლის რამდენიმე წვეთს პურზე დააპკურებს.

კიდევ ერთი აფეთქების ხმა ისმის, მამაკაცი დერეფნისკენ გაიხედავს და გაშეშდება.

ქალი ბრუნდება, მტვრით დაფარული, ძლივს ადგამს ნაბიჯებს.

მამაკაცი დიდხანს უყურებს პურს. მერე პირში იღებს ერთ ნაჭერს და ღეჭავს, შემდეგ ერთ ყლუპ წყალსაც დაღვეს.

ქალი - ცდილობს რაღაცის თქმას, მიუთითებს საპირფარეშოსკენ (ცდილობს უთხრას მამაკაცს, რომ საპირფარეშო ჭურვმა დაანგრია).

ქალი: ჩვენი ტუალეტი.

მამაკაცი იღიმება. იგი პურს ორად გაყოფს და ქალს გაუწვდის.

მამაკაცი: ეს არის ჩემი სხეული და ჩემი სული.


ბნელდება.

მხოლოდ ზუზუნის ისმის რადიოდან.

ფარდა.

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 13

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Soso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 13

ცვლილება გარდაუვალია, მაგრამ პროგრესი არა! 14

სოსო ალავიძის ესკიზი
Drawing by Sosso Alavidze



Change is inevitable, but Progress is not! 14

“Ridgeway”

Written by *Jumber Khantadze*

Translated from Georgian by *Archil Khantadze*

We ask a militia sergeant major: “Can you arrest us after death?”

“We can, indeed!” Replies the sergeant major, “You are under arrest!

Who’s next?”

This imperfect rhyme belongs to Blero, who lived in our neighborhood in his youth. He was something of a poet, often inventing a smutty line or two.

At the time, the local militia precinct was situated close to the bathhouse a little way down the hill, and it was housed in a three-story corner old building. As I remember, there were very dark, soot covered corridors inside, pervaded with a tobacco smell. The operational rooms were on the ground floor, and beneath them, there were cells. They called them ‘insulators’. Even the surname of the colonel in charge has stuck in my mind. The reason why is that I’ve spent a night in one of those cells. I also remember that the detainees seemed strikingly benign in comparison with the militiamen.

It was after my arrest that Blero came up with his tribute to the Soviet militia.

We were youngsters who had endured the hardships and privations of the war. Having been raised on surrogate tea with sweetness saccharine and the sub-standard margarine, even such coveted items as rye bread and powdered turtle eggs sent to us by the Americans made our mouths water. Our childhood had passed in need and cold, and in long daily queues for kerosene and bread. Not surprisingly, we were susceptible to diseases. We were used to hearing a lot about gland inflammation, infiltration, lung shading, cavity, liming, typhoid and what not. Many of us did get seriously ill, while the illness of a friend of mine became a bit protracted. He was bed ridden for three years. When he was taken down with coxitis – bone TB – all his kith and kin were terribly concerned. In the end, he survived, but in consequence of the disease he went lame in his right leg. They used to take him to mountain resorts laid out on a stretcher and after a long while bring him back home, again on a stretcher. He spent his adolescence in bed, separated from school and the street.

During one of his stays in mountains, bedridden as he was, he fell in love with a girl who was staying in a neighboring cottage. His illness severely affected his spirits, making him extremely sore, but now the added torments of an unrequited

love made him even more miserable, and he became quite apathetic. Because of his sulkiness, his granny nicknamed him Ridgeway after an American general we were hearing a lot about in those days. The Soviet propaganda was continually tearing the general to pieces, accusing him of being morose and uncooperative, and probably this stereotype accounted for her choice of a nickname. We also called him Ridgeway and for all his petulance, he did not seem to resent it.

Anthony and I were his school chums and used to visit him regularly. We were great friends, the three of us. However, while Anthony was a devout Stalinist, Ridgeway and I spat on the system. When Stalin died Anthony was inconsolable, but Ridgeway and I – Lord forgive us our trespasses! – were euphoric. Anthony remains a Stalinist to this day. He is a good doctor. When we get together, we usually have tea and heatedly discuss politics. Despite our differing convictions, we are bosom-friends. Back then when Ridgeway was seriously ill, both of us had an enormous compassion for him, and we did our best to give him at least moral support in his love affair.

All we had to build our future mission on was the verbal description of the girl. She must be very pretty according to Ridgeway's account. We also knew which high school she went to. Luckily, it was located in our neighborhood, so we did not need to walk very far.

Sometimes we visited that girls' school ten times in a single day. Anthony would strike up a chat with the girls, while I had my camera handy taking their pictures. The girls peered at me with suspicion at first and unwilling to be photographed they would scuttle off. Quite often, I had to take pictures of some of them against their will. In the evening we developed the films by Ridgeway's bedside soaking the floor around us. However, his granny being a gentle woman, bless her soul, would never take us to task for that.

Once reassured that not only I was really taking their photos, but also very good at it, the girls became quite amenable. By then I had taken pictures of them all, and the girl in question was soon identified. She seemed a nice girl and she studied music too. True, she was not nearly as beautiful as Ridgeway had described her, but didn't we know that love was blind? Before very long we had each and every step of hers calculated and accounted for, we knew where and when she was supposed to be, when she would be back home, and what her leisure activities were. Soon we knew quite a bit about her friends and relatives as well. Everybody at her school, including herself, assumed that either Anthony or I fancied her, but no one was sure who exactly. As for us, we would supply bedridden Ridgeway daily with hot news like gossipy women, and with the latest photos of her.

Time for our convalescent to find his feet anew was at hand. Ridgeway was thoroughly readying himself for meeting the girl. We had already made a plan: we were to meet her near her music school, as though by chance and then Ridgeway was to see her home.

